

ლეისტბერნის გრაფიკი



თინათინ ჭედია

თიცათინ ჭადია

თ ი ც ა თ ი ნ ჭ ა დ ი ა
წ მ ე



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2020

რედაქტორი ზაალ ბოტკოველი
მხატვარი გასილ მარტინენკო
ყდის დიზაინი ეკა ლიფონავა
დამპაპადონიშელი თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-490-11-8


პირველი ნაწილი სხვისი მათე

როგორ ბნელა... ვერაფერს ვხედავ... მეშინია, მინდა, რომ გავიღვიძო და თვალს ვერ ვახელ, რა ვქნა, ღმერთო, ძალა არ მყოფნის. მაჩვენე გზები, რაიმე ხერხი ან მეთოდი, რომ მოგაპყრო მზერა, მეშინია და შემეწიე, დამეხმარე, დავმშვიდდე!...

შევწყვიტე შფუოთვა, ამ წყვდიადში ხელის ყურამდე მიტანაც არ შემეძლო და დავიწყე ლოდინი...

საშინელმა სიჩუმემ ყურებიც კი ამატებივა, მაგრამ ვიწექი და ისიც არ შემეძლო ხელი ყურამდე მიმეტანა. დალლილი და ლონემიხდილი, მიცვალებულს დავემსგავსე. მაკვირვებდა ამგვარი სიჩუმე, ვინაიდან ჩვენს სამყაროში სიჩუმე არ არსებობს. დავიძაბე, იქნებ, დედამიწის სუნთქვის ხმა მაინც გავიგო მეთქი, მაგრამ არანაირი ხმა და ძახილი არ გამიგია.

მომენატრა წვიმის, ნიავის, ქარის, წყაროს, ტბის, მდინარის, ჩიტების ჟღურტულის, ჭრიჭინას ჭრიჭინის, ციცინათელების,



პეპლების ფრთების შრიალის ხმის მოსმენა. მერე, მერე ტირი-ლი მომინდა და ვერ ვიტირე, მერე, დალაპარაკება ვცადე და ვერ შევძელი, მერე ძალიან მინდოდა ვინმეს ჩავხუტებოდი, არ დავე-ძებდი ვინ იქნებოდა, ოღონდ ადამიანი ყოფილიყო და... ძალზედ შემეშინდა მარტობის. მაინც ვერ ავცახცახდი, გაქვავებული-ვით ვიყავი.

იქნებ, საკუთარ თავს მაინც მოვუსმინო! გავიფიქრე და ვიგ-რძენი, თავში, სადლაც, რომელიღაცა ადგილი ვარვარებდა, თითქოს ცეცხლი წაუკიდესო და გამიხარდა, რომ ტკივილი ვიგ-რძენი. დავფიქრდი და მივხვდი, სადაც შეიძლებოდა, რომ ვყო-ფილიყავი, ნუთუ არაფერში?! იქნებ უკვე ჯოჯოხეთშიც ვეგდე და ჩემს ანგელოზს ველოდი, ან იქნებ, სულაც არაფერში ყოფნაა ჯოჯოხეთი და ამგვარად, უსულო საგანივით ყოფნა და ტანჯვაა ეს საშინელი ადგილიც. ნუთუ დავიმსახურე ამგვარი სასჯელი?!

- ალბათ! - მიპასუხა ტვინმა. გამიხარდა და კვლავ გავირინდე. შევეგუუ იმ აზრს, რომ აღარ ვარ და დავინყე ფიქრი გასავლელ გვირაბზე, მინდოდა წარმომედგინა, რანაირი იქნებოდა ეს გვი-რაბი და ამ დროს ხმა გავიგე, ოღონდ ვერ გავარჩიე მდედრისა იყო თუ მამრისა, მაგრამ ვიღაცა ხომ იყო, და ეს დიდი ბეჭინიე-რება მეღირსა!

- თიკო დეიდა, გაიღვიძეთ! - ვიღაცის თბილი თითები შემეხო, ვიგრძენი ძლიერი ხელები, რომლებიც მანჯლრევდნენ, მარჯვე-ნა ხელმა სახეზეც კი გამილაწუნა, მეტკინა, ო, როგორ საშინლად მეტკინა, მაგრამ არ მწყენია, იმიტომ, რომ ცოცხალი ვიყავი და უცბად თვალებიც გამეხილა.

სადლაც ქვემოდან ანათებდა ცისფერი მკრთალი შუქი, რო-მელმაც შემაწუხა, თვალები ამინვა, ადამიანის სახეც დავინახე, დაახლოებით თხუთმეტი წლის ბიჭისა, ნაზი წვერი ჰქონდა, ახ-ლად აბიბინებული, ბუმბულივით ჰაეროვანი, ღინღლი, წაბლის-ფერი. სწორი, სქელი, ამავე ფერის თმა და თბილი, კეთილი, თაფ-ლისფერი თვალები, როგორც ჩემს მათეს, რომელსაც იერით წაა-გავდა კიდეც. სახე ახლოს მოიტანა და მე მისი სუნთქვა ვიგრძენი.

- წამოდექით, გთხოვთ!

- არ შემიძლია მოძრაობა, თორემ აქამდეც ავდგებოდი და გა-
ვიქცეოდი აქედან.

- შეგიძლიათ, მოინდომეთ!

- ვინ ხარ შვილო?

- მათე.

- ჩემი მათე? - შევვეჭვდი, იქნებ ჩემი შვილი იყო და ვერ
ვცნობდი?! რა ვიცი...

- არა, სხვისი. - გაეძიმა ყმანვილს და თეთრი, ლამაზი მოყ-
ვანილობის კბილები გამოაჩინა. მერე, მწოლიარეს ჩამეხუტა
და გამათბო. ჩემი ძვლების სიხარულიც კი ვიგრძენი, მინდოდა
მოვფერებოდი, მაგრამ ხელები ვერ დავიმორჩილე, ვერც ტუ-
ჩები, რომ მეკოცნა, ვერც ხმა გავეცი, რომ მადლობა მეთქვა, ან
რამენაირად მის წინაშე მადლიერება გამომეხატა, ვერა და ვე-
რა, ვერ შევძელი, უძლური ვიყავი. მკლავზე ხელი ჩამომისვა.
მხრების ქვეშ ხელები შემიცურა და წამომაჯინა საწოლზე, თავ-
ში გაცხელებული ადგილი გამიგრილდა და იმ წამსვე მოძრაო-
ბაც შევძელი. ჩემი სხეულის სიმსუბუქებ გამაკვირვა.

- ახლა ადექით! - მთხოვა ბიჭუნამ და მეც შევეცადე ავმდგა-
რიყავი. ჯერ ერთი ფეხი ჩამოვდგი საწოლიდან, ბიჭი დაიხარა და
კვლავ ჩამეხუტა, მერე ლოყა ლოყაზე მომადო, ჯერ ნაზად, მერე
უფრო ღონივრად მომაჭირა, მისი ლოყიდან ჩემს ლოყაზე ენერ-
გია გადმოდიოდა და მთელს სხეულში მეღვრებოდა, სურნელო-
ვანი იყო ყმანვილი, იასამნისა და საკმევლის სურნელი ასდიოდა
ერთდროულად, ჩემი მათე-გიორგის მაგვარი არა, მაგრამ მიახ-
ლოებით მსგავსი სუნი, ჰო და ვერ მოვითმინე, ვაკოცე, ხელები
მინდოდა მომეხვია, მაგრამ ვერ შევბედე, რა ვიცი, მაინც სხვისი
მათეა და არ ეწყინოს მეთქი.

- მათე-გიორგი გენატრებათ? - ღიმილით მკითხა.

- ჰო, ძალიან მენატრება!

- ჰო, და, თუ გინდათ მისი ნახვა, უნდა ადგეთ რამენაირად და
გამომყენეთ!

წამოვდექი გაჭირვებით, თავბრუც კი დამეხვა და გულამოსკ-
ვნილმა წამოვიძახე: - და, ნანიკო!!!!

მათემ ხელი მომხვია, ჩემი თავი მკერდზე მიიღო და მიპასუხა,
- ნანიკოსაც ჩაეხუტებით!

ნელა, მძიმედ, ერთად გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი.

- ჩემი ნანიკო გათხოვდა. რომ ვნახულობ და მერე მშორდება,
უფრო მეტად მენატრება ხოლმე.

- ნანიკოზე და მათე-გიორგიზე გზაში მომიყევით.

ფეხშიშველი ვიყავი და თეთრი, გრძელი პერანგი მეცვა. ბიჭ-
მა ხელი ჩამკიდა, თვალები დავხუჭე და გავყევი, იმედიანად ვი-
ყავი. ოთახის კარებთან რომ მივედით, თვალები გავახილე, ბიჭმა
კარი გააღო და კარგად დავინახე, მთლიანად, თავიდან ბოლომ-
დე. ელეგანტური ახალგაზრდა იყო, თეთრი პერანგი ეცვა, შავი,
კლასიკური შარვალ-კოსტიუმი უმშვენებდა სხეულს, ფეხსაცმე-
ლიც საუცხოო ეცვა, მოკლედ, ისეთი მშვენიერი იყო, პოდიუმზე
წარმატებას იოლად რომ მიაღწევდა, სამაგალითო გარეგნობის,
ნატიფი სახის ნაკვთებით, უნაკლო. კოსტიუმის ჯიბეში ხელი ჩა-
ყო და და რაღაც ბრჭყვიალა ამოიღო, მერე მარცხნივ, მკერდზე
დამაბნია.

- რა არის?!

- გულსაბნევი.

- რა ლამაზია, მაჩუქებ?

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია, - გათხოვეთ, მისი წყა-
ლობით ვერავინ დაგინახავთ, აი, მეც მაქვს, - თავისიც მაჩვენა,
რომელიც ასევე მარცხენა მხარეს ეკეთა პერანგის საყელოზე.

- მაშინ რატომ გამიკეთე, რა საჭიროა!

- ამგვარად ვერავინ დაგვინახავს.

- და, მე რომ გხედავ, ჩემთან ხომ ამ გულსაბნევით მოხვედი?

- ოოო, თქვენ სხვა ხართ!

გულსაბნევს დავაკვირდი, იასამნის ტოტი იყო, არ ვიცი, თეთ-
რი ოქრო იყო, პლატინა თუ ვერცხლი, ცირკონის, საფირონის თუ
ბრილიანტის წვრილი თვლებით მოჭედილი, ბრდლვიალა. კარი
შეაღო და გამოჩნდა გაჩახჩახებული, გვირაბის მსგავსი დერე-
ფანი, პაციენტთა პალატებითა და ექიმთა კაბინეტებით დახუნ-
ძლული, დედა, რა გრძელი გზა იყო გასავლელი, ამას შევძლებ-

დი?! მივხვდი, რეანიმაციის ოთახიდან გავყავდი გარეთ. ოთახს გადავხედე, ქალები და კაცები ერთად აპარატურასთნ იწვნენ და სულს ღაფავდნენ, ცისფერი, ნაზი შუქი დაჰთვენოდათ ავადმყოფურ, ტანჯულ, უფერულ, ჩამომხმარ სახეებზე და ყველანი სამედიცინო აპარატურაზე იყვნენ შეერთებულნი. ჩემი საწოლის-კენაც გავიხედე და მეც მათ შორის ვიწექი, გამიკვირდა, თუ აქ ვარ, იქ როგორდა ვწევარ მეთქი.

- მათე! - განწირული ხმით დავიღრიალე, - ეს რა არის, მე ხომ ნამდვილად შენს გვერდით ვდგავარ!

- ჰო, - მიპასუხა მშვიდად. ამ სხვა მათემ ხელი ჩამავლო და გამიტაცა, ლამის იღლიაში ამომიდო და სირბილით მოკურცხლა.

- ვინ ხარ, შვილო, სიკვდილის ანგელოზი?!

არ მიპასუხა, ჯიუტად მიჰქროდა დერეფანში და მე ვენდობოდი, წინააღმდეგობას ვერ კი არა, არ ვუწევდი, გული მიგრძნობდა, რომ უკეთეს ადგილას აღმოვჩინდებოდი, მაგრამ მაინც ვიწუნუნე, მერე გავჩუმდი. ისევ ვიეჭვიანე, ალბათ მოვკვდი და სული ვარ, ჯანდაბა ჩემს თავს...

გული ამიჩუყდა, - იქ, სადაც მიგყავარ, ჩემი მათე - გიოც იქნება? მათე შეჩერდა და აწყლიანებული თვალებით შემომხედა.

- მათე, იქ ჩემი ნანიკოც იქნება?

ისევ არ მიპასუხა და ნერვები მომეშალა, გავჯიუტდი, მყარად დავდექი ერთ ადგილას.

- ნუ ჯიუტობთ თიკო დეიდა, წამომყევით, მკლავზე ჩამეჭიდეთ და აღარაფერი მკითხოთ, გთხოვთ! ჩვენ ისედაც ბევრი უნდა ვილაპარაკოთ და სხვა ნანიკოსა და მათე-გიორგის ჩახუტება არ მოგიწევთ, თქვენს შვილებს ჩაეხუტებით.

- მართლა, მათე, არ მატყუებ?!

- აბა რა!

- ის მაინც მითხარი, რა დამემართა, რა მჭირს?

- ახლა ამის დრო არაა, თავად გაიხსენებთ, რაც მოხდა.

- ტვინში სისხლი ჩამექცა?

- დროს ვკარგავთ თიკო დეიდა!

- რა გაეწყობა, მოვდივარ.

კიბეები ჩავირპინეთ და საავადმყოფოს ეზოში გავედით. გავ-ყოჩალდი, გულიც კი არ ამჩქარებია, მაგრამ ვერ გავიაზრე, სად, რომელი საავადმყოფოს ეზოში ვიმყოფებოდით, არადა, თბილი-სის თითქმის ყველა საავადმყოფო მქონდა მონახულებული. იქ ვერცხლისფერი პატარა ხომალდი იდგა. იური გაგარინისეულ მანქანას ჰქავდა, ოღონდ იმასთან შედარებით ძალიან პატარა იყო და კიდევ, გაგარინის ხომალდს ცხვირი ზეცისკენ ჰქონდა ამართული. ეს კი, ერთი შეხედვით, ავტომობილს წააგავდა, რო-მელსაც ოთხის ნაცვლად ხუთი ბორბალი ეყენა, ორი უკან, ორი ნინ და ერთიც შუაში, მანქანის შიგნით რომ მოხვედრილიყავი, ორი საფეხურიც უნდა აგევლო. მათე ავიდა საფეხურებზე. შარ-ვლის უკანა ჯიბიდან პანია პულტი ამოიღო და მინის ხუფს მიუშ-ვირა, ხომალდის თავს რომ ამშვენებდა. ხუფი აიწია.

კარგად დავაკვირდო ვერცხლისფერ ხომალდს, წვერწათლი-ლი ფანქარივით ფორმა ჰქონდა, ოღონდ, დიდი ფანქრის, უზარ-მაზარი, შიგნით ორი ადამიანი დაეტეოდა. ვიდექი და ვათვალი-ერებდი ლაპლაპას, მათემ ზემოდან გადმომზედა და ხელი გამო-მიწოდა. დავიბენი.

- ხელი მომკიდეთ თიკო დეიდა, დროა გავფრინდეთ!

გული დედამიწაზე მრჩებოდა, მაგრამ დავემორჩილე, ამიტა-ცა, ბავშვივით ხელში ამიყვანა და ხომალდის რბილ, კომფორ-ტულ სავარძელში ჩამაფრინა. მინდოდა მეკითხა, ცაში რომ მივ-ფრინავთ, კონკრეტულად სად მივდივართ მეთქი, მაგრამ მე ხომ დიდი ვარ და მოთმიწება მმართებს, ამიტომ დავდუმდი, მითუმე-ტეს, რომ ვენდობოდი და უკვე მიყვარდა კიდეც ეს ლამაზი ბი-ჭი, თან ვფიქრობდი, თუ უკვე მკვდარი ვარ და ეს მათეს მსგავსი ბიჭი არ მიმატოვებს და მოვეფერები, როგორც ჩემს შვილს, მა-შინ არაუშავს, ჩემი შვილები უკვე დიდები არიან და უჩემოდაც გააგრძელებენ ცხოვრებას, უფროსი დაიკო დედობას გაუწევს ძამიკოს და ერთმანეთი ძალიან ეყვარებათ.

სხვა მათე გვერდით მომიჯდა, გამილიმა და მკითხა, - რამდე-ნი წლისანი არიან თქვენი შვილები? - თითქოს იცოდა შვილებზე რომ ვფიქრობდი.

- ნანიკო 28 წლისაა, მათე 17-ის.

კვლავ პულტი მოიმარჯვა და ხუფი დახურა, ხომალდის წყლისფერი სახურავი ჭერად გადაიქცა. რა ვიცი, ეს ჭერი მინისას ჰერიტაჟი, მაგრამ იყო კი?! მთავარი ისაა, რომ პირდაპირ, ზემოთ და ქვემოთ ჩახედვისას ყველაფერს დავინახავდი და ალბათ მივხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს.

ლამე იყო. ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. მათემ ღილაკს თითი დააჭირა, სალონი მწვანედ განათდა, ხომალდი მინას მოსწყდა და მაღლა-მაღლა იწყო სვლა, მერე შურდულივით გაიჭრა წინ და დედამიწიდან არც ისე შორს ვიყავით.

- თიკო დეიდა, ხომ არ შეგეშინდათ?
- არა საყვარელო, საინტერესოა, ცნობისმოყვარეობა მკლავს,
- ვუპასუხე და გავილიმე.
- ახლა თქვენ ჩემს მეტი არავინ გყავთ ცისა და მიწის შუა. გესმით, ხმაც კი არ აქვს ამ ხომალდს.

- დიახ, ასეა, მაგრამ მე ამ მანქანის ტექნიკური საკითხები არ მაინტერესებს, იმიტომ, რომ რაც არ უნდა ამიხსნა, მაინც ვერ გავიგებ. მითხარი სად...

- სიტყვა გამაწყვეტინა! - ჩემს პლანეტაზე მივდივართ.
- სადაა ეგ პლანეტა, რა ჰქვია?
- ასტეროიდი ბ-612
- ეს რანაირი სახელია, ან ასტეროიდი პლანეტა როგორაა!
- აი, ნახავთ თუ არაა, თანაც, 24 საათის განმავლობაში შეძლებთ 43-ჯერ დატკბეთ დაისის ცქერით.

- რაო?! - გავოცდი.
 - ჰო! - გაეღიმა მათეს.
- ცის მანქანა თავისით, დამოუკიდებლად მისრიალებდა ცაში, მათე კი იჯდა ფუმფულა სავარძელში, ფეხიფეხ გადადებული.
- მათე, შეგიძლია მითხრა, სად მდებარეობს შენი პლანეტა?
 - გეტყვით, 325-ე, 326-ე, 328-ე, 329-ე და 330-ე ასტეროიდების მეზობლად.

ვერაფერი გავიგე, გული მომივიდა, ცრემლიც კი წამსკდა თვალებიდან ისე ძლიერ, რომ მათი შეკავება ვერ შევძელი, ნი-

კაპიც კი ამიკანკალდა, გავლიზიანდი, გავპრაზდი! თავი უცოდი-ნარ ადამიანად წარმოვიდგინე, რომელსაც ახლო მომავალში წე-რა-კითხვაც რომ დაავიზყდება. მათემ მხრებზე მკლავი მომხვია ჩემი მათესავით: - ნუ წერვიულობთ, მოდით ჩემთან!

თანაგრძნობით შემომხედა, ვიღაც ახლობლის თვალებს ჰგავ-და, ვერ გავიხსენე, კონკრეტულად ვისი თვალებით მიმზერდა, მივენდე, მკერდზე თავი მივადე და მის გულისცემას ყური და-ვუგდე. უკვე აღარ მაინტერესებდა არაფერი - წინ, უკან, ქვემოთ ან ცამი რა ხდებოდა, საიდან წამოვედი, საით მივდიოდი...

ვგრძნობდი მაღლა-მაღლა, ზემოთ აწევას უხმაუროდ, წყნარად, მშვიდად და სწრაფად, თითქოს გვიფრთხილდებოდა ჩვენი მოაზროვნე, ჭკვიანი ცის მანქანა. თვალები მიმელულა და ტკბილად ჩამეძინა, მათეს გულის ბაგა-ბუგი სასიამოვნო, უც-ნობ მელოდიად ჩამესმოდა ყურში. დალლილობა ვიგრძენი, მაგ-რამ იმისი თავი კი მქონდა, მათეს გულისთვის მადლობა მეთქვა, რომელიც მაწყნარებდა, უცნობ იავნანას მიმღერდა და მიმტ-კიცებდა, რომ არ ვარ მარტო ჩემს შეჭირვებასთან ერთად, რომ ნათესავების, მეგობრების, შვილების გარდა მყავს ახალი გულ-შემატკივარი - უცნაური, მშვენიერი, ტკბილი, ფაფუკი და სხვაგ-ვარად გვერდით მდგომი, ჩემი სულის ახლობელი არსება.

ცის კუნძული

-გაიღვიძეთ, მოვედით თიკო დეიდა! - ჩამძახა მათემ. გათენებულიყო. ჯერ ცას ავხედე, ჩვეულებრივი იყო, მერე ქვემოთ ჩავიხედე და რას ვხედავ?! კვერცხისებური ფორმის, ბრტყელ უფეხო მაგიდის მსგავს პლანეტას, ვიკითხე, - თქვენი პლანეტა მთლად მრგვალი არ არის?

- ჩვენ ახლა მარცხენა მხრიდან და გვერდიდან ვუყურებთ. მათემ საჭეს მოკიდა ხელი, ცაში გაჩერებული ხომალდი დაძრა და პლანეტის ზემოთ გაჩერდა.

- რა თეთრი ყოფილა თქვენი პლანეტა?! - თვალები გამიფარ-თოვდა.

მათეს გაელიმა, - თეთრის გარდა, სხვა ფერებს ვერ ხედავთ?

- მოიცა, მოიცა, კი, ცოტა ყავისფერს, ცოტა უფრო მეტ მწვა-ნეს, თითქოს მწვანე რკალი შემოურტყამთო...

- ჰო, და ლურჯს ვერ ხედავთ?

- ვხედავ, პლანეტის შუაშია, ეს რა, წყალია?

- კი, ჩვენი ტბაა. დავეშვათ?

- კი, ძალიან საინტერესოა. ოღონდ, ჯერ მაცალე, კარგად შევხედონ და დავიმახსოვრო!

- კეთილი. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- მათე, არ ვიცი სწორად აღვიქვი თუ არა, მაგრამ თითქოს კუნძულია ცისა, რა პატარაა!

- ადრე უფრო პატარა იყო, მაგრამ გაიზარდა, შესაძლოა კი-დევ გაიზარდოს.

- რას ამბობ, მართლა?!?

- ჰო, აბა ხომ არ მოგატყუებთ! ახლა უსაფრთხოდ და ლამა-ზად დავეშვათ.

ხომალდი სათუთად დაეშვა ცის კუნძულის მიწაზე. გავოგნ-დი, ამდენი თეთრი იასამანი ერთად არასდროს მინახავს. მანქა-ნის გამჭვირვალე ხუფი გაიხსნა და სუფთა, იასამნის ყვავილე-ბის სუნით გაჯერებული ჰაერი შემოიჭრა სალონში, ღრმად ჩა-ვისუნთქე, ისე ღრმად, რომ სინმინდე იმ ჟანგბადისა ვიგრძენი,

ამოსუნთქვა აღარ მსურდა, ადამიანი ვარ და ჩასუნთქვაც მჭირ-დება, ამოსუნთქვაც.

ბიჭი წამოდგა და ხელი გამომიწოდა, რომ მსუბუქად დავმ-დგარიყავი, ისევ მოვავლე თვალი გარემოს, მეგონა, სამოთხე-ში მომიყვანეს, სადაც მხოლოდ ერთი ხისგან აგებული აივნიანი სახლი იდგა, თეთრი სახურავით. ძალიან სუფთა იყო აქ ყველა-ფერი, თავბრუ დამეხვა.

როცა მათე ხომალდიდან ჩამოსვლაში მეხმარებოდა და ამა-ყად მიმზერდა, პატარა მთაც დავინახე და ლურჯი ტბაც, ამ ტბა-საც თავისი სუნი ჰქონდა, იასამნების სურნელს ერწყმოდა და უცნაურად უცხო არომატი იფრქვეოდა, მსგავსი არასდროს რომ არ შემისუნთქავს. ვიდექით ასე, ჩვენ ორნი უცნაურ კუნძულზე, სიმშვიდის ფასიც გავიგე, ვინაიდან მხოლოდ ახლა გავაცნობი-ერე, რა ხმაურიანი პლანეტიდან მომიყვანეს, მეგონა, მხოლოდ მათესთან ვიყავი, მეგონა, ერთკაციან პლანეტაზე მოვედი, იმე-დია, მხოლოდ სტუმრად და არა სამუდამოდ, მაგრამ ორი ბიჭუნა დავინახე, ჩვენსკენ მორბოდნენ, სახე უცინოდათ. ერთი შავთმი-ანი იყო, ასე, თერთმეტი ან თორმეტი წლისა, მეორე ლურჯთვა-ლება, ოქროსფერ კულულებიანი, ძალიან პატარა იყო, აღბათ, მხოლოდ ხუთი წლისა. ჩვენთან მოახლოებისას ერთმანეთს ხე-ლი ჩაჰკიდეს, მორცხვობდნენ, ერიდებოდათ.

- მოდიოთ ძვირფასებო, აი, მოგიყვანეთ დეიდა, ცოტახნით ჩვენ-თან დარჩება, კარგად უნდა მოუაროთ, ხომ იცით, ზრუნვა ვინმეზე ყოველთვის იძლევა შედეგს, როგორც მამა გვეუბნებოდა.

მოგვიახლოვდნენ ბიჭები და მათეს შეხედეს, გავუღიმე მათ, იმათაც გამოაჩინეს კიჭები, მომიახლოვდნენ და ჩამეხუტნენ, სა-დამდეც მწვდებოდნენ, იქამდე.

- გამარჯობათ ბიჭებო, რა გქვიათ?

- რაფაელე, - მითხრა შავთმიანმა და ფუმფულა ხელი გამომი-ნოდა, მეც ჩამოვართვი.

- მე კიდევ ელია, - გამეცნო ლურჯთვალება. დავიხარე და ფა-ფუკ, ბავშვურად ამობურცულ, მოვარდისფრო ლოყაზე ვაკოცე. ბიჭი გაწილდა, ხელი ნაკოცნ ადგილას იტკიცა და გადაიკისკი-

სა, ზუსტად ისე, როგორც ამას დედამიწელი ბავშვები აკეთებენ მაშინ, როცა რამე ძალზე გაეხარდებათ ხოლმე.

ელიას ხელში აყვანის სურვილი გამიჩნდა, მაგრამ მათემ მკლავზე ხელი მტაცა, თავი გააქნია და თვალებით მანიშნა, არ შეეხოო. გული დამწყდა, რატომ დამიშალა ბავშვის ხელში აყვანა, რატომ?! გავიფიქრე და ელიამ გამცა პასუხი, - თიკო დეიდა ჯერ არ შეიძლება თქვენთვის სიმძიმის აწევა, ჯერ უნდა მოგარჩინოთ!

- ვაიმე, მართლა?! - ვერ დავიჯერე.

- ჰო, აი, ნახავ, როგორი ღონიერი გახდები მალე!

- მე ხომ ქალი ვარ, როგორ გავხდები ღონიერი, როცა შენ უკვე ჩემზე ღონიერი ხარ?

- ქალურად ღონიერი გახდებით! - ღიმილით მიპასუხა მათემ.

- ეგ რომ მოხდება, მე ელიასა და რაფაელეს ერთდროულად ავიყვან ხელში და ორივეს ბევრს ვაკოცებ.

- რა კარგიაა! - წამოიძახა რაფაელემ, - მერე ხომ ზღაპრებს მოგვიყვებით?

- კი, იცით რა კარგი მეზღაპრე ვარ? დარწმუნებული ვარ, თქვენთვის სრულიად განსხვავებულ, საოცარ ზღაპრებს მოვიგონებ. -დავიფიქრდი და შემეშინდა, ვაითუ ვერაფერიც ვერ მოვიგონო მეთქი და დავამატე, - ყოველ შემთხვევაში ვეცდები მაინც...

- ასე რატომ ამბობთ, გონიათ ვერ შეძლებთ?!

- ვეცდები, მაგრამ, რომ არ მოგეწონოთ მერე რა ვქნა, არ მიყვარს ადამიანების, მითუმეტეს ბავშვების მოტყუება რაფაელე.

- ჩვენ ყველაფერი გამოგვივა! - ენერგიულად დაიჭყლოპინა ელიამ.

ამგვარად ვსაუბრობდით და ვუახლოვდებოდით აივნიან თეთრ სახლს, რომ უცებ, თვალებში უკუნეთი სიბნელე ჩამისახლდა და შიშისგან ელდანაცემს მუხლები მომეკვეთა, მოვკვდი, უცბად და მტკივნეულად...

გამეღვიძა, საწოლში ვიწექი, მათე დავინახე, საწოლის ბოლოში იდგა, კოსტიუმის ჯიბეებში ხელებჩანყობილი და მიღიმოდა, მარჯვნივ ელია მეჯდა, ცოტა შეშინებული ჩანდა, მისმა ლურჯ-მა თვალებმა რატომლაც შემაშინა, ბავშვი იჯდა ჩემს წინ, მაგრამ

ბავშვის თვალები არ ჰქონდა, ცხოვრებაგამოვლილ, დაბრძენებულ ადამიანებს აქვთ ამგვარი ღრმა და შინაარსიანი თვალები.

მარცხნივ გავიხედე და შავთმიანი რაფაელე დავინახე, პატარა ხელი ჩემ ხელზე ედო, თავდახრილი იჯდა დიდი კაცივით და ფიქრებს გაეტაცა, გამეღიმა, ნათლად ვხედავდი ჩემ ახალ ჭიროსუფლებს.

ის ხელი, რომელ ხელზეც რაფაელეს ხელი იდო, მეტკინა და იმ მხარეს, საადაც ელია იჯდა შუბლი ამენვა, ინსტიქტურად შუბლისკენ ხელი წამივიდა და რას ვხედავ, მაჯაზე უზარმაზარი, ლაპლაპა წურბელა არ მაზის?!

მათე მომიახლოვდა და ორივე ხელი დამიკავა:-თიკო დეიდა, ორივე მაჯაზე წურბელა გაზით, შუბლზეც ერთი და ფრთხილად, ძალით არ ჩამოაგდოთ არცერთი.

- რატომ გააკეთეთ ეს!

- ესენი მკურნალები არიან და გჭირდებათ ამათი დახმარება, იციან, როდის დაგანებონ თავი, აი, ნახავთ, გაცილებით უკეთ იქნებით.

- ნამდვილად?

- სამივემ თავი დამიქნია.

- სულ ამათ უნდა მიმკურნალონ?!?

ახლა ერთდროულად გააქნიეს თავები.

- მეტად აღარ დაგჭირდებათ, ნუ დელავთ, დაველოდოთ,- წყნარად მიპასუხა მათემ.

ისევ გამეღვიძა, მაჯებზე დავიხედე და წურბელების მიერ ჩაკბეჩილი ადგილები დავინახე, გავიფიქრე, რა საშინლად დამაჩინდებოდა შრამი შუბლზე და კიდევ კარგი, მხოლოდ ერთი რომ მწოვდა სისხლს და არა რამდენიმე. გამეღიმა, ვინაიდან დედაჩემის დედა, ლუბა ბებია გამახსენდა, წნევა აწუხებდა და ამიტომაც მეგობრობდა წურბელებთან. აიყვანდა ხელში, მიიღებდა კისერზე და მერე იმათ იცოდნენ თავიანთი საქმე, სად ჩაეკბიჩათ, მოენოვათ ცუდი და ზედმეტი სისხლი. მიკვირდა, როგორ შეუძლიათ ამ პატარა არსებებს ადამიანის გამოჯანმრთელება, როცა ტვინი არ გააჩნიათ, ვერ აზროვნებენ, არც ყურები აქვთ,

არც თვალები, რა ვიცი, მათ თვალებს ვერ ვხედავდი, შავი ფე-რისანი და ლაპლაპები იყვნენ, უკბილო პირი ჰქონდათ მხოლოდ და ძალა იმისთვის, რომ გემრიელად ეკბინათ, მოენოვათ ადა-მიანისთვის სისხლი მანამ, სანამ არ გაძლებოდნენ, მოკლედ რა, ჩემთვის ისინი ციცქნა ვამპირები იყვნენ, უხილავი კბილებით, ამიტომ მეცოდებოდა ბებია და მეტირებოდა.

- ნუ გეცოდები, - ღიმილით მეუბნებოდა ლუბა ბებია, - ესე-ნი მეგობრები არიან, მეხმარებიან, რომ ვიცოცხლო, შვილო და დავტკბე შენი ცქერით, თუ როგორ იზრდები და ლამაზდები. ესენი ღმერთის მიერ დანიშნული ექიმები არიან...

ჰო, კიდევ გოგუცა ნათლია გამახსენდა, სინამდვილეში სო-ფიო ერქვა და თანაც ჩემი კარის მეზობელი იყო, თბილი ქალი, მოსიყვარულე, ნათლიაჩემიც შეიამხანაგა, იჯდნენ ერთად წურ-ბელებდასხმულები, თვალებმილულულები, თითქოს სიამოვნებ-დათ, ეს პატარა არსებები სისხლს რომ წოვდნენ.

ასე, ათი წლისა ვიქნებოდი, მეზობელთან შევვარდი, -გუცა ნათლია, სად ხარ?

- დავუძახე ნათლიას, სოფიოს, მეტსახელად გოგუცას, მაგ-რამ ჩემთვის გუცას. იმ დღეს 4 ცალი ფრიადი მივიღე და მინდო-და სიხარული გამეზიარებინა, ვიცოდი, ამის მერე თეატრში ან თავის სამსახურში, თეატრალურ ინსტიტუტში, ნამიყვანდა რაი-მე სტუდენტური სპექტაკლის სანახავად და გამახარებდა.

შემოვირბინე უზარმაზარი ბინის ოთახები, აბაზანაში იყო, ვერ დამინახა, აბაზანის კარებთან შევჩერდი. იქ მან ჯადოსნობა ჩაიდინა. პირიდან კბილები გამოიღო ღრძილებიანად, ონკანის წყალს მიუშვირა და გარეცხა, მერე ჯაგრისი, კბილების სახეს ფხვნილში ჩაანო, იმ დროს კბილის პასტებთან ერთად მაღაზი-ებში კბილის სახესი ფხვნილებიც იყიდებოდა, ჰო, და ასე ხელში მოქცეული ღრძილებიანი კბილების ხეხვა დაიწყო. შემეშინდა, გამოვიქეცი, დედასთან შევვარდი სამზარეულოში, რომელიც ღომს ზელდა.

- დაიბანე, დედი, ხელები? ხომ იცი, კარგად უნდა დაიბანო, საპონი თითებს შუაც უნდა წაისვა...

-მოიცა დედა რა! დავიბანე, მაგრამ ეხლა ნათლიასთან ვიყავი და ისეთი უცნაური რამ ვნახე... .

- რა მოხდა, ცუდად ხომ არაა! - შეშფოთდა დედაჩემი.

- არ ვიცი, მაგრამ თავისი კბილები ადგილზე არაა!

- ეს როგორ გავიგო შვილო!

- კბილები ხელში ეკავა და ისე რეცხდა!

- ჰა, ჰა ,ჰააა! - გადაიხარხარა დედამ.

- რა არის აქ სასაცილო?!

- ის, რომ, ის, რაც ნახე, არის პროთეზი.

- რაა?! - გავიკირვე, ვინაიდან სიტყვა პროთეზი პირველად გავიგე.

- როცა ადამიანს კბილები აღარ აქვს, ექიმები კბილების მა-გიერს უკეთებენ ადამიანებს, რომ საკვები კარგად დალეჭონ და ისე ჩაყლაპონ...

- აღარ გააგრძელო, გავიგე დედა.

- ჩემი ჭკვიანი და აზრიანი გოგო. შედი ნათლიასთან და უთხარი სადილზე დაგვეწვიოს, უყვარს ღომი, უთხარი, დედამ თქვა, იმგვა-რი სულგუნი გვაქვს რძე გასდისო და კიდევ ბაჟე, ესეც უყვარს.

- კარგი! - ვუპასუხე და ისევ ნათლიასთან შევედი.

გავქანდი და ჩავეხუტე.

- რაო, ჩემო ბატყანო,-ხელი გადამისვა ხუჭუჭა თავზე, - აბა, დღეს რით გააახარებ ნათლიას!

- ხუთები მივიღე ქართულში, შრომაში, რუსულსა და ფიზ-კულტურაში.

- როგორ გამახარე, ახლა მე შენ იმდენ ხუთ მანეთს გაჩუქებ, რამდენი ხუთიანიც მიიღე.

- ფული არ მინდა, ნათლია, სპექტაკლის სანახავად წამიყვანე.

ნათლიამ ნიკაპზე ხელი წამავლო და მითხრა, - საოცარი ბავშვი ხარ, ასე მოგწონს სპექტაკლები, რომ ფულს გირჩევნია?

- დიახ, მომწონს და შენს გვერდით ქუჩაში სიარულიც მიყვარს.

- რატომ? - დაინტერესდა ნათლია.

- კარგი ხარ და იმიტომ.

- თავად ხარ კარგი, ჩემო საყვარელო, ცრემლი მოერია ნათლიას. რომ გაიზრდები მოგიყვები ხოლმე ჩემი ცხოვრების შესახებ და მიხვდები, რატომ მიყვარხარ ასე განსაკუთრებულად, შენზე ძლიერ არავინ მიყვარს.

- დღეს მომიყევი რა!

- აი, სკოლაში ისტორიის სწავლას რომ დაიწყებ, მაშინ მოგიყები. ისტორია ქვეყნისა მნიშვნელოვანია, ჩემი ცხოვრება რომ გაიგო.

- ჰო, ისა, დედამ ღომი გააკეთა და გელოდება ნათლია, ერთად ვისადილოთო.

- უი, რა კარგია, როგორ მიყვარს მეგრული საჭმელები!

სასადილოდ ერთად წავედით.

ნათლია, ჩემი პირველი მეგობარი და მესაიდუმლე...

იმ დღიდან მოუთმენლად ველოდი ისტორიის გაკვეთილს. ეს დღეც დადგა, შემიყვარდა საგანი, გამიმართლა და მასწავლებელიც კარგი შემხვდა, მაგრამ ნათლია დიდხანს სდუმდა, სანამ 17 წლისა არ გავხდი.

- რაზე ფიქრობთ?

- რაფაელე, დილა მშვიდობისა, კარგო ბიჭო!

- გამარჯობა, წამოდექით და აბაზანაში გამომყევით.

- კეთილი.

თეთრ, უზარმაზარ აბაზანაში შემიყვანა რაფაელემ. იქ იდგა საკარძელი, რომელზეც იდო დიდი და პატარა პირსახოცები, ფაჩუჩები თეთრი მარმარილოს იატაკზე დაეწყოთ, სავარძლის საზურგეზე გადაფენილი მდოგვისფერი, შავი, პანია კოპლებით მოხატული კაბა შევამჩინიე.

- რაფაელე, ეს კაბა ჩემთვისაა?

- დიახ, მათემ დაგიტოვათ.

- როგორ მიყვარს კოპლებიანი კაბები...

- ვიცით. - გაელიმა პატარა ბიჭს. - აი, აბაზანა წყლით აგივსეთ, მოგიმზადეთ და ჩვენი იასამანების ყვავილებიც ჩავყარენყალში.

- უღრმესი მადლობა! რაფაელე, როგორ შენუხებულხარ ჩემს გამო.

- გავალ და, რომ დაასრულებთ აქ ყველაფერს, აი, აგერ ღი-ლაკია კედელზე, დააჭირეთ თითი და მაშინვე გავჩნდები.

- გმადლობ, მზრუნველო!

რაფაელემ თავი ჩალუნა და აბაზანიდან გავიდა.

გავიხადე საავადმყოფოს ტანსაცმელი, მაგრამ არ ვიცოდი სადამედო, ამიტომ, იატაკზე დავყარე, გულსაბნევი სადღაც გამქ-რალიყო. აქაფებული წყლით სავსე აბაზანისკენ გავეშურე. ოსტა-ტურად აექაფებინა წყალი რაფაელეს, გარდა იმისა, რომ წყალში იასამნის დაქუცმაცებული ყვავილები ეყარა, როგორც ჩანს, ქა-ფიც იასამნისა იყო, ვინაიდან, იასამნის მძაფრმა სუნმა გამაბრუა. ჩავწერ აბაზანაში და შეწყვეტილ მოგონებას დავუპრუნდი.

ნათლია თავადის ქალი იყო, საჩერეში უზარმაზარ და ლამაზ სახლში გაიზარდა. მდიდარი დედ-მამა ჰყოლია და განათლებაც შესაბამისი მიუციათ. გათხოვების დროც დადგა, გარიგებით მი-ათხოვეს მეფის რუსეთის ოფიცერს კონსტანტინე წერეთელს. საქართველო მაშინ რუსი მეფისა იყო... მეუღლე თოთხმეტი წლით უფროსი იყო სოფიოზე, დახვეწილი და თავშეკავებული კაცი. თვალებში შემომციცინებდაონ და რომ გაიგო შვილი უნ-და გაგვჩენოდა, სიხარულისგან ლამის გული გაუსკდა. ძალიან რომ შემიყვარდა მეუღლე, აი, მაგ დროს აირია ქვეყანაც. მოხდა რევოლუცია. ნათლიაჩემის ოჯახს საჩერეში წაართვეს სახლი და იქ კომუნისტებმა სკოლა გახსნეს, მაგრამ მანამდე თავად-ვე გაძარცვეს აბაშიძეების ოჯახი, სახლიდან გაიტანეს ავეჯი, ტანსაცმელი, ძვირფასეულობა, თან გაიძახოდნენ, ეს ხალხის საკუთრებაა, თქვე პარაზიტებო. სოფიო მეუღლესთან ერთად იმერეთიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ავად სახ-სენებელ 1937 წელს ნათლიაჩემის მეუღლე საბჭოთა ხალხის მტრად გამოაცხადეს და დააპატიმრეს.

მეუღლის დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ, ოთხი თვის ფეხმძიმე ქალს, შუალამით, ჩეკისტები თავს დაადგნენ, სახლი-დან გაიყვანეს, დათრგუნეს და ანერვიულებს. რაღაც დაწესებულებაში მიიყვანეს და ძალით ხელი მოაწერინეს საბუთებზე, რის შემდგომაც ის მრავალ სხვა ქალთან ერთად მოხვდა მატარებ-

ლის ბინძურ, თივადაყრილ ვაგონში, ნახირივით შეგვყარესო, ალბათ ცხენსადგომი თუ იყო. სადღაც, რუსეთისკენ მიმავალი მატარებელი გააჩერეს, ჩარაზული კარიც გააღეს, რომ უჰა-რობით ადამიანები არ გავგუდულიყავით, მეორე მატარებელიც მოსულა, სადაც აგრეთვე ვაგონებში შეყრილი პატიმარი მამაკაცები იყვნენ, ჩამოსვლის უფლებას არ გვაძლევდნენ, სათლებით წყალი მოიტანეს აქეთ ქალებისთვის, იქით კაცებისთვის, რომ წყურვილს არ მოვეკალით, როგორც პირუტყვებს ისე გვაქცეოდნენ და უცებ, მოპირდაპირე მატარებლის ვაგონში მეუღლეს მოვკარი თვალი, რომელიც იდგა ვაგონში და რკინის ჯამით ხარბად წყალს სვამდა, იმანაც დაინახა სოფიო და გაშეშდა, მერე, ვიღაც რუსი ჯარისკაცი მიახლოვებია და დაუყვირია, - ეი, ვირო, დოროზე დალიე! - და კონდახი ზურგში ჩაურტყამს. ამის შემდგომ კვლავ დაკეტეს ვაგონის კარი, კვლავ მძიმე, საზიზლარი სუნი და სიბნელე, დაუმთავრებელი გზა...

ციმბირში ჩაიყვანეს, ყაზარმაში დაბინავეს. მერე, სოფიოს მეტსახელად უსაქმური და “ბელარუსიკა” შეარქვეს, არავინ ზოგავდა ფეხმძიმე ქალს, თავად პატიმრებიც ცუდად ექცეოდნენ. იქ, ციმბირში საექთნო საქმე ასწავლეს და საავადმყოფოში დააწყებინეს მედდად მუშაობა. ნათლიას ფეხმძიმობა გართულებების გარეშე მიმდინარეობდა, მაგრამ სოფიოს სულ სციოდა და შიოდა, ერთხელაც, ფეხის თითები მოეყინა, რამაც გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე, რაც თავი მახსოვს, მძიმედ, ჩოჩებიჩივით დადიოდა, უჭირდა სიარული. და მთავარი ტრაგედია მის ცხოვრებაში, რაც სიკვდილის ბოლო წამამდე ვერ მოინელა უკვე ლოგინად ჩავარდნილმა და აბსოლუტურად დაპრმავებულმა ქალმა. შვილი გასჩენია, გოგონა, ლამაზი ყოფილა, შავგვრემანი, დაბადებისთანავე იტირა კიდეც, დედას წესიერად არც დაანახეს, გაახვიეს ჩვრებში და გაიყვანეს. პალატაში ყველა დედას მიუყვანეს ნაშიერი, მაგრამ ამას არა, იკითხა, მრავალჯერ დასჭირდა შეკითხვის გამეორება, თუ სად იყო გოგონა და უთხრეს, მაშინვე მოკვდა და დავმარხეთო. ადგილი მაჩვენეთო, იკითხა ნათლიამ და დაემუქრნენ, - ჭკვიანად იყავი, თუ თავი გიყვარსო, - ამგვა-

რად დაადუმეს. დრო გაჩერდა სოფიოსთვის, ცოტაც და დარდი მოკლავდა, მაგრამ ბანაკის რადიოში დიქტორმა გამოაცხადა, რომ ბელადი, იოსებ სტალინი გარდაიცვალა. ყველანი გავშეშდით და ავქვითინდითო. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება წამართვეს, ოჯახი თავზე დამამხეს, დამაბრალეს რა, თავადაც არ ვიცოდი, მანც შემეცოდა სტალინი. მერე გაგვათავისუფლეს და წამოვედი სამშობლოში, მაგრამ არ ვიცოდი, ვის მივდგომოდი, არავის შეწუხება არ მნადდა და თან მეშინოდა ჩემი სტუმრობით ვინძეს რამე არ დაშავებოდაო. ცოტახნით თავშესაფარში დაუბინავებიათ თბილისში, როგორც რეაბილიტირებული პატიმარი, შემდგომ თავის დასთან ეკატერინესთან ერთად იმ შენობაში მიუციათ ბინა, რომელშიც მამაჩემის დედ-მამა ცხოვრობდა. ბებიაჩემს დაუმეგობრდნენ სოფიოც და ეკატერინეც. მრავალი წლის შემდგომ გაეჩნდი მე, პატარა, ხუჭუჭა გოგონა, საშა ბებიას საყვარელი შვილიშვილი, ჩემმა ნათლიამ, სანამ ქაშუეთის ტაძარში მომნათლავდა, რამდენიმე დღისა გულში ჩამიკრა და ჩუმად თქვა: - პატარავ, შენ ჩემი გოგოც იქნები, გპირდებიო.

ასეც მოხდა, ვინაიდან, რომ ვიზრდებოდი, უფრო და უფრო უმტკიცდებოდა განცდა იმისა, რომ მის შვილს ვგავდი და რაც მეტად ვიზრდებოდი და ვქალდებოდი, იმ საოცნებო გოგონას ვემსგავსებოდი გარეგნულად, როგორადაც დედას თავისი პირმშო დიდობაში წარმოედგინა.

- აი, რატომ მიყვარხარ, თიკო, განსაკუთრებულად, შენში ჩემს დაკარგულ შვილს ვხედავ და ვბედნიერდები ამით, არ ვიტყვი, რომ მოკვდა, არ მჯერა და მიტომ. ვფიქრობ, ჩვენი კლინიკის მთავარმა უშვილო ექიმმა იშვილა, ვინაიდან, ჩემი მშობიარობიდან რამდენიმე დღეში ცოლთან ერთად გაემგზავრა მოსკოვს, ჩემი შვილიც წაიყვანეს, ასე მგონია, სულ იმაზე ლაპარაკობდა, ავიყვან ვინმე კარგ გოგონას, კეთილშობილი სისხლისას, გავზრდი, თავს ვანაცვალებო.

ექიმის მეუღლე სვეტლანა ჩემთან მეგობრობდა და ისე წავიდნენ, არც კი დამშვიდობებიან.

- ნათლი, იქნებ უფლება არ მისცეს?

- არა, ჩემთან მათზე ლაპარაკს ერიდებოდნენ, ექიმმა ალექ-
სეიმ და სვეტლანამ შვილი წამართვეს და გაქრნენ, ასეა. - გუცა
ნათლიამ იმგვარად გამიღიმა, საკუთარ დედასაც რომ არ გამოს-
ვლია... ეს ღიმილი იყო ხორცშესხმული სიყვარული, ეს ტუჩები
თითქოს ლაპარაკობდნენ, თუ როგორ ვუყვარდით, ნათლიას
თვალები კი მეუბნებოდნენ, რომ მე ვიყავი მისი იმედი, სიხარუ-
ლი, ცხოვრების აზრი.

იმის მაგივრად, რომ ჩავხუტებოდი ნათლიას, თავი ჩავქინ-
დრე, წამოვხტი და გავიქეცი ზლუქუნ-ზლუქუნით, თავს პირო-
ბა მივეცი, რომ სადაც უნდა წავსულიყავი, მაინც მის გვერდით
ვიქნებოდი, ავად თუ კარგად ვცდილობდი ამას. საქმე ისაა, რომ
როცა გავთხოვდი, ჩემს მეულეესაც შეაყვარა თავი და დედამ-
თილსაც, როცა მშობლებთან მივდიოდი, უფრო მეტ დროს მას-
თან ვატარებდი.

ის თითქოს ჩემგან შვილიშვილს ელოდა, კანკალებდა, მუ-
ცელზე მეფერებოდა და ნატრობდა, ნეტა გოგონა გაჩნდესო.

- თიკო დეიდა! - შემომძახა კარს უკან რაფაელემ და ახლან-
დელ დროში დამაბრუნა.

- ჰოოუ! - შევეხმიანე მეც.
- თითის დაჭერა დაგავინყდათ თუ ცუდად ხართ!
- კარგად ვარ საყვარელო ბაიავ, გამიტკბა აქ ყოფნა.
- გამოდით, უნდა გასაუზმოთ, საქმე მაქვს, პლანეტა უნდა
დავასუფთავო!

გამეღიმა და ავმოძრავდი. ჩავიცვი ჩემი ახალი, შავკოპლები-
ანი მდოგვისფერი კაბა და გავხალისდი, კარი გავალე. დოინჯშე-
მორტყმული რაფაელე ინტერესით მათვალიერებდა.

ფუმფულა ხელი ხელზე მომკიდა და სასტუმრო ოთახში გა-
მიყვანა. მრგვალ, თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან დამ-
სვა. ყველაფერი თეთრი იყო, კედლები, ავეჯი, სკამები.

-დამელოდე, მოვალ! - მითხრა და ოთახიდან გაცუნცულდა,
გული გამითბა და იმაზე ფიქრი დავინყე თუ რით და როგორ გა-
მიმასპინძლდებოდა.

გამოჩნდა უზარმაზარი თეფშით ხელში, რომელზეც ასევე პა-
ტარა თეფში იდგა, ბევრი ნუში ეყარა ზედ, ასევე იდგა უზარმა-

ზარი შუშის ჭიქა, რომელშიც ცოცხალი ციტრუსის ახლად გამო-ნურული წვენი ესხა.

- ეს რა არის?-ვკითხე რაფაელეს.

ბიჭუნამ, რომელიც მაგიდაზე ოდნავ მაღალი იყო თევზი ცხვირწინ დამიდგა.

- ესაა ნუში, აგრეთვე ფორთოხლისა და გრეიიფრუტის წვენი.

- ყავა მინდა, რაფაელე.

- არ შეიძლება, ჯერ ისევ ავად ხარ. აბა მაჯებზე დაიხედე.

- უი, წურბელების ნაკები გამქრალა.

- ცოტა გეტყობა შუბლზე, მაგრამ 2 საათში აღარც ეგ გექნებათ!

- თქვა და გაიქცა, სავარაუდოდ, პლანეტის დასასუფთავებლად.

საუზმე ამგვარი კომბინაციით არასდროს მიმირთმევია, უზომოდ გემრიელად მომეჩვენა, თანაც მხნედ ვიგრძენი თავი, ოღონდ, არ ვიცოდი რა მექნა, რა მეკეთებინა, ფანჯარასთან მი-ვედი, რაფაელეს ცოცხი ეკავა და ეზოს გვიდა.


- რაფაელე, გმადლობ საუზმისთვის.

ბიჭუნა შეჩერდა, ამომხედა და გამიღიმა, თითქოს მლოცავდა კიდეც მადლიერებისთვის.

- მე რა გავაკეთო, რაფაელე?

- გამოდით გარეთ და გაისეირნეთ, სადაც უნდა წახვიდეთ, სახლს ყველა მხრიდან დაინახავთ და მოაგნებთ.

- კეთილი, - ხალისიანად ვუპასუხე და გავედი გარეთ. ასე და-იწყო ჩემი პირველი დღე პატარა პლანეტაზე.



ყვითელი გვალი

გავიარ-გამოვიარე, თითქოს დედამინაზე დავდიოდი ლამაზ, მოვლილ პარკში, ნიავი მელამუნებოდა სახეზე, ირხეოდა იასამნის ყვავილები, ტბის ნაპირებს მივუახლოვდი და მოშორებით ელია დავინახე, უამრავ, ბრტყელ ნიუარასთან მჯდარი, საქ-მიანობდა, ოსტატურად ხსნიდა ნიუარებს, იქიდან რაღაცებს იღებდა და წითელი ფერის დიდ თასში ყრიდა. მოკლედ, მუყაით ბავშვებთან აღმოვჩნდი, მათე ბიჭი არსად ჩანდა, დაღლა ვიგრძენი და მზის სხივებით გამთბარ კენჭებშერეულ ქვიშაზე დავჯექი, მესიამოვნა, ავიღე კენჭები და დავინწყე გართობა, ტბაში ვისროდი პანია ქვებს და მიხაროდა. უცბად, ტბიდან უზარმაზარი ყვითელი შლანგი გამოსრიალდა და თავი წამონია, დედა, გველი იყო, უზარმაზარი თავითა და მუქი, ყვითელი თვალებით, თავისი ორკაპა ენა გამოყო და უკანვე შეაბრუნა, უზომოდ შემეშინდა, ელიასკენ გავიხედე, ბავშვის დაცვის სურვილი გამიჩნდა, თუნდაც უკბინა ჩემთვის, არ დავეძებდი, ოღონდ, ელია გამეფრთხილებინა, მაგრამ ვერ ვინძრეოდი, იმგვარი მაგიური თვალებით ჩამაშტერდა.

- რაო ქალბატონო! - ღვარძლიანად მითხრა ისე, რომ პირი არც გაუნძრევია, ეს უფრო თავისი ფიქრის გადმოცემას გავდა, პირდაპირ ჩემს თავში შეიჭრა მისი სისინა ხმა და ღვარძლიანი ტონი.

- ღმერთო, შენ მიშველე! - წამოვიძახე უფრო მეტად შეშინებულმა, - გველი მელაპარაკება, რას მოვესწარი ამას!

სრიალით მომიახლოვდა და უკეთ დამაკვირდა, ისევ ფიქრი გადმომცა, - რაო, სულელო ქალო, შენც ფიქრობ რომ ვუკბინე?

- არ ვიცი ვის უკბინე, მაგრამ მე არ მიკბინო, რა!

- არ მიკბენია პრინცისთვის, გასაგებია?

- რომელი პრინცისთვის, მე არაფერი ვიცი!

- ჰმ, დავიჯერო?! არ იცი და ახლა ხომ გაიგე!

თავი დავუქნიე, მაგრამ ვერ მივხვდი, ვინ პრინცზე მეუბნებოდა. გასრიალება დააპირა, მაგრამ უცბად ისევ შემოატრიალა თავისი გველური თავი.

- გატყობ, მართლა არ იცი. არ მიკბენია პრინცისთვის, პირი-ქით, დავეხმარე და აქ ამოვყევი, რომ დამეცვა, ცუდი სანახავი იყო, თან ისეთი უსუსური და საცოდავი...

- ვისზე მეუბნები, ვერ ვხვდები!!! - შიშისგან ცრემლები გად-მომცვივდა.

- შენ გავხარ იმას, მასსავით ტირი. როგორ, პატარა პრინცი, წითელი მოლაპარაკე ვარდი რომ ჰქონდა არ იცი?!

თავი გავაქნიე.

- როგორ, უზადო მომთვინიერებელი იყო, მისი ამბავი ყველას მოეხსენებოდა, მასზე თუ არაფერი წაუკითხავთ, გაუგიათ მა-ინც... ლენჩი ხარ?!

შიშს ბრაზიც დაემატა, შევიჭმუხნე! პატარა კენჭს წავავლე ხელი, რომ ამ ყვითელი არსებისთვის მესროლა.

- ასე რატომ გეშინია ჩემი!

- მე საიდანაც ვარ, იქ ყველას ეშინია შენნაირების, გველი ხარ ბოლოსდაბოლოს, თან მელაპარაკები, ისე, რომ პირსაც არ ამოძრავებ და, როგორ ფიქრობ, არ შემეშინდება?!

- გასაგებია, მაგრამ არც შიშის დროს უნდა გაგეფანტოს გო-ნება. იცი, რას გეტყვი?...

- რას!

- მეცოდები, ალბათ, ქალი რომ ხარ, იმიტომაც ხარ ჩერჩეტი!

- სიტყვები შეარჩიე!!!!

- უჰ, გული არ გამიხეთქო რა! - წაისისინა და ელიას გახედა, - აი, ეს პატარა და ის ორიც, პრინცის მემკვიდრეები არიან, ამათ დაუტოვა პლანეტა. - თქვა და დამაკვირდა. გონება გამინათდა, - ვისზე ამბობ, ეგზიუპერის პრინცზე, კეთილი მფრინავი მწერა-ლი რომ იყო და პატარა უცხო პლანეტელ პრინცს, რომ შეხვდა?!

- დიახ!

- კი, მაგრამ, ის პლანეტა ხომ ძალიან პატარა იყო.

გველმა კვლავ ელიასკენ გაიხედა და თავი ისე მაღლა ასწია, ქვიშაში ჩატარებილ ჯოხს დაემსგავსა. მეც ელიას გავხედე. ხელი დამიქნია, მომესალმა უცნაურად. საკუთარ ხელის გულს აკოცა, მერე, ხელის მტევანი ჩემსკენ მომართა და ნაკოცნი გამომიგ-

ზავნა. შიშმა გადამიარა. ელიამ რაღაც ანიშნა გველს, იმანაც თავი დაუქნია და ქვიშაზე გაწვა, გაიწელა, გაიზმორა.

- იცნობ ელიას?

- ყველას ვიცნობ აქ, ელია ჩემი მეგობარია, კარგი რძით მი-მასპინძლება ხოლმე, მარწყვსაც მაჭმევს, რა გემრიელია, არა?

- ჰო, მეც მიყვარს, მაგრამ უოლო და მაყვალი მირჩევნია.

- უოლო ვიცი და მაყვალი არა, ისიც წითელია?

- არა, ისეთი მუქია, შავი გეგონება, რომ ჩაკბეჩ მიხვდები, სი-ნამდვილეში არაა წითელი, რაღაცნაირი ფერია.

- ჰო, და არც მე ვარ ისეთი ბოროტი, ბავშვისთვის რომ მეკბინა.

ძალიან ახლოს მოსრიალდა, - გადამისვი თავზე ხელი.

ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი.

- რა იყო, თავზე ხელის გადასმა გენანება ჩემთვის? ხომ აღარ გეშინია, თუ გეზიზღები მაინც!

- არ მეზიზღები, ისევ მეშინია.

გველს თითქოს გაეღიმა.

- გველო!

- კოკო მქვია.

უკაცრავად, კოკო, კი მაგრამ, პრინცის პლანეტა ხომ ძალი-ან პანია იყო.

- იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში გაიზარდა.

- ეს როგორ...

პასუხი არ გამცა, სულ სხვა რამ შემომთავაზა, - გინდა შიშები მოგიხსნა? უშიშარი გახდები.

- არა, მირჩევნია მშიშარა ვიყო.

- რატომ?! - გაიკვირვა ქვეწარმავალმა.

- მერე სიფრთხილის გრძნობა რომ დავკარგო, უკეთესად და-ვიღუპები.

- მე შენ უკვე მოგათვინიერე თიკო!

- მეე?! არა მგონია!

- კი და ვალდებული ვარ ვიზრუნო შენზე. სიფრთხილეს არ დაკარგავ. შიშებს ამოგაცლი.

- მეტკინება?

- არა! არც კი დაგანახებ, როგორ ვიზამ ამას. დაწექი ქვიშაზე, დაველოდები, როდის მოგერევა ძილი და შევუდგები საქმეს.

დავწექი და თვალები დავხუჭე, ეჭვიანობა მოდუნების საშუალებას არ მაძლევდა, არადა, არ მერეოდა ძილი. მეშინოდა, კოკოს არ ეკბინა და გვამად არ ვქცეულიყავო.

- ისევ გეშინია? - ჩამჩურჩულა ქვეწარმავალმა.

- იქით გაინიე, მეშინია, აბა რა! - წამოვიკვნესე სასოწარკვეთილმა.

- ხომ იცი, არ მიკენია პატარა პრინცისთვის, მე ხომ ამ ბიჭების მეგობარი ვარ.

- არ ვიცი, იქნებ მატყუებ. - ვუპასუხე თვალდახუჭულმა. გვერდზე გახედვისაც კი მეშინოდა, არადა, მზის სხივის სიმხურვალემ შემანუხა.

- მატყუარა არ ვარ. მზე გიახლოვდება, დროა დაიძინო, თავი ოდნავ ასწიე, რომ შენი კეფის ქვეშ მოვექცე.

დავემორჩილე, - ასე?

- ჰო! - მიპასუხა ყვითელმა გველმა და მართლა ჩემი თავის ქვეშ მოექცა. ცივზე ცივი იყო მისი სხეული.

- გამთენისას შენ გქონდა მოგონება ხომ?

- დიახ.

- შეეცადე გაიხსენო, ვინ ან რამ შეგაშინა ღრმა ბავშვობაში, ეს შიში კარგად გახსოვს, მიაგენი სათავეს და გპირდები, ყველაფერი კარგად იქნება.

- კაი, ჩემო ბატონო!

- აი, ისე მოგათვინიერე, რომ უკვე მომწონხარ, - მიპასუხა ქვეწარმავალმა.

თითქოს მოსწავლე ვიყავი და შემაქეს, გავყევი ახლო წარსულის მოგონებებს. პირველი, ის იყო, რომ მარტოობის მეშინოდა ყოველთვის, რატომ?! ნუთუ იმიტომ, რომ არასდროს მარტოს არ მძინებია, თავიდან მშობლების გვერდით ვიძინებდი ბედნიერად, მოგვიანებით საშა ბებიის სანოლი მექცა ტკბილ ნავსაყუდელად, გვერდიგვერდ მიტყუპულებს გვეძინა მშვიდად, სიზმრების გარეშე. ბებო რომ გაფრინდა ზეცაში, მეზობელმა ძალის

ლეკვი მომიყვანა, ბაჩო და იმ ღამესვე საწოლთან სკამი მოვადგი, მამაჩემის ფეხსაცმელების უზარმაზარ ყუთში დედას მიერ შეკერილი ბაჩოსთვის განკუთვნილი პანია მატყლის ლეიბი ჩავაფინე, ჩავსვი შიგნით, დავდგი ყუთი სკამზე და ისე დავიძინეთ. ღამით, გადმოსულა ყუთიდან და პირდაპირ ჩემს გულმკერდზე მოკალათებულა, ძალიან ტკბილად მეძინა ბაჩოს წყალობით. იმ ღამის შემდეგ, სულ ერთად ვიყავით, სანამ არ გავთხოვდი. გამოჩნდა თემური ჩემს ცხოვრებაში, ნამიყვანა სახლში და მერე დიდხანს, ყოველ ღამით, ახლა უკვე მე მიხუტებდა მკერდში და ასე ვიძინებდით, თითქოს ბაჩო გავხდი, რა თქმა უნდა, ამას ხუმრობით ვამბობ, მოგვიანებით, ოთახს ჩვენი გოგონა ნანიკო შემოუერთდა, მაგრამ მას თავის საწოლში ეძინა, მამამისმა არ დაუშვა, ჩვენს შორის დაგვეწვინა. ამბობდა, არ შეიძლება ბავშვს ეძინოს მშობლებთან, შენნაირი მშიშარა გაიზრდებაო. მერე მომიკვდა ჩემი თემური, დამტოვა პირისპირ დაუნდობელ ცხოვრებასთან, მარტო, შვილების წინაშე და შემეშინდა, თავიდან ქუჩაში გასვლის მეშინოდა, დავძლიე, ღამე სიარულის უფრო მეტად, თუნდაც მარტო არ ვყოფილიყავი, ესეც დავძლიე მეტნაკლებად. მერე იყო და, შვილებთან ერთად ქალაქიდან გასვლის და დასასვენებლად წასვლის მეშინოდა. მე გავხდი ყველას მთავარი პატრონი და მომვლელი, მზრუნველი ადამიანი და ამის მეშინოდა. მერე დავფიქრდი, მივხვდი, დასრულდა დრო, როცა ჩემზე ზრუნავდნენ ახლობელი ადამიანები, ახლა ჩემი ჯერი დადგა. წლები გავიდა, ორმოცდაათს გადავცდი, სიბერის, უძლურების მეშინია, ახლა, ამას სიკვდილი მიჯობს! მოიცა, მოიცა ყვითელო გველო, რაღაც კედელია ჩემს წინ, ნეტა სად მივდივარ?

- გეშინია? - შემეხმიანა კოკო.

- კი, მეშინია, დამეხმარე!

- გეხმარები, ოღონდ შენ წინ წადი!!! მიდი, მხნედ წადი!

- მეშინია კოკო, თითქოს უფსკრულისკენ ვეშვები და ეს-ესაა დავენარცხები.

- ეს წინააღმდეგობაა, არ სურს შენს ტვინს ამ ამბის გახსენება, არ შედრკე! - გამამხნევა კოკომ. არადა, ვერ ვხედავ, სად ვარ,

რომელ უფსკრულში მივექანები, წარმოდგენა არ მაქვს სად, მაგრამ გული არ მიფრიალებს, მე ვფიქრობ, ვფიქრობ და თან ლამაზ პეიზაჟებს შევცექრი...

გურიაში ვარ, პატარა ვარ და ლალი, ახალი ჩასულები ვართ სოფელ საჭამიასერში მე, საშა ბებია და მისი ძმა მამია, პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, ისაა ჩემი ერთადერთი ბაბუ, ვინაიდან ბებიაჩემების ქმრები ჩემს გაჩენამდე გარდაიცვალნენ. მოდიან კეთილი და ხუმარა გურულები, ფერმკრთალი, ქალაქიდან ჩამოყვანილი ბალანას სანახავად და მოაქვთ ყველაფერი ის, რაც ღირებულად მიჩნიათ, რომ მერე ბებიამ და ბაბუმ აჭამონ გაღეულ ბავშვს, ესაა ხილი, სიმინდის ტაროები, კვახები, ნაირნირი სუნელები, რომ მე გემრიელად შეზავებული საკვები ხალისიანად ვჭამო, გურული ლობიო და, რაც მთავარია, - თაფლი.

სოფლის ლამაზ სახლში დიდი ბები, მარო ბებია, საშა და მამიას დედა, უსაშველოდ ხანდაზმული, დაყრუებული, მაგრამ უზომოდ ბედნიერი, მე ხომ შვილის-შვილის-შვილი ვარ, როგორც გურულები იტყვიან, გაფსხრეკილი, ვერცხლისწყალივით ბზრიალა, ხუჭუჭა ბალანა, რომელიც მთელ სოფელს უყვარს.

რა ხდება ამ სახლში, სადაც ვისვენებ? ბევრი არაფერი, უზარმაზარი მწვანე მდელოა ეზოში, შეგიძლია იკოტრიალო მარო ბებიას მურა ძალლთან ერთად, მიირთვათ ეზოში მდგარი მსხლის ხის ძირს ნაყარი ნაყოფი. როგორ მიხარია, 1973 წელია, წელს პირველად წავალ ნულ კლასში, კითხვა ვიცი, ათის ფარგლებში ანგარიშიც.

მარო ბებია წელში მოხრილი ზის და კვნესის, თან მიყურებს, სანაც ტირის, ხან ორივეს ერთად აკეთებს და ამბობს, - შენ გენაცვალოს ბებია!

საშა ბებია ფუსფუსებს, რეცხავს, აშრობს, აუთოვებს, ხან კერძს ამზადებს, ხანაც ქათამს აცლის თავს, ზოგჯერ ინდაურსაც მიაპრონიალებს დასაკლავად, რომ გემრიელი საცივი გააკეთოს.

სალამოსკენ, ბებიას კლასელები და სიყრმის მეგობრები მოდიან და მურას დაყეფების შესაძლებლობა ეძლევა, ხანაც ჩვენ გადავდივართ სტუმრად ვინმესთან, იქ ჩემი ტოლი ბავშვები

ჰყავთ და ვთამაშობთ სახლობანას, ექიმობანას, დედობანას, ოჯახობანას... კარგია, რა სილალეა, მშვენიერია! ვხედავ, განვიცდი და ვაანალიზებ საკუთარ ბედნიერებას. დედ-მამა სულაც არ მენატრება, ვიცი, ეს დღეები ჩაივლის და საჭამიასერში კი-დევ დიდხანს ვერ ჩამოვალ იქამდე, სანამ არ დათბება.

მამია ბაბუა არ ჩანს, მთელი დღე მეორე სართულზე უზის სა-მუშაო მაგიდას. სულ წერს, წერს, ან ასპირანტების და ხარისხის მაძიებლების ნაშრომებს კითხულობს. საღამოს იკრიბება მთელი ოჯახი და აქ იწყება ზენიტი ჩემი ბედნიერებისა. მკაცრი პროფე-სორი უცებ ბავშვად იქცევა ხოლმე და ჩემთან ერთად ეზოში ცი-ცინათელებს დასდევს დასაჭერად.

მამია ბაბუა დილით სადღაც წავიდა და მურიაც გაპყვა. ჩემ-მა ყაზირლებმა, როგორც ბებია უწოდებდა იმ ბავშვებს, ვის-თანაც ერთად ვთამაშობდი, რაღაც დაიგვიანეს. მარო ბებია ლოგინში ჩაწოლილიყო, ჩასძინებოდა, ჩემი საშა ბებია ვერ ვი-პოვე ეზოში, სამაგიეროდ, ვეფრვივით ლამაზ კნუტს წავაწყდი. ვერაფრით მოვეცერე, გარბოდა და მემალებოდა, ვიპოვიდი, ისევ გამირბოდა, განა ეშინოდა, მეთამაშებოდა. მივყევი ფისუ-ნიას მივყევი და ხის ძეველ სახლთან მივედი, სადაც საქათმე იყო მოწყობილი, სანამ ახალს აშენებდნენ, თურმე აქ ცხოვრობდ-ნენ ჩემი წინაპრები, კოხტა ოდა სახლი იყო, ერთსართულიანი. სახლი ახალი კრამიტით გადაეხურათ. ძველი კრამიტები იქვე ეწყო კიბესთან ახლოს, ქათმები სადღაც დაბორიალებდნენ, საქათმის კარი ღია იყო, შევიხედე, იქნებ ფისო დავინახო თქო, მაგრამ იქ აშკარად არ იყო.

სისინის ხმა შემომესმა, კრამიტებიდან მოდიოდა, კონკრე-ტულად რომელიღაცა კრამიტიდან, მივედი და სათითაოდ და-ვიწყე მათი აწევა, რატომდაც მეგონა, რომ რომელიმეში ვეფხ-ვის მსგავსი ფისო იქნებოდა შემძვრალი, მაგრამ ერთერთი კრა-მიტის ქვეშ, შავი, ლაპლაპა არსება დამხვდა, დამაინტერესა რა იყო, თავი ასწია და დამაშტერდა, მომენონა. დიდხანს ვუყუ-რეთ ერთმანეთს. დაველაპარაკე, ლამაზი, ყავისფერი თვალები ჰქონდა, ხმას არ მცემდა, გაოცებულივით, ხან მარცხნივ გადაა-

ქანებდა თავს, ხან მარჯნივ, მერე წვრილი, ორკაპიანი ენაც გა-
მომიყო, მეც გამოვუყავი, რატომლაც ბალახისმჭამელ არსებად
აღვიქვი, ირგვლივ კიდე შავი მიწისა და ქათმის სკლინტის მეტი
არაფერი იყო, მივედი რაღაც ხეებთან, ბუჩქებთან, დავგლიჯე
ფოთლები, მივიტანე ამ არსებასთან და თავზე დავაყარე, ამომ-
ხედა გაოცებულმა, მერე ფოთოლდაფენილ თავის კუდს ნაზად
ლაბაბი დაადო და გაირინდა, ამ დროს ბებიას ძახილი შემომეს-
მა, - ნენააა, სად ხარ თიკუნია, მოი აქანე გოგო, ბალი დაგიკრიფე
ბებია, მოი, მოიი!

გავიქეცი მთავარი სახლისკენ, შევვარდი სამზარეულოში და
ბებიას ვეუბნები,-ბებია, იქ, საქათმესთან ისეთი ლამაზი ბაყაყია
და არაფერს ჭამს, მიყურებს და მიყურებს გაოცებული, თითქოს
ადამიანი არ ყავდეს დანახული.

- საა მაი რაცხა ბებია!
- იქ, ერთერთი კრამიტის ქვეშ ვიპოვე.
- შენ, აი, ბალი ჭამე აგერ, წევიდე ერთი ვნახო, რა არის აქ
შემომძვრალა!..

ერთი ბალი მოვაძრე კუნწულას, მაგრამ ვინ გაცალა დაგე-
მოვნება, - დიდუუუუ! დაიკივლა საშა ბებიამ, - მამხედეთ ვინ-
ცხამ, უშველებელი გველია აქანეე!!!

სიტყვა გველი რომ გავიგონე, საშინლად შემეშინდა, მაგიდის
ქვეშ შევძვერი და მომეჩვენა, რომ გველმა ჩაისრიალა და სალ-
ტოც კი გააკეთა. დიდხანს ვიჯექი მაგიდის ქვეშ და საკუთარი
გულის ბაგაბუგი მესმოდა, შიშისგან ცივმა ოფლმა დამასხა და
ავქომინდი, თითქოს ბევრი ვირბინე და დავიღალეო. ყურებიც
ამიხმაურდა, ფეხები და ხელები დამიბუჟდა.

ეგრეთ წოდებულმა ყაზირლებმა გამომათრიეს მაგიდის ქვე-
შიდან, აქეთ მე ვიყავი ცუდად, იქით, საქათმესთან ბებია, აზრ-
ზე რომ მოვედი, ძველი სახლისკენ გავეშურე, ბებია საზურგიან
სკამზე დაესვათ, სახეზე წყალს აპკურებდნენ და გაზეთს უფრი-
ალებდნენ, თან ამშვიდებდნენ, - რაია, საშაიე, რამხელა ამბავი
ატეხე, ჩეიიარა ყორიფელმა და აი ბალანეც შეიბრალე, შეხედე
რაფერი გაფითრებულია!!!

-მოი ბებია, არ შეგეშინდეს, მოი ჩაგიხუტო ბებია, ჩემი ანგელოზო, ე, ბებია, შეხედე რამხელაა... - თითო გაიშვირა ბებიამ ვიღაც მაღალი კაცისკენ, მხარზე ბარი ჰქონდა გადებული და ზედ იყო გადაკიდებული თავგაჭეჭყილი შავი გველი.

- ამას უნდოდა ჩემი ბალანას მოკვლა?! - ისევ აქვითინდა საშა ბებია.

შემეშინდა და მეც ავტირდი, თან გავიძახოდი, - არ უნდოდა ჩემი კბენა, მხოლოდ მიყურებდა... მიყურებდა... კეთილი იყო!

- მაგრამ, არავინ დამიჯერა, მეფუტკრე ილიკო ბაბუამ მითხ-რა,- კაი ახლა ბაბუ, რასაა რომ ამბობ, გველის სიკეთე ვის გო-უგონია ქვეყანაზე, მაგაზე დოუნდობელი აფერი მეგულება დედამიწის ზურგზე და ქვეშეც, ბაბუა, იმისთანა კბენა იცის, გაგბშიკავს სამუდამოდ, გეშინოდეს ანი და საცხა წააწყდები გე-ერიდე, ბაბუა!

მამია ბაბუაც მოვიდა, მომხდარის შესახებ რომ უთხრეს გა-თეთრდა ბამბისფრად და მერე თითქოს საერთოდ გაუფერულდა და გაქრა. როცა დაღამდა და ბაბუამ ლოგინში ჩამაწვინა, გვერ-დით მომიწვა და მკითხა, - შეგეშინდა?

- კი, ბაბუა, ძალიან.

- თავიდანვე შეგეშინდა თუ მერე, ბებიაშენი ხომ მოარული პანიკაა!

- გვიან შემეშინდა, სამზარეულოში.

- ბებიაშენს შეუშინებიხარ.

წამოვჯექი და ავტირდი.

- ახლა რაღა გატირებს?!

- ის მატირებს, რომ ჩემი გულისთვის მოკლეს! ისე საშინლად იყივლა ბებიამ და იმან მაინც არ უკბინა.

- გოგო, ბებიაშენის კივილს კაცის გულის გახეთქვა შეუძლია და გველის პატარა გული გაუძლებდა? რა გგონია, გველებმაც იციან შიში.

- ვერ ვიძინებ.

მამია ბაბუა ისევ გვერდით მომიწვა და მითხრა, - გინდა ზურ-გი მოგფხანო? დაძინებაში დაგეხმარება და ხვალ, სანამ ციცინა-

თელებს დავიჭურთ და მერე გავუშვებთ, დილით მდინარესთან მივიდეთ და ვითევზაოთ მე და შენ, კაი?

- კაი.

ბაბუა დიდხანს მფხანდა ზურგს, მერე თავზე მეფერებოდა, ჩამეძინა და კისერზე მაკოცა, ის კოცნა ახლაც მახსოვს.

არ შედგა ჩვენი თევზაობა, ვინაიდან, დილით დედამ სოფლის ფოსტაში დარეკა, დედამთილთან და ჩემთან დალაპარაკება უნდოდა. ბებია წავიდა ფოსტაში და რძალს სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა ამბავი ეზოში შემოპარულ გველზე. დედაჩემიც აღელდა, მოჰყვა ქოთქოთსა და ვაივიშს, აუ, გული მიგრძნობდა, ცუდი სიზმარი ვნახეო. ამ საუბრის მერე დილითვე დამავლო ბებიამ ხელი და თბილისში გამომაქანა. მამია ბაბუა გაოცებული დარჩა, გულით მოინდომა, სოფელში დავეტოვებინეთ. დას საყვედურობდა, - რა ფხუკიანი ხარ, ქალო, სად მიაპრონიალებ ბაგშეს, გაუშვი ხელი!

ბებია კი პასუხობდა, - აქანე გველებია, ძამია, და მეშინია მე!

- ქალო, გველები ყველგან არიან...

- ნუ მასწავლი ჭკუას, გეინი, იქით!...

- აპა, გზა თავისუფალია! - განზე გადგა ბაბუა.

- აპა, ახლა შენ იცი მამია, მიხედე დედას კარგად!

- უიმეე! - ბუზღუნით გატრიალდა მამია.

თვალები გავახილე, გველი თავზე შემომხვეოდა, თავადაც დასძინებოდა. ამოვიკვნესე და ისიც შემეხმიანა, - აბა, როგორაა საქმე?

- მე მგონი, კარგად, გმადლობ.

ნელნელა, ზლაზვნით მომამორა თავიდან თავისი კუნთიანი სხეული, - უნდა წამოჯდე, მე არ მაქვს ხელები, რომ დაგეხმარო.

წამოვჯექი, - კიდევ ერთხელ, გმადლობ!

- კარგი, არაა საჭირო ამდენი მადლობის თქმა, წავალ განვიტვირთები. - თქვა და ტბაში შესაცურად გაემზადა.

- მოიცა! - შევაჩერე, მუხლებზე დაჩოქილმა ყვითელ გველს თავზე ხელი გადავუსვი, დავიხარე და ვაკოცე კიდეც, აღარც მე-შინოდა და აღარც მეზიზლებოდა.

- ძალიან თბილი ხარ, მეტიც, ცხელი, მაღლობა შენ! - მითხრა
და ტბაში შესრიალდა, დიდხანს იყო იქ, ხანაც ყვინთავდა, ხანაც
ტბის ზედაპირზე წვებოდა და ნებივრობდა, გამობრუნდა და იქ-
ვე მჯდომს მითხრა, - მივიდეთ ელიასთან.

ზუზუ

მივუახლოვდით ელიას, პირქვე იწვა ქვიშაზე და ეძინა, დაიღა-
ლა ბავშვი შრომით, წითელ თასში ჩავიხედე და გავვოცდი, ვარ-
დისფერი მრგვალი ფორმის მარგალიტებით იყო სავსე. აი, თურმე
რატომ ხსნიდა ბრტყელ, დახურულ ნიუარებს, იქ მარგალიტები
იმალებოდნენ. მარგალიტების მაძიებელი ბიჭუნა ყოფილა.

- ეს ამათი ბიზნესია, - გამახსენდა კოკოს ნათქვამი, გავხედე,
ელიას თავთან დახვეულიყო და თავისი წაწვეტებული კუდის
წვერს დასცექეროდა. გამეღიმა, ადრე რომ მენახა ეს სურათი, გუ-
ლიც გამისკდებოდა, მაგრამ არ შემეშინდა, ნამდვილად ვიცოდი,
რომ ელიას არაფერს დაუშავებდა. მძინარე ანგელოზს ჰგავდა,
ოქროსფერკულულებიანს, მხოლოდ კოცნა და საათობით ცქერა



თუ მოუნდებოდა ნებისმიერ არსებას, ვერანაირად გაიმეტებდი, მშიერი მხეციც კი შეჩერდებოდა ამ მძინარე საყვარელი არსების წინაშე და გული სიკეთით აევსებოდა. ისეთი უწყინარი, ნაზი და დაუცველი ჩანდა...

- ნავალ მე ჩემ სახლში, დავიღალე, ნახვამდის თიკო.
- დაისვენე, დროებით!
- რაა?! - გამოუშვა შეკითხვა გაოცებულმა.
- დროებით მეთქი, ვიმედოვნებ, პირველი და უკანასკნელი არაა ჩვენი შეხვედრა, საუბარი...

- ააა, ჰო, ჰო, რა თქმა უნდა.
ერთობ ნასიამოვნებმა ჩამისრიალა და გამომხედა. ისევ გა-
დავუსვი თავზე ხელი და გავუღიმე.

- რა კარგი ხარ. - გაიფიქრა და ეს ფიქრიც მოვიდა ჩემამდე.
დავრჩი პატარა ელიას გვერდით და სამჯერ მზის ჩასვლას
ვუყურე, ულამაზესი სანახაობა იყო, მაგრამ მაინც საიდან ამო-
დის მზე, მხოლოდ დაისებს რომ ვხედავ?

პლანეტას შემოვავლე თვალი, მთის ინტერესი გამიჩნდა, ნე-
ტა რა იყო მთის უკან ან თუნდაც წინ.

პორიზონტზე აგურისფერი წერტილი გამოჩნდა და თანდა-
თან გადიდდა, წამოვდექი და დავაკვირდი, რა უნდა ყოფილიყო?
სულაც არ შემშინებია, უბრალოდ დავინტერესდი, დავინახე,
ჩემსკენ მორბოდა ინგლისური კოკერსპანიელის ლეკვი, ჩამოყ-
რილი ყურებით, მრგვალი, ლამაზი თვალებით, აშკარად ჩემსკენ
მორბოდა ქასქასით. მომიახლოვდა და ფეხის თითებზე დამსუნა.

- გამარჯობა!
გველი, გასაგებია, რაღაცნაირი ტელეპატიური უნარით მე-
ლაპარაკებოდა, მაგრამ ეს ლეკვი მართლა მეტყველებდა ბავშ-
ვის ხმით.

- გამარჯობა, პატარავ, - გავუღიმე, - შეიძლება ხელში აგიყ-
ვანო?

- ამიყვანე, ოღონდ ხელიდან არ გაგივარდე, მეტკინება.
- არა, რას ამბობ!
ავიყვანე და ჩავიხუტე, მოძრავ ცხიმის გორგალს წააგავდა
ნაზი ბეწვი ჰქონდა და ვარდისფერი ენა, ცხვირი ამილოკა.

- მადლობა კოცნისთვის, შეიძლება რაღაც გკითხო?
 - მკითხე, ოღონდ ისევ აგლოკავ.
 - რატომ იცით ძალლებმა ცხვირზე კოცნა?
 - ეს ნიშნავს იმას, რომ გენდობი, მომწონხარ და შენი მინდა ვიყო.
 - შენ არავისი ხარ?
 - კი, ელიასი ვარ, ჩვენ ერთად ვმუშაობთ.
 - რას აკეთებთ?
 - დაჯექი რა, სიმაღლის მეშინია, მე კიდევ კალთაში ჩაგიჯდები და ისე ვილაპარაკოთ.
 - კეთილი, ასე იყოს.
 - მე ვიგრძენი, რომ გიყვარს ძალლები.
 - რატომ უნდა მძულდეთ, თქვენ ისეთი საყვარლები და კეთილშობილები ხართ...
- დაიმორცხვა ლეკვმა, თითქოს გაიცინა კიდეც.
- მე რომ დაგელაპარაკე, რატომ არ გაგიკვირდა?!
 - მთელი დღეა თქვენი კოკო გველი მელაპარაკებოდა და შენ როგორლა გამაკვირვებდი.
 - ის არ ლაპარაკობს, თავში გიძვრება, მეშინია მაგისი.
 - მეც შემეშინდა თავიდან, მაგრამ კარგი არსებაა, ბოროტი არაა, თან მე მომარჩინა, იცი?
 - რა გაგიკეთა?
 - უმიშარი გამხადა.
 - რა კარგია, მეც მინდა შენნაირი გავხდე.
 - სთხოვე და დაგეხმარება, ნამდვილი ექიმია, ადამიანი რომ ყოფილიყო, კარგი ფსიქიატრი იქნებოდა.
 - ეგ უკვე გავაკეთე და არ დამეხმარა.
 - რატომ?
 - არ გჭირდებაო, თანაც პატარა ხარ და ვერ გაუძლებო.
 - დაუჯერე რასაც გეუბნება, ის ჭკვიანია.
 - მე მგონი ეზარება და იმიტომ არ მეხმარება.
 - არა მგონია, ეზარებოდეს, ალბათ, მართლა არ გჭირდება,
- შენ ძალლი ხარ და ძალლები მამაცები არიან. რას საქმიანობთ შენ და ელია?

- არ იცი?!
 - არა, ჯერ კარგად არცერთ ბიჭუნას არ ვიცნობ, მეტნაკლებად მათეს და ცოტათო რაფაელეს, ელიას არა.
 - ყველაზე მეტად ელია მიყვარს, ჩემი მეგობარია და ერთა-დაც ვმუშაობთ.
 - ეგ მაინტერესებს, რას საქმიანობთ.
 - მარგალიტების მოძიებაში ვეხმარები, შევცურავ ტბაში და პირით გამომაქვს ნიჟარები, ის რომ გაიღვიძებს, ისაუზმებს, მო-დის და იწყებს მარგალიტების ამოლებას.
 - მერე შენ რას აკეთებ?
 - მე ვშრები და მივდივარ თეთრ სახლში, იქ ჯამით მხვდება ჩემი საკვები, მერე ვიძინებ. მერე ისევ ვიღვიძებ და ბაობაბების თესლების მოსაძებნად მივდივარ, რომ მომშივდება ზოგს ვჭამ კიდეც, ჩემთვის კარგია, მალე გაზრდაში მეხმარება.
 - გამახსენდა, პატარა პრინცის პლანეტაზე ბაობაბები გაჩნდნენ, რომელთაც შეეძლოთ პლანეტის დაზიანება და ბიჭუნას დედამიწიდან ბატყანის წაყვანა უნდოდა, რომ ეპოვა და შეეჭამა ბაობაბები. ბატყანი არ ცხოვრობს აქ?
 - არა.
 - არც არასდროს ყოფილა წეტა?
 - არა, აქ მხოლოდ ნახატია, პრინცის ოთახშია კედელზე ჩამო-კიდებული.
 - წავიკითხე პრინცის ამბავი და მოვიხიბლე, ბედნიერი ვიქნე-ბოდი, რომ გამეცნო, სადაა?
 - წავიდა, თავის მოლაპარაკე ვარდთან ერთად.
 - რა, თქვა, სად მივდივარო!
 - სამოგზაუროდ, სხვა გალაქტიკაზეო.
 - და, როდის დაგბრუნდებიო?
 - ასე უთქვამს, აღარ დავბრუნდები, მერე ღმერთს უნდა ვეს-ტუმრო და მასთან დავრჩეო.
 - ამ ბიჭების მამაა?
 - იშვილა ესენი და ამათ დაუტოვა ეს პლანეტა.
 - გამოდის, რომ არც ესენი არიან ღვიძლი ძმები.

ლეკვი ამომაბობდა და თათებით მომეხვია, ლოყაზე მკოცნიდა ვარდისფერი ენით, მეც ვკოცნიდი, რატომლაც მეგონა, რომ ბაობაბის სუნი ასდიოდა. ისეთი სუფთა და ღუნდულა იყო, რომ მისი ჩაკბეჩაც კი მომინდა.

- ჯერ მხოლოდ მათე იყო. დრო გავიდა, გაიზარდა მათე და მოწყენილ ბავშვად იქცა, ხანდახან ტიროდა კიდეც.

- და რატომ ტიროდა?!

- მარტო გრძნობდა თავს და იმიტომ. ამიტომ, პრინცმა მათე კოკოს დაუტოვა და წავიდა, კიდევ ორი, ძალიან პატარა ბიჭი მოიყვანა, მათემ და პრინცმა გაზარდეს ესენი და მათე ამის მერე სულ იცინის და გახარებულია.

- დამავიწყდა მეკითხა, როგორ მოგმართო, რა გქვია?

- ზუზუ ვარ მე.

- ირანულ-ქართული სახელი რატომ გქვია?

- იმიტომ, რომ ქართველი ვარ.

- რანაირად, როცა ინგლისური კოკერსპანიელი ხარ.

- მასე თუ ვიმსჯელებთ, ჯერ ესანური წარმომავლობისანი ვიყავით, მერე ინგლისელებმა ცოტათი გადაგვაკეთეს და გავხდით ინგლისურები, მაგრამ მე, საქართველოში გავჩნდი.

- ზუზუ, თუ ქართველი ხარ, აქ როგორ აღმოჩნდი?

- არ ვიცი, ეტყობა გადამაგდეს, გამიმეტეს ადამიანებმა, სადღაც დამაგდეს, ბალათერმა მიპოვა და მომიყვანა.

- ვაა, ესეც რა ქართული სახელია, და ვინაა ეს ბალათერი.

- ქართველი არწივია.

- ანუ, დედამიწელია?

- კი, ასეა, ძალიან მიყვარს.

- აქ ცხოვრობს?

თავი გააქნია ზუზუმ, -არა, სტუმრად მოდის ხოლმე და ბაობაბებს ვატანთ, რომ ისევ დედამიწაზე დააბრუნოს, რომ იქ აღმოცენდნენ და გაიხარონ.

ზუზუ ელიასთან მიცუნცულდა.

- არ გააღვიძო, ცოდოა.

- გავაღვიძოთ, ეყოფა ძილი.

ზუზუმ დაყნოსა. ელიას თმა, სახე, ყელი, მერე ცხვირი გაულოკა. ელიამ თვალები გაახილა, ლეკვს გაულიმა და ნაზად, თავზე ხელი გადაუსვა. ზუზუმ ხტუნვა დაიწყო, - ადექი, ადექი, ვითამაშოთ!

- მაცალე, გავიზმორო, და ვითამაშოთ!
 - „გმადლობ თიკო!“ - ჩამესმა კოკოს ხმა, ყურში კი არა, თავში.
 - რისთვის!
 - გავიგონე, რასაც ეუბნებოდი ზუზუს ჩემზე და გამიხარდა, დიდი ხანია, ასე არაფერი გამხარებია.
 - შენ აქ იყავი, აქ ხარ?
 - არა ვარ მანდ, მაგრამ სადაც ვარ, ყველგან შემიძლია მოგისმინო.
 - დედამიწაზეც?
 - არა, მანდ აღარაფერი მესაქმება.
 - გულახდილად გეტყვი, თუ ასე ყველასი გესმის, საშიში ხარ!
 - ვითომ რატომ!
 - შეგწევს უნარი სხვები შენს ჭკუასა და ნებასურვილს დაუმორჩილო.
 - რომც შემეძლოს, მაგას არც ვიკადრებ, და თანაც არ შემიძლია ეგ!
 - აბა, მე როგორდა მომისმინე?
 - შემიძლია ფიქრებით მოგიკითხო, დაგეხმარო სიტყვით, დარიგებით, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მე შენში უკვე ვიყავი, ვნახე შენი ფერი, სული, შენი გენეტიკა და იმიტომ.
 - ანუ, როცა დედამიწაზე დავბრუნდები, იქ ვეღარ დამელაპარაკები ფიქრებით?
 - დიახ, ასეა, ჩემო კარგო.
- თავი ჩავლუნე და გავიფიქრე, კარგი იქნებოდა, ხანდახან შემსმიანებოდა დედამიწაზე კოკო, აქაურ ამბებს მომიყვებოდა და ჩემს მოკითხვებს ბავშვებს გადასცემდა.
- არ გამოვა ეგ ამბავი, არა! - შემეხმიანა კოკო, სისინით იცინოდა, ძალიან ხმამაღლა.
 - არ მაკონტროლო კოკო, დამტოვე ხოლმე ჩემს ფიქრებთან, იზამ ამას?

- ნება შენია, იყოს ასე.

ელიამ და ზუზუმ დაჭერობანას თამაში დაიწყეს, ისე ბზრია-ლებდნენ, თავბრუ დამეხვა.

ელიამ ბრძანა, - თიკო დეიდა, უნდა გამომყევეთ, სადილის დროა უკვე, მერე რამე ვითამაშოთ, ამასობაში მათე და რაფაელეც მოვლენ.

- რა უნდა მაჭამო ელია?

- რა და, გოგრის წვნიანი.

- მეტი არაფერი?

- არა, კიდევ ფორთოხლისა და გრეიიფრუტის წვენიც უნდა დალიოთ.

- ეგ ხომ უკვე დავლიე, ალუბლის არ გაქვთ?

- უარის ნიშნად თავი გააქნია ელიამ, თან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ამათი გოგრის წვნიანი.

- საღამოს ვახშმად რა გვექნება?

- თქვენთვის მხოლოდ ნუშის რძე.

- ოო, ეგეთი რძე არასდროს დამილევია, მხოლოდ ძროხის რძეს მასმევდნენ, ისიც ძალით.

- ეს რძე მოგეწონებათ.

ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი, როგორც ელიამ თქვა. მი-ვუსხედით სუფრას, მათე და რაფაელეც გამოჩნდნენ. მერე ზუ-ზუს უბრძანეს გარეთ გადიო, მაგრამ ძალიან მომინდა ჩვენთან ყოფილიყო, ვთხოვე დატოვეთ მეთქი. ზუზუ გათამამდა, თავი-სი საკვები არ შეჭამა, გოგრის წვნიანი მაჭამეთო და აჭამეს, აბა, რაღას იზამდნენ?!

ბიჭებმა მეც მიმითითეს რა უნდა მექნა, კბილები გაიხეხე და წადი, დაიძინეო. წავედი ჩემი ოთახისკენ, მაგრამ მარტო დაძი-ნება არ მომინდა, ვანიშნე, გამომყოლოდა, ისიც წინ გამიძღვა ზუზუ.

- სად მიდიხარ ზუზუ? - ჰკითხა ელიამ.

- თიკომ და მე ერთად უნდა დავიძინოთ.

- დღეს ჩემთან უნდა დაგეძინა, ზუზუ!

- მე თიკოსთან მინდა, - თქვა ზუზუმ.

ელიამ გადაიკისკისა, - შე მოღალატევ შენა, ჰო, კაი, მიდი! ლოგინი გაშლილი დამხვდა, რომელილაცა ბიჭუნას თეთრი ღამის პერანგი სათუთად დაედო ბალიშზე. გული ამიჩუყდა.

კაბის გახდა დავიწყე და ზუზუს შევხედე, პანია, მოკვეთილ კუდს აქიცინებდა და ინტერესით მიცქერდა.

- შენ გვერდზე გაიხედე ზუზუ!

- რატომ?!

- მერიდება, რომ მიყურებ.

- რისი გერიდება, გიყურებ რა!

- კარგი, ოღონდ არავის უთხრა, გახდილი რომ მნახე.

ზუზუმ გაიცინა და ცოტათი დაინკმუტუნა კიდეც.

ჩავიცვი ღამის პერანგი და ჩავწექი ლოგინში. ლეკვი ამოხტა საწოლზე და ჩემს ფეხებთან მოკალათდა.

- მოდი ჩემთან, ღამით ფეხების ქნევა ვიცი და შემთხვევით თავში არ წაგკრა.

- არაუშავს, გავუძლებ.

- მოდი ჩემთან.

- მერე არ შეგანუხებ?

- შენ როგორ უნდა შემანუხო, იცი, რამდენ ძალლთან დამიძინია ჩემ საწოლში?

- მართლა, ბევრი ძალლი გყოლია!

- კი, სამი მყავდა. ჯერ შპიცი ბაჩო მყავდა, მერე შენნაირი გოგო ძალლი ტოჩა ცხოვრობდა ჩემთან ცოტახნით, პატრონებ-მა დამიტოვეს დროებით. მერე ვიღაცამ ლეკვი მომცა ვიღაცის-თვის გადასაცემად, და ის ლეკვი, სანამ პატრონს მივგვრიდი, 4 დღე და ღამე ჩემთან იყო.

- როგორი კეთილი ქალი ყოფილხარ, - მითხრა ზუზუმ.

თავი გულზე დამადო, - მე ახლა შენი დუგუდუგუ მესმის, ძალიან ნელა ამბობს დუგუდუგუს.

- შენ რომ ხარ ჩემს გვერდით, იმიტომაა მშვიდად ჩემი გული.

- და ეს ჩემი ბრალია?! - გაიკირვა ლეკვმა.

- რა თქმა უნდა, შენ ჩემი იმედი ხარ ეხლა, საშინლად მეძინება, მაგრამ ვიცი, ცუდი სიზმრისგან დამიცავ.

- რა უნდა გავაკეთო?
- არაფერი, ჩემთან ერთად დაიძინე, ცუდ სიზმარს შეეშინდება და ალარ გამეკარება.
- რომ იცოდე, როგორ მიხარია!
- მეც, ჩემო პატარავ, კარგად ჩამეხუტე, გიგრძნო მინდა, რომ შემთხვევით არ გაგჭყლიტო.
- ნე გეშინია, მე არ გავიჭყლიტები.
- ვითომ რატომაო?!
- მიყვარხარ და იმიტომ.

ლამაზ თავზე ვაკოცე პატარას, მანაც თავისებურად, ცხვირის ალოკვით გადამიხადა მადლობა და მაშინვე ჩაგვეძინა.

ლამით ხვრინვამ გამაღვიძა, ზუზუ ქშინავდა, ადამიანივით, ღრმად ეძინა, ტკბილად. ფრთხილად გამოვეცალე და გამახსენდა ერთი ძალი, რომელმაც დიდი მეგობრობა გამიწია ცივი ოქტომბრის ღამეს.

მეტისი ლეკვი მოვიდა ჩევნს სახლთან და მაინცდამაინც ზუსტად ჩემ სადარბაზოს შეაფარა თავი, შეშინებული ჩანდა, სულ წერტუნებდა. მეცოდებოდა და ვკვებავდი. სხვების დამოკიდებულება ამ არსების მიმართ სხვადასხვაგვარი იყო, ზოგი წიხლს ამოარტყამდა მძინარეს, ზოგიც წყევლიდა, ზოგი ქოქოლას აყრიდა, ზოგიც ჩემსავით ყურადღებას აქცევდა და დაიბნა საწყალი, კარგა ხანს იყო ამ მდგომარეობაში, ვერ ხვდებოდა, ვის როგორ მოქცეოდა.

კეთილი ადამიანები დაიმახსოვრა და ვინც კარგად ვექცეოდით გვეფერებოდა, ზოგს კი უყეფდა და ლიფტამდეც არ უშვებდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა გაიზარდა და დავაუკაცდა, როგორც ძალმა, საქმე გაიჩინა, უცხო ხალხს უყეფდა, ხშირად მანქანებსაც მისდევდა ყეფაყეფით. ძალლი იყო და აპა სხვა რა უნდა ექნა?!

დილით და საღამოს ვკვებავდი ხოლმე, ისიც კუდის ქიცინით მაცილებდა ლიფტამდე, სახლშიც ვეპატიუებოდი, მაგრამ ლიფტში ცოცხალი თავით არ შემოდიოდა, ფეხითაც ავსულვარ მეექვსე სართულზე ამ შავი ძალლის გამო, ვიმედოვნებდი ამომყველის გადამოსავარად.

ბოდა, მაგრამ არა, მხოლოდ მესამე სართულამდე და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა პირველ სართულზე, ერთი მეზობლის კარ-თან წვებოდა და იძინებდა, ის ქალი კეთილი იყო, თბილად რომ ყოფილიყო, რაღაც ძველი სვიტერი დაუფინა ძალს მოსასვე-ნებლად. ერთობ ემადლიერებოდა იმ ქალს ეს ძალი. სახელი არ ჰქონდა და ვისაც რა უნდოდა იმას ეძახდა, არცერთ შეძახილზე არ რეაგირებდა. ძალოს თუ დაუძახებდი, მხოლოდ მაშინ თუ მოგაქცევდა ყურადღებას, ალბათ იცოდა ძალი, რომ იყო და იმიტომ.

ერთხელ, ჩემი ვაჟი მათე წინასწარ გავაფრთხილე, საღამოს შეიძლება დამაგვიანდეს-მეთქი, ისიც მელოდა. ღამის პირველ საათზე დავბრუნდი ტაქსით შინ. სადარბაზოში რომ შევედი, შავ ძალს ეძინა, დავხედე, გამოვიდახე ლიფტი და ავედი ჩემ სარ-თულზე, დავრეკე ზარი ერთხელ, ორჯერ, მრავალჯერ. ვაბრა-ხუნე, მობილური ტელეფონითაც დავურეკე, მაგრამ არ მიპასუ-ხა, კარიც ვერ გავაღე, შიგნიდან, ურდულით იყო გადაკეტილი. მივხვდი, რომ ბავშვს ჩასძინებოდა. ნანიკოც ახალი წასული იყო სახლიდან, რამდენიმე კვირის წინ მოვიდა ჩემი გოგოს შეყვა-რებული და გამომიცხადა, ნანიკოს წასაყვანად მოვედიო, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარსო. განზე გავდექი. სასიძო წინ გამიძლვა და შეყვარებულის ოთახში შევიდა.

ვკითხე ქალიშვილს, - ნანიკო, გინდა წასვლა?

თავი დამიქნია.

- გიყვარს?! - ისევ თავი დამიქნია.

ამ დროს მათეც შემოვიდა ოთახში.

- კარგი, გაყევი მაშინ.

ნანიკო წამოხტა საწოლიდან, დაავლო ხელი დიდ ჩანთას და ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო. გულზე სევდა შემომაწვა, მაგ-რამ რას ვიზამდი. გული დამწყდა იმის გამოც, ასე უბრალოდ მიდიოდა ჩემგან. მამა რომ ცოცხალი ყოლოდა, განა ასე გაუშ-ვებდა ქალიშვილს სახლიდან?! ვფიქრობდი და ცრემლს ძლივს ვიკავებდი, წავიდეს, ბედნიერი იყოს, მთავარი ესაა.

დამშვიდობება გამოგვივიდა უცნაური. ნანიკო და გიორგი

კარებთან იდგნენ, მე და მათე მათ მოპირდაპირედ. გიორგიმ და მათემ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ნანიკო იდგა და გვიყურებდა, გვიღიმოდა, - მათე, მოვალ ხოლმე სახლში და დავრჩები ლამეც, ხანდახან! - ასე უთხრა ძმას, მერე ისინი გავიდნენ, ჩვენ კარებთან ვიდექით გაქვავებულები და ველოდით ლიფტის ამოს-ვლას, რომ ისინი წასულიყვნენ. წავიდნენ...

შემოვბრუნდით სახლში, კარებიც ჩავრაზეთ. თეფშები გავრცხე, არ მახსოვს, კიდევ რაღაც გავაკეთე. ვკითხე მათეს, - გული არ დაგწყდა, ნანიკო რომ წაიყვანა ბიჭმა?

- არა, რატომ!
- დის შინ დატოვების სურვილი არ გავიჩნდა?!
- მოიცა რა, ძლივს მაგან რაღაც მოახერხა და...
- რას ამბობ მათე! - გამეცინა უცებ.
- გოგო სულ შინ იჯდა ან უნივერსიტეტში იყო ლექციებზე და მაინც გათხოვდა. რა, ადვილი გვონია ქალიშვილის გათხოვება დღეს?! მომეწონა გიორგი!
- მართლა?
- რაც მთავარია, განათლებულია, გაგებული, წესიერი და თან მართლა ბიჭია.
- აბა, ვინ შეიძლებოდა კიდევ ყოფილიყო!
- რა ვიცი კაცო!... ზოგჯერ გოგოს ჰელად ბიჭს მიყვება და აღმოჩნდება, რომ თურმე გოგოს გაყვა!
- ამის გაგონებაზე ხარხარი ამიტყდა.
- დედა, როცა ცოლის მოყვანას გადავწყვეტ, წინასწარ უნდა შევამოწმო.
- რატომ ბიჭო!
- რა ვიცი, მთავარია გოგო აღმოჩნდეს! - ჩაიქირქილა ჩემმა მათემ.
- ზუზუს წამოყეფებამ შემაკრთო, ჩემ ბალიშზე დაჯდა და მითხრა; - თიკო, კარი გამიღე.
- რატომ, იყავი ცოტახანს ჩემთან.
- ისა, დროა ტბიდან ნიჟარები უნდა გამოვიტანო.
- კარგი.

სანამ ავდგებოდი, ზუზუმ ჩემი ხელის გალოკვა მოასწრო და კარებთან მიკუნკულდა. გავაღე და ისიც ყეფაყეფით გაიჭრა ღია სივრცისკენ.

ნეტარა დღე გამითენდა, ან როგორ დამიღამდება, მთავარია, არ მოვიწყინო და მონატრებამ გული არ დამიმძიმოს. მივიხედ-მოვიხედე, ჩემი კაბა ველარ დავინახე, მაგრამ მის ადგილას ახალი იდო, ისიფერი, თეთრი კოპლებით კი არა, უკვე მოზრდილი ბურთულებით მოხატული. გამეღიმა. აბაზანის წყლით გავსება დამეზარა და შეხაპი მივიღე, მოვწესრიგდი.

მისაღებ დარბაზში, უზარმაზარ მაგიდაზე უკვე იდო ჩემთვის განკუთვნილი საუზმე, ერთ თევზზე თხლად დაჭრილი ანანასი, მეორე, ცოტათი ღრმა თევზზე ეყარა ნუში და კაკლის დაუქუც-მაცებელი ლებნები და რა თქმა უნდა, უზარმაზარი ჭიქით ციტ-რუსის წვენი.

საუზმის შემდგომ ვიგრძენი, რომ თავში რაღაც კვანძი თუ ნასკვის მსგავსი რამ გამეხსნა, გარეთ გავედი და ჩემს ფილტ-ვებში ვიღაცამ თითქოს ქოლგები გაშალა. შევყონდი, ვინაიდან კვლავ სადარბაზოს მრავალსახელიანი ძალლი დამიდგა თვალწინ. გონებამ კვლავ დედამინაზე დამაბრუნა, იმ ღამეს, მათეს ჩემს ლოდინში სავარძელში რომ ჩაეძინა და კარებს ვერ მიღებდა.

სასოწარკვეთილი კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, ვის მივდგომოდი ღამის გასათევად ამ დროს, ვერცერთ მეზობელს, ვერც მეგობარს ვერ შევაწუხებდი იმ მიზეზით, რომ სახლში ვერ შევდივარ და თქვენთან ღამე გამათევინეთო, სიძესთანაც კი ვერ წავიდოდი, მერიდებოდა და საფულეც უკვე დაცარიელებული მქონდა, ტაქსიშიც ვერ ჩავჯდებოდი.... ეჲ, რაც არის არის, ვიქნები აქ, გავიფიქრე და რას ვხედავ, შავი ძალლი ამოდის ფრთხილად და მოწინებით, სახეში მიყურებს!

- ჩემს გასამხნევებლად მოხვედი ბუთქუნავ? - ვკითხე მე.

ძალლმა კუდი გააქიცინა თავი დახარა, მომიახლოვდა და ჩემ გვერდით გაწვა. მკლავი გადავხვიე და ჩემსკენ მოვზიდე, მორჩილად მომყვა და ჩამეხუტა, თან მყნოსავდა, გრძნობდა, რომ მციოდა და ცდილობდა თავისი სხეულით გავეთბე. ასე თავმი-დებულებს ჩაგვეძინა.

მობილურმა დარეკა. მათე იყო.

- სად ხარ დე!

- აქ ვარ შვილო, კარებს არ მიღებდი და რა მექნა?!

უცებ გააღო კარი მათემ და კიბეზე მჯდომი, შემცივნებული და ძალთან ჩახუტებული რომ დამინახა, გაშეშდა, მერე გაეღიმა, - ერთი ამას უყურე, რა გეშველებოდა, ქვეყნად ძალლები რომ არ ყოფილიყვნენო.

წამოხტა შავი ძალლი და მათესთან მივიდა.

- შემოდი ძალლო! - უთხრა მათემ. მაგრამ არა, ის არ შემოვიდა, მერე მე მივმართე, - დამელოდე, ახლავე გამოვალ.

კარი სანახევროდ მივხურე, მაცივრიდან შებოლლილი ლორი გამოვიდე, დავჭერი, დავაქუცმაცე, თეფზე დავყარე და სადარბაზომი გავიტანე, რომ ძალლს გავმასპინძლებოდი, მაგრამ ის კარებთან აღარ იდგა, მოშორებით მეღოდა, ქვედა სართულის დასაწყისში.

- მოდი პატარავ, მიირთვი!

არ მოვიდა, თავი დახარა და ფრთხილი ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე, არ მიიღო ჩემგან არც მადლიერება, არც მოწყალება. გამიკვირდა...

რაფაელე დავინახე, პლანეტას ასუფთავებდა.

მივუახლოვდი და მივეხალმე.

- არ გინდა დაგეხმარო?

- არა! - მიპასუხა რაფაელემ და საქმე განაგრძო.

ახლა ტბასთან მივედი, გაფაციცებით მუშაობდა ელია, თან რაღაც უცხო მეღოდიას ღიღინებდა.

- ელია, გამარჯობა!

- დილა მშვიდობის, თიკო დეიდა! - მხიარულად მიპასუხა. მივხვდი, რა არსებას ვამსგავსებდი ამ ბავშვს, დელფინს, მხიარულს, კეთილს, უანგაროს და მეგობრულს.

- ელია, მასწავლე, როგორ გავხსნა ნიუარები და მეც მოგეხმარები.

თავი გააქნია ჯიუტად.

- რატომ ელია?!

- ეს ჩემი სამუშაოა და მე უნდა გავაკეთო.

მეწყინა ეს რომ მითხრა, - აჲა, გასაგებია!

გავაგრძელე გზა და არც კოკო შემხვედრია, არც ზუზუ. მა-
თე ხომ არასდროს იყო ამ პლანეტაზე, ალბათ, დაპეროდა თავი-
სი ცის მანქანით სადღაც. უსაქმურობამ დამღალა, წიგნი მაინც
მქონიდა რამე, რომ წამეკითხა.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ზუზუს ცივი და სველი ცხვირი შე-
მეხო ფეხზე.

- როგორ ხარ!

- კარგად, ზუზუ.

- წავალ, შევჭამ, მალე დასვენების საათი დადგება, ჰოდა და-
მელოდე, არსად წახვიდე, მოვალ და გაგართობთ.

თქვა, და თეთრი სახლისკენ აიღო გეზი. რაო, რა თქვა? გა-
გართობო თუ გაგართობთო, როგორც ჩანს მიხვდნენ, მოწყენი-
ლი რომ ვარ.

არ მახსოვს, რამდენჯერ დავტკბი მზის ჩასვლით, მერე ტბის
ქვიშაზე მჯდარს, მუხლებზე თავჩარგულს ჩამეძინა.

მეორე ნაწილი არცივი გაღათები

თემური დამესიზმრა, ჩემი მეუღლე, ადრეც დამესიზმრა რამ-დენჯერმე, მას შემდეგ, სადაც წავიდა, იქ, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან და ეს მკლავდა, მანადგურებდა, მონატრება მტან-ჯავდა მუდმივად, დაუმთავრებელი შეხვედრის მოლოდინი, სევ-და და ამის გამო შევიძულე სიკვდილი, მზად ვიყავი სადმე შევყ-როდი და ჩემი ხელით დამეკლა, როგორც მხეცი, ამეკუნა, მერე დამეწვა, მერე ფერფლი ისეთ ადგილას გამესტუმრებინა, მისგან მტვრისა და ფერფლის ერთი მოლეკულაც რომ არ დარჩენილიყო, მაგრამ ფუჭი იყო ეს ოცნება, უტოპია.

ყოველ ლამით უფალს ვთხოვდი დამსიზმრებოდა და რამ-დენჯერმე დამესიზმრა კიდეც. ვხედავდი, გული სიყვარულით მქონდა საესე, ის კი ჩემსკენ არც კი იხედებოდა, თითქოს არც მცნობდა, ცალი თვალითაც არ შემოუხედავს და ვიღვიძებდი გამნარებული, გაოგნებული. ადამიანი, ჩემი ყველაზე ახლობე-ლი, მეგობარი, თანამგზავრი ამგვარად რატომ მექცეოდა სიზ-მარში, რატომ!!!



წავიდა, თავი დამანება, განმერიდა, დამშორდა, გამიმეტა მარტოობისთვის, გასაჭირისთვის და შეჭირვებისთვის ამ დაუნდობელ საზოგადოებაში, ვითომ რომ უყვარხართ, ვითომ რომ გემეგობრებიან, ეცოდებით, მაგრამ, წაქცეული თუ ფეხზე წამოდექი, ამას არ გპატიობენ და ჩასაწიხლად მზად არიან, რომ კვლავ წაიქცე, დაიფშვნე, განადგურდე და, წარმატების უამს, კარგად და მშვიდად ყოფნის დროს აწყდები იმ ადამიანების მხრიდან მტრობასა და შურს, საერთოდ რომ არ მოელი, მაგრამ ყველაფერს ეჩვევა ადამიანი...

საკუთარი თავის იმედად ყოფნას ეჩვევი, უპირველეს ყოვლისა, გზად თუ კეთილი და ძლიერი ადამიანი ერთჯერადად მაინც ხელს შეგაშველებს უანგაროდ, უზომოდ გიხარია. საოცარია, ვისგანაც თანადგომას ელი და ის ზედაც არ გიყურებს, ცხოვრებაში ჩნდება ვიღაც სხვა, უცხო, რომ არ მოელი მისგან არაფერს და ის გევლინება გადამრჩენლად. ნეტა, ამგვარი ფაქტებით რისი დამტკიცება უნდა უფალს?! არ ვიცი.

ახლაც გაურკვევლობაში ვარ, არ ვიცი რა დამემართა, რა მჭირს ნეტავ, ან აქ რატომ ვარ...

ჰო, აქ, ამ უცხო სამყაროში ჩემი შვილების მამა გამომეცხადა, მარტო იდგა მინდორში თავჩაქინდრული. მისკენ გავიქეცი, თავი არ აუნევია ჩაფიქრებულს, შეტრიალდა და წავიდა, სახეც არ დამანახა, სახე, რომელიც ასე მიყვარდა ერთ დროს და ახლა, წლების გასვლის შემდეგ, მისი წაკვთები ჩემს წარმოსახვაში გაბუნდოვანდა, გაფერმრკრთალდა და შორს წავიდა თვალთახედვიდან, ვერა და ვერ მოვახერხე ამ სახის ახლოს მოტანა... და მაინც არ დამანახა, რატომ ღმერთო! მივდევდი ჩემსკენ ზურგ-შექცეულად, მშვიდად მიმავალს და მაინც ვერ ვენეოდი, მეტიც, მანძილი ჩვენს შორის უფრო და უფრო იზრდებოდა და დავიღალე, ავტირდი.

- თიკო დეიდა! - მხარზე შემეხო რაფაელეს ტკბილი, ფუმფულა ხელი.

ელიასაც თანაგრძნობით შეჭმუხვნოდა წარბები, მათე დოინჯშემორტყმული იდგა და მიყურებდა, ზუზუს თავი გვერდზე

გადაეხარა და ასე მიცქერდა თავისი მრგვალი თვალებით, კო-კოც ყალყზე შემდგარიყო, მას შევხედე, მკითხა და ეს შეკითხვა მხოლოდ მე მესმოდა და სხვას არავის:

- ცუდი სიზმარი ნახე, გოგო?
- თავი დავუქნიე.
- რა მოხდა? -იკითხა მათემ, - ბავშვებმა ხომ არ გაწყენინეს?
- არა, რას ამბობ, ჩამეძინა და ცუდი სიზმარი ვნახე.
- არ გინდათ, მთასთან მისვლა? - მკითხა ელიამ.
- რატომაც არა! - ვთქვი მე და მჯილით ცრემლები მოვიწმინდე. ასე გავუდექით ექვსნი გზას მთისკენ.

გზად მიმავალს ეჭვი მეპარებოდა, რომ საერთოდ ვარსებობდი, რომ სხეული მქონდა. ვფიქრობდი, ალბათ სული ვარ უკვე და ეს სამოთხეა, ან, ისეთი რამ, რაც სიცოცხლეში არც მე და არც სხვა ვინმე სულიერმა არ იცის, ჯერ, ალბათ, ადგილი ვერ მიპოვია აქაურ ცხოვრებაში, როგორც სულს და რა ვიცი მე!.. აქ ყველაფერი ლაპარაკობს, ადამიანები, ცხოველები და კიდევ, ვხედავ, რომ ყველა ბიჭია, მე კიდევ განსხვავებული ვარ, მდედრი ვარ, უმცირესობაში ვარ?! არ ვიცი, ალბათ ერთადერთი ეგზემპლარი ვარ და რა ვიცი მე, რა ვიცი!!!

მივადექით მთის ძირს, დავდექით ექვსივე, მივბაძე ამათ და მეც მათსავით მთის წვერს დავუწყე მზერა. უზარმაზარი არწივი მოფრინდა კაუჭა ნისკარტით, რძენარევი ცხელი შოკოლადის ფერი, ისეთი დოდი, რომ ჩვენ ყველანი, მის გვერდით წერტილებად თუ გამოვჩნდებოდით. მინახავს არწივები თბილისის ზოოპარკში, მაგრამ გოლიათები არა!

მთის წვერზე დადგა ბრჭყალებიანი ფრინველთა მეფე, ამაყი, მკერდგამოწეული, უზარმაზარი ფრთები მოკეცა, შემდგომ ადამიანივით დოინჯი შემოირტყა წელზე, მერე ცალი ფრთა ასწია და საჩვენებელი თითოც აღმართა ცისკენ, არა, თითო არ იყო ალბათ, თითს ჰერცი... არ მომეჩვენა, ნამდვილად ხელებივით იყენებდა ფრთას, ან ფრთები ჰერცი ხელის მტევნებს, არ ვიცი, არ ვიცი მე! ალბათ შევიშალე და ეს ყველაფერი სიზმარია, ოღონდ ის ვერ გამირკვევია ცუდი სიზმარია თუ კარგი. აქ ყველა კეთილია და ალბათ არწივიც.

დაგვხედა ზემოდან, ომახიანი, მამაკაცური ხმით ჩამოგვძახა, - მოხვედით მეგობრებო? ეს ქალბატონია თქვენი სტუმარი?! მოგესალმებით ქალბატონო, გელოდებით, ამოდით ყველანი. პირველი კოკო იყო, ვინც წინ გასრიალდა, ამას მიჰყვნენ მათე, რაფაელე, ელია. მე ბოლოში მივჩანჩალებდი, გულგრილი, ყურებჩამოყრილი, უკვე აღარაფერი მიკვირდა და არც არაფერი მაინტერესებდა, მივდევდი მათ, ელიამ ხელი ჩამკიდა, ამზიდა სიმაღლისკენ, მკლავი მეტკინა, მაგრამ რას დავეძებდი, ყველაფერი სულერთი გახდა, აბა რა, როცა შენიანები გენატრება, წასულები, დარჩენილები და იმედი გაქვს გადაწურული, მათ ვეღარასდროს შეხვდები, მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწაზე არ ხარ და არ იცი, რა გელის წინ, მაგრამ რას დავეძებდი, არაფერი აღარ მაინტერესებდა და არც მიკვირდა. უინტერესო იყო ჩემთვის ის, რაც ახლა ამ წუთს ხდებოდა. რა უნდა გამკვირვებოდა, რა მერე, რა! მთის წვერზე გოლიათი ფრინველი გველოდა, რა მერე, რა!

ეს ჩემთვის იყო ასე, იმათ კი უხაროდათ!

ყველას ფრთა ჩამოართვა, ჩემი ჯერიც დადგა, თან დამელაპარაკა, - გამარჯობათ, სევდიანო ქალბატონო, მაგრამ აქ სევდა დიდხანს ვერ ჩერდება! - თითებივით მომიჭირა ხელზე ფრთა და პირველად გამიკვირდა. დამავლო ფრთები და ცისკენ ამზიდა, დამისვა კისერზე და უცბად, სადღაც, შუბლის არეში სიგრილე ვიგრძენი.

- რაო ქალბატონო, არ მოგწონთ? - მკითხა ამაყად.
- დიახ. ძალიან მომწონს, გმადლობთ.
- აბა, მოდით თქვენცა, შეხედეთ, რა ლამაზი თეთრი ღრუბლებია, ამათ ცქერას რამე სჯობს?!

დანარჩენებსაც დაავლო ფრთები და ყველანი წამში გვერდით დამისკუპა. კოკო გაინელა, გაიზმორა, თავს კომფორტულად გრძნობდა არნივის ზურგზე.

ღრუბლები ხომ ისედაც ვიცი რანაირია, დედამიწის ცაზეც ამგვარი ღრუბლებია, არანაირი განსხვავება!

ნუ წაიკიდებ ეხლა თავზე ცეცხლს, დაწყნარდი. პირდაპირ თავში შემომივარდა კოკოს წინადადება, მეც გავეცი ფიქრით პასუხი.

- თავს ვერ ვიმორჩილებ, აგრესიული გავხდი.
- მართლა? ეგ კარგია, რასაც გრძნობ, კარგია, ესე იგი, გამო-ჯანმრთელება დაწყებულია.
- რა მჭირს კოკო, რა, მითხარი?
- ვერ გეტყვი, მე ადამიანი არ ვარ, გველი ვარ, მაგრამ კარგი არაფერი გჭირდა და რაც გჭირდა, იმას დედამიწაზე გაიგებ, რო-ცა დაბრუნდები.
- ეჭვიანი გავხდი, კოკო, მგონია, რომ არასოდეს დავბრუნდე-ბი დედამიწაზე.

- რომ გეუბნებიან დაბრუნდებიო, ესე იგი დაბრუნდები. იცი რას გეტყვი? არანაირად არ მეცოდები. დაგვიჯერე, აგვყევი, გაბრაზდი, იჩხუბე, ეს ყველაფერი ძალიან კარგია შენთვის.

ასე, აზრების თუ ფიქრების გადაცემით გავერთეთ მე და კო-კო, რა ვიცი მე...

არწივის ზურგზე კი დიდი მხიარულება სუფევდა, ის გოლია-თი რაღაცისთვის გვამზადებდა.

მთის უკანა მხარეს მარჯვენა ფრთა ჩაყო და შუაში კალათა-დამაგრებული უზარმაზარი ქამარი ამოილო, ოსტატურად შე-მოირტყა წელზე ისე, რომ ჩვენ არც კი შევრხეულვართ. კალათა არწივის ზურგზე მოექცა, მან ბრძანა, - ჩასხედით, ირაოს და-ვარტყამთ ამ მთას.

ვამა, ერთხმად შესძახეს, მხოლოდ მე და კოკო ვიყავით ჩუ-მად, წვივზე შემომეხვია გველი. ინფორმაცია მივიღე, რომ გავმ-ხიარებულიყვავი. არა მეთქი, გავუგზავნე ფიქრი. მაგასაც ვნახა-ვო, გამომიგზავნა იმანაც.

ძლივს ავბობდი და ჩავგორდი კალათში, ჩემი წამოყენება სცადეს, მაგრამ დავიყვირე, - ხელი არ მახლოთ, რა კარგია, ვიქ-ნები რა ასე, შეიძლება?

თავი დამანებეს, მხიარულება განაგრძეს. ეს იყო რაღაც საო-ცარი პოზა, კალათაში გაშხლართული თიკოს სახით, სანახაობ-რივად კი არა, შინაგანი მდგომარეობის მხრივ. საკუთარი სულის მოძრაობა ვიგრძენი, თითქოს აქამდე ეძინა და გაიღვიძა. მერე ჩემმა ფიზიკურმა სინაზემ აღმაფრთოვანა იმგვარად, როცა თე-

მური კოცნით, მოფერებით მაბედნიერებდა, იმგვარი სიხარული, როცა შვილები გამიჩნდა, იმგვარივე გულაჩუყება დამემართა, როცა ჩემი გოგო და მრავალი წლის შემდგომ ბიჭი ექიმებმა ჩემს მკერდზე დააწვინეს და მათი სუნთქვა მესმოდა.

გავვოცდი, ერთი წუთის წინ უშმური ვიყავი და უცბად კა-თარზისი განვიცადე. თითქოს დაზიანებული ადამიანი ვიყავი და განვმრთელდი. აფრინდა არნივი და ღრუბლებიც გარდაიქმნა, ისეთები აღარ იყო, როგორც საერთოდ არის.. თითქოს უხილავი მოქანდაკის ხელი საოცარ სკულპტურებს წამებში ქმნიდა და იქვე შლიდა, მერე, ახალ კომპოზიციებს აგებდა და არღვევდა, გული მწყდებოდა, აღქმასაც ვერ ვასწრებდი. გასაოცარი გა-ოგნება შემეყარა, როცა ღრუბლებმა დამანახეს იმ ადამიანების სახეები, ვისგანაც სიკეთე, თანადგომა, სიყვარული, დახმარება მივიღე ისე, რომ, არც მითხოვია, მათ იცოდნენ, რომ საჭირონი იყვნენ ჩემთვის და უკან არ დაუხევიათ, არც ზურგი შეუქცევიათ ჩემთვის, არც ხელი ჩაუქნევიათ და არ უეჭვიანიათ, რომ აზრი არ ჰქონდა შეწევნას, რომ გამოუვალი იყო ჩემი მდგომარეობა, რომ დასალუპად განგების მიერ ვიწირებოდი, არა, ჯიუტობდნენ და მეხმარებოდნენ მაინც, რამდენმა მივიწყებულმა სახემ ჩაიქ-როლა თვალწინ.

ორი ადამიანის გამო დამწყდა გული, თუმც ისინი ექიმები იყვნენ და ბავშვების გადარჩენა მათი სამსახური იყო, ვერ გადა-ვუხადე მადლობა, ვინაიდან პატარა ვიყავი. ჩემმა მშობლებმა ჰო, მაგრამ მე ვერა და არ ვიცოდი ახლა ღირდა თუ არა მათთვის მადლობის თქმა და გულმა მითხრა, - ღირს, როგორ არ ღირს, სა-დაც არ უნდა იყვნენ, მადლად მიუვათ შენი მადლობა.

ვხედავ მათ სახეებს და არ ვიცი რა ქვიათ, რა გვარისანი არი-ან, ღირს კი?!

- მათ სახეებს ხომ ხედავ, ხომ დაგცერიან ღრუბლებიდან, სანამ დროა თქვი, თორემ გაქრებიან! - მიბასუხა ჩემმა გულმა.

- ჩემო ექიმებო, თქვენი წყალობითაა, რომ ვსუნთქავ, მე ხომ წესით უნდა მომკვდარიყავი და არ მოვევდი, უნდა დავსახიჩ-რებულიყავ და დავბრმავებულიყავ, თქვენმა თავგამოდებამ

გადამარჩინა... თქვენი წყალობით გავიზარდე, დავქალდი და ვიცხოვრე, მაპატიეთ, პატარა გოგო ვიყავი და ჩემი წილი მადლობა ვერ გითხარით მაშინ.

ერთი ექიმი დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო, მელოტი თავი ჰქონდა, მეორე შედარებით ახალგაზრდა, ხუჭუჭთმიანი, ღიმილიანი, მიცემდნენ გაოცებით. იმდენი დრო გავიდა, უკვე ზეცაში იყვნენ ასულები და არც კი ახსოვდათ, როგორ გადამარჩინეს!

მე ვიცი, მახსოვეს...

ოთხი წლისას საბავშვო ბალში უცნაური ვირუსი შემეყარა ვიღაც ბალლისგან, ის ვერ გადარჩა, წავიდა ღმერთთან და მეც იგივე მელოდა, რომ არა თქვენ ფუმფულა პროფესორო, არ ვიცი რა გქვიათ, მაგრამ თქვენ იბრძოლეთ ჩემს გამო, თურმე რეანიმაციაშიც მეჯექით გვერდით და თვალს არ მაშორებდით, ეს დედამ მითხრა, მხოლოდ ერთი მომენტი მახსოვეს, ისიც სახლში რომ ვიწერი და ოდნავ შემეძლო თვალის გახელა, ჭალს ვხედავ-დი ანთებულს და იმასაც გაზეთი ჰქონდა შემოხვეული, რომ ნათურის სინათლეს ჩემთვის თვალი არ მოეჭრა. მამას ვხედავდი, საწოლის ბოლოში იდგა და ქვითინებდა, ვხედავდი შუბლზე კოპებდასხმულ საშა ბებიას, თავი რომ მიურტყია კედლისთვის, მეწინ მოვკვდე, ოღონდ ჩემი შვილიშვილის სიკვდილს არ მოვესწრო. ვხედავ დედას, თავთან მიზის თვალებდასიებული და ჩემი პანაზა ხელი მკერდზე აქვს მიხუტებული, ოთახში შემოდიან თეთრხალათიანები და გხედავთ თქვენ, რომ მეხებით, მსინჯავთ და ამბობთ, - ამ ანგელოზს ეხლა წავიყვანთ და აუცილებლად გადავარჩენთ!

და მე მგონია, რომ გელაპარაკებით, ვწუხვარ და ამ დროს თურმე არც გელაპარაკებით, უძლური ვარ და წარმოსახვით, მაგრამ მთელი გულით გთხოვთ, უთხრათ ამათ, ყველას, ვინც ჩემს გამო იტანჯება, ნუ ტირიან, რომ ყველაფერს ვხედავ, მეს-მის... უფრო მოვკვდები, უთხარით ბიძია! - მაგრამ ვერ გაგაგონეთ, ვერ ვინძრეოდი თურმე და აბა რას გაგაგონებდით, მაგრამ თქვენ მიღიმოდით, მერე თავზე ხელი გადამისვით, ოფლისგან დასველებული კულულები მოაშორეთ ჩემს სახეს და ასე თქვით,

- რა ლამაზია ეს გოგო, ნახავთ, რა გოგოც გაიზრდება! - წამოდე-ქით და პრძანეთ, წავიყვანოთ, ფრთხილად!

გავიღვიძე, იმის გამო, რომ საავადმყოფოში ბევრი ბავშვი იწ-ვა და პალატებში ადგილი არ იყო, თქვენი კაბინეტი დაგითმიათ ჩემთვის, კი, ასე იყო და თქვენ შემოდიოდით, ჩემს ფილტვებს და გულს უსმენდით ჰონეიდოსკოპით და ხშირად რაღაცებს მე-უბნებოდით, ოლონდ არ მახსოვს რას, და მე მიხაროდა ყოველი თქვენი შემოსვლა სალათისფერკედლებიან ოთახში. მადლობა, მადლობა!!!

მელოტმა ექიმმა გამიღიმა და გაქრა.

ახლა ხუჭუჭას შევხედე, მე რაღა უნდა მითხრაო,- თვალებით მკითხა.

- აი, თქვენ არც გახსოვთ, მე კი მახსოვხართ, მაშინ თორმეტი წლის ვიყავი და მარჯვენა თვალს ზემოთ, ძირმაგარის მსგაცსი, ფესვებიანი ურჩხულივით რაღაც ამომივიდა, თვალიც დამეხუ-ჭა, ვერ ვახელდი და თავიც მტკიოდა. დამისვეს დიაგნოზი, რა, ცხადია არ მახსოვს და გადაწყდა ოპერაცია. თქვენთან გამოგ-ვიშვეს, როგორც საუკეთესო ქირურგთან. მომაშორებდით ამ საშინელებას, მაგრამ ნაიარევი სამუდამოდ დამაჩნდებოდა და თქვენ რა გააკეთეთ...

ხუჭუჭა ექიმმა გაოცება ვერ დამალა, არ ახსოვდა რაც გა-აკეთა. არ დამკარით თვალსა და წარბზე სკალპერი, შეგეცო-დეთ! - ლამაზი ბავშვია, წარბის ადგილას ხვდება კვეთა და იქ გაწყდება წარბის ხაზი, იმ ადგილას ბეწვი არასდროს ამოვა და სახე დაუშნოვდება. მოდით, ცოტახნით ვიწვალოთ და გადა-ვარჩინოთ წარბი!

თქვენს კაბინეტში დამტოვეთ მარტო, დედაჩემს ხელკავი გა-უკეთეთ და სასაუბროდ გაიყვანეთ, მე კიდევ შეშინებული გე-ლოდით ადგილზე გაქვავებული.

თქვენი რეცეპტით ბებია მიმზადებდა ძირმაგარასავით რა-ლაცაზე დასადებ ცხელ წამალს და, რომ მოჰქონდათ თვალზე დასადებად, წინასწარ ვბლაოდი დასაბმელი გიუივით. ო, როგორ მეშინოდა იმ ცხელი მაღლამოსი!!!

და რა იყო ეს?! სელის თესლი, ბებიას მიერ ქვასანაყში ჩა-
ნაყილი, ფქვილად ქცეული სელი, მერე ტაფაზე გაცხელებული,
პირდაპირ სივარვარიდან ამოღებული, ჩემს ძირმაგარასავით რა-
ღაცაზე დასადები, მწარეზე მწარე, მაგრამ გაამართლა სელმა.

მახსოვს, ბოლო დღე სელის გარეშე, ეს უარესი იყო, ამას ისევ
ის ცხელი წამალი მერჩივნა. მომწიფდა ჩემი ძირმაგარის მსგავ-
სი გიგანტი მუწუკი, გადიდდა გაიზარდა, დარბილდა და ახლა
მზად უნდა ვყოფილიყავი მის მოსამორებლად. ვეღარ დამატეს,
გავიქცი, დამეწია მამაჩემი, გადამიწვინა მუხლებზე, ხელებიც
გამიკავა, დედაჩემმა ფეხები და ბებია თავს დამადგა, დამაჭირა
თითები და ამოვარდა ის ბოროტი რაღაც, მამაჩემს სისხლი შეეს-
ხა, სახე მოეთხვარა და მომეჩვენა, რომ იმ ფესვებიან რაღაცას-
თან ერთად ბებიამ თვალიც ამომიგდო ბუდიდან და გამიკვირდა,
ბებია თვალი მაქვს?! რატომ ბები! ეს რა გამიკეთე ბებია!!! - მაგ-
რამ აბა, ბებია მართლა თვალს ხომ არ ამომაცლიდა, მისთვის
მართლაც, რომ თვალის ჩინს.

წარბიც შემრჩა, ნაიარევიც არ მაქვს, მაგრამ თვალს ზემოთ,
წარბის ბუსუსებს ქვეშ დამალულია 4 პატარა ორმო, სახსოვარი
თქვენგან, გმადლობთ!

მერე, მე და ბებია მადლიერების ნიშნად უზარმაზარი ვარ-
დისფერი მარწყვის ტორტით გესტურეთ შინ, გაგიხარდათ,
ერთ ოთახიან „ხრუშოვკაში“ ცხოვრობდით მარტო და, ალბათ,
ამიტომ ბრძანეთ, - ერთი ცალი კაცი ვარ და ამხელა ტორტს, რო-
გორ მოვერევი, ერთად მივირთვათ.

- დიდუუ! - შეშფოთდა ბებია, უცხოური კონიაკებიც დადგა
მაგიდაზე და გითხრათ. - აიც ცოტაა, ბალანა გადამირჩინეთ და-
ნას, დუუზახე ნენა კოლეგებს და აი კონიაკიც დააყოლეთ.

- დაგიჯერებთ ქალბატონო, უღრმესი მადლობა, მაგრამ არ
იყო საჭირო ასე შეწუხება!

მე კი მკითხეთ, - აბა, ლამაზო გოგონავ, ვინ გინდა რომ გა-
მოხვიდე?

მუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი, ვინ მინდოდა დიდობაში
გავმხდარიყავი, გიპასუხეთ: - ექიმი.

მერე შუბლზე მაკოცეთ და მითხარით, - არა, კინომსახიობობა მოგიხდება.

ახლა ხუჭუჭამ თვალებით მკითხა, აქედან რომელი გახდი?
- არცერთი ბატონი.

გამიღიმა ხუჭუჭამ, მაგრამ მივხვდი, რომ გამიხსენა, მადლიანად გამიღიმა და მისი სახეც გაქრა.

სხვა სახეებიც გამოჩნდა, ნაცნობებიც, უცნობებიც და მეყველას მადლობა გავუგზავნე, ვინაიდან ვიცოდი, როცა დედა-მიწაზე გავემგზავრებოდი, ისინი იქ არ დამხვდებოდნენ.

არ მინდოდა წამოდგომა, მაგრამ კალათიდან აუცილებლად უნდა გადამეხედა. ნაზი სიო მომელამუნა სახეზე, საკუთარი, ფიზიკური სინაზის შეგრძნებას რომ მიმძაფრებდა და მივხვდი, რომ ძლიერიც ვარ და კიდევ შევძლებ რაიმე ლირებულის შექმნას აქ, ან იქ, დედამიწურ ცხოვრებაში.

ავისრულე წადილი, გადავიხედე კალათიდან და თვალწინ გადამეშალა ხალიჩასავით მოხატული სამყარო. გავიფიქრე, ნეტავრას შვებიან ჩემი მეგობრები, როგორ არიან... უენო მომენატრა, ჩემი ევგენია-უენია, ჩემი საყვარელი გოგო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია უენია, ჩვილობაში პილიომელიტი დაესხა თავს და ფეხი დაუზიანა, ძალა ამოაცალა, ამის გამო, ახლა ყავარჯენზე დაყრდნობილი დადის. ქმარშვილი არ ჰყავს, მაგრამ ძალზე ენერგიულია ჩემი უენია, ციბრუტივით შუძლია ტრიალი კიდევ ცეცხლივით ანთება ძალუძს ამ მადლიან ადამიანს. ყველაზე მეტად უენოს იმედი მაქვს, თუ რამე ცუდი და არასასურველი დამემართება და ვიცი რატომაც.

გახსოვს მეგობარო, დედაჩემი საავადმყოფოდან მომაკვდავი რომ გამომიწერეს და სახლში ვაცოცხლებდი, რეანიმაციის ექთანი ავიყვანე გადასხმებისთვის და კიდევ ნევროპათოლოგი და ღამეები არ მეძინა! გახსოვს, რომ მოხვედი ყავარჯენზე დაყრდნობილი, მე ლოგინში ჩაწოლის და დაძინების უფლება მომეცი და შენ შემეხიდე გაჭირვების უამს, ის ოთხი ღამე დედაჩემის ბოლო ღამეები აღმოჩნდა უენო!

2009 წლის 16 იანვარს, დილით მომიკვდა, იმ დროს, როცა მისთვის წამლის აბს ვფხვნიდი, რომ მერე წყალში გამეხსნა და

შპრიცით, როგორმე გადამეყლაპინებინა. შენ იცოდი, რომ დათვლილი იყო მისი დღეები, მეც, მაგრამ მაინც არ მჯეროდა, რავენა, დედა იყო და თავი არ უნდა დამეზოგა მისთვის.

იმ ოთხ ლამეს ენერგია აღვიდგინე და გმადლობ ამისთვის, რომ კონკრეტულად შენ აღმოჩნდი ჩემთვის ერთი დედმამიშვილის მსგავსი ადამიანი, ვინც თვალის დახუჭვის უფლება მომცა და კიდევ რა მახსენდება იცი, მათეს ბრმა ნაწლავის ოპერაცია რომ გაუკეთეს, მე მარტო ველოდებოდი საოპერაციოდან შვილის გამოყვანას და შინაგანად მარტო ვგრძნობდი თავს.

დროს რომ გადააჭარბეს, ავცადცახდი და ვინ იყო ის, ვინც მხარზე თბილი ხელი დამადო, ვინ! შენ, ჩემო ძვირფასო, გმადლობ!

ასე ვფიქრობდი, რაფაელე და ელია მოვიდნენ და წელზე შემომეხვივნენ, ისევ რომ დავაპირე ერთერთის, რა თქმა უნდა, ა ელისა ხელში აყვანა, მათეც გაჩნდა ჩვენს გვერდით და მკაცრად მითხრა, - ნუ ცუღლუტობთ თიკო დეიდა, ნუ!!!

დავლონდი და თავი დავხარე, ამასობაში, ირაოსთვის განკუთვნილი დროც ამოინურა. არნივი დაგვემშვიდობა და დარჩა მთის წვერზე, გველიც გზად ჩამოგვშორდა. მივედით შინ მე, ბავშვები და ლეკვი. ვივახშმეთ, ამჯერად, ბროკოლის წვნიანი მივირთვით და ჰერიჰერი ლოგინისკენ. ჰო, კბილების გამოხეხვა არ დამვინწნია. ჩავწერ ლოგინში ზუზუს გარეშე, მაგრამ მაინც მაშინვე ჩამეძინა.

აი, უკვე მესამე დილა გამითენდა უცხო პლანეტაზე. საუზმეზე უარი ვთქვი, ვინაიდან რაფაელემ ჰერკულესის ფაფა მომიტანა, მაგრამ არც ნუშისა და ნიგვზის ნაკრებისთვის დამიკარებია პირი, მხოლოდ ციტრუსის წვენი დავლიერ, მწყუროდა.

ეწყინა რაფაელეს, მაგრამ არ შეიმჩნია. ტილო გადააფარა ფაფას, რომ მოგშივდებათ სადილამდე, მაშინ მიირთვითო, კარგი მეთქი და წავედი სასეირნოდ. ტბის ნაპირთან არ მივედი, იასამნებთან მომინდა ყოფნა, მათ შორის ჩავცუცქდი, მერე დავჯექი ბალახაბიბინებულ მინაზე და ბოლოს დავწერ კიდც. გამოცლილი ბოთლივით ვეგდე კარგახანს, არაფერზე ვფიქრობდი. ჩიტების ხმის გაგონება მომინდა, მაგრამ არ ისმოდა, აქ არ იყვნენ

ფრინველები, იასამნის ხეების ტოტებთან ერთი ჩიტიც არ მოფრენილა, გული დამწყდა, სამაგიეროდ, მოფრინდა არწივი, გაუჭირდა ვაკე ადგილას დაფრენა.

- გამარჯობათ ბატონო ბაღათერ.
- მოგესალმებით ქალბატონო თიკო!

არ ვიცოდი რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, ან რა მეთქამოლაპარაკე გოლიათი ფრინველისთვის. ვიდექი მის წინ თავჩქინდორული.

- რატომ ხართ ასეთი სევდიანი?
- მეე?! - გავიკვირვე, ვინაიდან სევდიანი არ ვარ ბუნებით.
- ყველაფერი კარგად იქნება, მალე დაუბრუნდებით თქვენს ცხოვრებას, პლანეტას, ოჯახს, სამსახურს!
- ვიცი!
- კარგია თუ იცით, ჩვენ, აქ ყველას გვიყვარხართ, ერთადერთი ქალბატონი ბრძანდებით.
- შევამჩნიე, ბატონო.
- დაკვირვებული ადამიანი ბრძანებულხართ.
- რა ვიცი, ვცდილობ, ვიყო დაკვირვებული და დაფიქრებულიც.
- გიკვირთ ხომ, რაც თქვენს თავს ხდება.
- დიახ!
- გაინტერესებთ, მიზეზი თუ რატომ და როგორ ვმეტყველებთ...
- დიახ, დიახ საინტერესოა, თუ მეტყვით, დიდად დამავალებთ.
- გეტყვით საიდუმლოს! მეც თქვენსავით სული მიბოძა უზენაესმა ანუ დამაჯილდოვა ადამიანური სულით.
- რამხელა წყალობა! - ალფროთოვანდი.
- თქვენ მეტი წყალობა გერგოთ!
- რატომ?
- პირდაპირ ადამიანად გაჩნდით, სულით და ყველაფრით, რაც საჭიროა პომოსაპიენსისთვის.
- ისე, მართალი ბრძანდებით ბატონო ბაღათერ.
- მაინც არ მაქს ადამიანური თვისებები, არწივად დავრჩი, ადამიანების დონემდე ვერ ავედი.

- ვხვდები რატომაც.
- ბრძანეთ.
- და რომ ვცდებოდე...
- მაინც ბრძანეთ!
- ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ალბათ არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც ადამიანები არიან.

თითქოს ჩაიცინა,- მე არ ვარ თავისუფალი?! - თავი დახარა, ისე, რომ არც კი გავუფრთხილებივარ, ცალი თვალი, რომელიც ჩემსკენ ჰქონდა მოპყრობილი, სახესთან ახლოს მოიტანა, თავად ვიყავი ერთი ციცქნა, მის არწივურ სახესთან შედარებით და მისი ის ერთი თვალი, მე რომ მიმზერდა, მრგვალ მონიტორს ჰყავდა, თითქოს ვიღაცამ ვიდეოკამერით მოათვალიერა და გადაიღო სივრცე, გარემო, უზარმაზარი გორები, ტბები, ჩანჩქერები, კავკასიის მთებიც დავინახე და წარმოვთქვი აღტაცებით, - თქვენ, კავკასიის მთების შეილი ხართ!

- არა! - მიპასუხა არწივმა. ეს ჩემი მახსოვრობაა, ჩემი ადგილებია, სადაც თავს თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობ. მათ ხსოვნას გულით ვატარებ და ჩემს თვალებშიც ჩანს ის სივრცე, რომელიც დედამიწაზე მაქვს მიკუთვნილი, თორებ კვერცხიდან გამოვიჩეკე, დედ-მამა მზრდიდა ჩვეულებრივ და მერე შევწყვილდი ჩემს საყვარელ გოგო არწივთან, მართვების მოლოდინში ვიყავით, ის ერთხელ ბუდეში დავტოვე, მაგრამ, როცა მოვფრინდი, ადგილი აფეთქებული დამხვდა, ალარც ბუდე იყო სადმე და აღარც ჩემი მეუღლე, დავკარგე და დარდისგან მოვკვდებოდი, ღმერთს თქვენი მსგავსი სული რომ არ ებოძა, ამ პლანეტას-თან რომ არ დავეკავშირებინე.

- ანუ, ეს პლანეტაც იმ ერთის შექმნილია?

- დიახ, ყველაფრის შემქნელი, სადაც არ უნდა ალმოჩნდე, ის ერთია.

- ბატონო ბალათერ, იქნებ გადარჩნენ თქვენები, იქნებ, თქვენი შვილებიც დაწყვილდნენ და ახალი სიცოცხლეებიც გააჩინეს.

- ეგ გამორიცხულია, თანაც და-ძმა არწივები არ წყვილდებიან, ჩვენც გვაქვს ჩვენი წესები, ბატონო!

და მე გამახსენდა, რომ იყო დრო, როცა ადამიანებმა და-ძმობა არ იცოდნენ, აი, მაგალითად ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას პირველად საკუთარი ძმა ქმრად ჰყავდა, რომელიც მოაკე-ლევინა მსახურებს, რომ მისგან გათავისუფლებულიყო და არ-ნივმა კიდევ... ეს რა მითხრა არწივმა!

- ეს ყველაფერი, მეულლის დალუპვის შემდგომ გებოძათ?

- დიახ, თქვენი სულია ხორციელ სამყაროში ყველაზე ძლიერი და იმიტომ, მაგრამ მე ისევ მონადირე ვარ, ხორცი უნდა ვჭამო, რომ ვიცოცხლო, სხვაგვარად არ შეგიძლია, არჩევანში არ ვარ თავისუფალი.

- მართალი ბრძანებაა, ჩვენ კიდევ ყველაფერი შეგვიძლია მი-ვირთვათ.

- მაგრამ, ვფიქრობ, რომ თქვენთან შედარებით მე უფრო თა-ვისუფალი ვარ. თავში არასდროს მომიგა იმგვარი რამეების გა-კეთება, რასაც თქვენ აკეთებთ და ქმნით. თქვენ მიწიერ კანონებს ემორჩილებით, დამრღვევებს სჯით, შეგიძლიათ არ მოკლათ ერ-თმანეთი და ამას მაინც აკეთებთ, ხოცავთ, ებრძვით ქვეყნები ქვეყნებს, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ერთმანეთს ღმერთის სახელით და არ გრცხვენიათ, ესაა თავისუფლება?!

- ვერ შეგედავებით! და თქვენ გაქვთ რელიგია?

- რაში მჭირდება, ჩემი რელიგია ჩემივე მადლიერების გრძნო-ბაა უფლის წინაშე, რომ ვარსებობ და ვხარობ, ვლალობ. მე არ გამაჩინია ერთი კონკრეტული, მონიშნული სამშობლო, არც ფრინველათა მეფე ვარ სინამდვილეში, ამას თქვენ ამბობთ, ადა-მიანები. არც არავის ვეშუღლები, არც განათლება მჭირდება. მხოლოდ სიყვარულია ჩემი სიცოცხლის და არა ცხოვრების მა-მოძრავებელი ძალა, რაც უფლებას მაძლევს სხვებს სიხარული ვუბოძო, თანაც განსხვავებული, ვიდრე ეს სხვა დანარჩენ არწი-ვებს ძალუძო!

რაფაელე მოგვიახლოვდა პატარა მანქანით, რომელსაც ური-კა ჰქონდა მობმული, იასამნის ყვავილებით იყო სავსე.

- გამარჯობათ! - გაგვილიმა მან.

- იასამნები უნდა დაკრიფო რაფაელე? - ჰკითხა არწივმა.

- დიახ, რაც შემეძლო ქვემოთ დავკრიფტე და ზედა ტოტებს ვეღარ ვწვდები.

დაავლო ფრთები არწივმა რაფაელეს და მალლა აზიდა,-მიდი, მოტეხე საუკეთესო ტოტები!

- შეიძლება მეც დაგხემარო რაფაელე? - ვკითხე მე.

- დამეხმარეთ, რასაც მისწვდებით დატეხეთ და ჩააწყვეთ ურიკაში.

- და რად გინდა რაფაელე ამდენი იასამანი?

- იასამნის ყვავილებისგან ზეთს ვხდი, თიკო დეიდა!

მეგონა ეს პატარა რაფაელე მთელი დღის მანძილზე საუზმის, სადილის, ვახშმის გაკეთებას და პლანეტის დასუფთავებას ასწ-რებდა მხოლოდ და ამასაც თუ მოახერხებდა, ვერც წარმოვიდგენდი. სიამოვნებით დავეხმარე.

ავაგესეთ ურიკა, იასამნების მთელი გორა დავაყენეთ. რაფაე-ლე საჭეს მიუჯდა და ძალიან ნელი სვლით დაძრა მანქანა, უკან გავყევით, გზად დავინახეთ ტბასთან მჯდარი თავჩაქინდრული ელია, მარგალიტების მაძიებელი და ზუზუ, ყეფა-ყეფით წრეს რომ არტყამდა პატარა ბიჭს და ხტუნვით იკლებდა იქაურობას. მივხვდი, მთის უკანა მხარეს მივდიოდით.

ბოლოს მთის კლდოვან ადგილს მივადექით სადაც, ლამაზად მოჩუქურთმებული კარი დაგვხვდა და კიდევ კლდეშივე ამოჭ-რილი სარკმელი. რაფაელემ კარი გააღო, კვლავ საჭეს მიუჯდა და პატარა მანქანა შიგნით შეიყვანა.

აღმოვჩნდით მინი-საწარმოში, სადაც იატაკზევე დამონტა-ჟებული იყო ვერცხლისფერ ხუფიანი ქვაბი. ქვაბისთვის მიერ-თებინათ შუშასავით გამჭვირვალე მილები. იქვე, სამუშაო მაგი-დასთან იდგა კომპიუტერი და სხვადასხვა ფერის ღილაკებიანი რადიოს მსგავსი დანადგარი. არწივი დოინჯშემორტყმული იდგა და რაფაელეს ბრძანებას ელოდა.

პატარა ბიჭი ღილაკებიან ხელსაწყოსთან მივიდა, წითელს დააჭირა პანაწინა საჩვენებელი თითი, ქვაბს თავი აეხადა და რა-ფაელემ გასცა ბრძანება, - დაიწყეთ ქვაბში იასამნის ტოტების ჩაყრა.

არწივმა დაიწყო საქმე, მეც მას მივბაძე. ჩავყარეთ. ქვაბს თავი თავისით დაეხურა. ახლა მწვანე ღილაკს დააჭირა თითი და ცოტა ხანში ქვაბმა ქშინვა და თუხთუხი დაიწყო. მერე რაფაელემ დანარჩენ ორსაც, ყვითელსა და ლურჯს მიაჭირა თითი და მთლიანად ამუშავდა ქარხანა. შეამჩნია პატარამ, ამ ყველაფერმა როგორ დამაინტერესა და როგორი გაფაციცებით ვაკვირდებოდი იასამნის ზეთის გამოხდის პროცესს.

- თიკო დეიდა, - მომმართა რაფაელემ, - აი, ეს შავი ყუთი ფილტრია, აქ მიედინება ზეთი, გაფილტრული კი ჩაედინება, აი, ამ უზარმაზარ კოლბაში, სადაც მას აგრეთვე ერევა გამოხდილი წყალი, ზეთის სისქის გასანეიტრალებლად, აი, იმ პატარა შუშის მილებიდან შესაბამისი დოზით მასას ერევა სხვადასხვა სახის მინერალები, მარილები, მერე ეს ყველაფერი გადადის სპეციალურ აპარატში და მუშავდება, ხდება ზეთის ორჯერ ინაქტივირება და ბოლოს ჩაედინება აუზში. გაციების მერე პროდუქტს ვასხამთ სპეციალურ ქილებში.

- თავად ასხამთ, თუ ამასაც ტექნიკა ასრულებს?

არა, მე, ელია, მათე და ბალათერიც, თუ ჩვენთანაა, ისიც ახერხებს, ანუ ხელით ვასრულებთ სამუშაოს, - მიპასუხა რაფაელემ.

- მეც ჩამასხმევინებთ?

- დიახ, თუ სურვილი გექნებათ!

საშინლად დამაინტერესა თუ რატომ, რისთვის და რა მიზნით ხდიდნენ იასამნის ზეთს, თან ასე ბევრს.. ბიჭმა მითხრა, რომ ეს ზეთი მათეს მარმარილოს პლანეტაზე მიაქვს, სადაც იქაურები ამზადებენ საპნებს, დუშგელებს, აბაზანის ქაფებს, შამპუნებს და სუნამოსაც კი. მერე გარკვეული რაოდენობის პროდუქციას უკანვე აგზავნიან სხვა პლანეტელები, რომ მუდამ სუფთანი იყვნენ აქაურები. კოკოც კი თვეში ერთხელ იასამნის ქაფიან აბაზანაში ნებივრობს თურმე, არწივიც ბანაობს და ზუზუზე აღარაფერს ვამბობ. მეც ხომ ამ ნაწარმით ვსუფთავდებოდი ყოველ დღე.

ახლა ელიას მარგალიტების ბედმაც დამაინტერესა, სად მიღიოდა ამდენი მარგალიტი.

რაფაელემ მითხრა, რომ მარგალიტები დედამიწაზე მიჰქონდა მათეს და იქ ყიდდა, მერე იმ ფულით საკვებს და სხვა პროდუქტებს ყიდულობდა, ამოჰონდა ამ პლანეტაზე. აი, ასე და ამგვარად ჰქონდათ აწყობილი თავიანთი ბიზნესი ბიჭებს.

დღევანდელი დღის სამუშაო შესრულდა, გათენებას უნდა დავლოდებოდი, რომ მეც საფუძვლიანად დავსაქმებულიყავი.

გამოვედით ქარხნიდან და გზა გავაგრძელეთ, ელია და ზუზუც შემოგვიერთდნენ, ბალათერი გაფრინდა და ზეციდან ჩამოვდახა, - სასიამოვნო საღამო მოუწყვეთ თიკო დეიდას, ბავშვებო, გაულამაზეთ აქ დარჩენილი დღეები, ვერ ხედავთ, მოწყენილია!

სახლთან ახლოს, მათეს ზეცის მანქანაც იდგა, ესე იგი, შინგველოდა.

შევედით სასტუმრო ოთახში, ის იდგა და გველოდა.

- თიკო დეიდა, ხვალ დილით შეგიძლიათ ყავაც და ტკბილეულიც მიირთვათ, თქვენი გამოჯანმრთელება სწრაფად მიმდინარეობს.

- რა მჭირს, მათე?

- მაგას იქ გაიგებთ, რაც უკვე გჭირდათ და თავს განებებთ.

- ანუ, ერთი ჰოპლალა დამრჩა?

- ზუსტად, ასეა.

- მოგვიყებით ზღაპარს? - მკითხა ელიამ.

- ვერა, ელია, არ შემიძლია.

- რატომ?!

- ჩათვალე, რომ მე თავად ვცხოვრობ ზღაპარში და ამაზე უკეთესის მოგონება მიჰირს.

- გინდათ, ვახშმის შემდეგ მამის ოთახი გაჩვენოთ? - მკითხა რაფაელემ.

- პატარა პრინცის?! - გამიხარდა და თან გამიკვირდა.

- ჰო, სადაც ის ცხოვრობდა თავის მოლაპარაკე წითელ ვარდთან ერთად.

ვახშამი მზად იყო და სურვილი გამიჩნდა, გამეწყო სუფრა, ბავშვებმა ნება დამრთეს, რომ მოვმსახურებოდი.

ვივახშმეთ და ახლა ალაგების და ჭურჭლის დარეცხვის სურვილი გამიჩნდა, მომნატრებოდა დიასახლისობა და სასიამოვ-

ნოდ დაღლა, მაგრამ არ დამანებეს, ეს მეტისმეტია, სტუმრის დატვირთვა უზრდელობა და უპატივცემულობაა, დღეს ისედაც ბევრი იშრომეთო, ასე მიპასუხეს და მეც დავემორჩილე მათ ნებას. მერე, ავუყევით თეთრ კიბეებს და მივადექით პატარა პრინცის ოთახის კარს. მათემ კოსტიუმის ჯიბიდან ოქროსფერი გასაღები ამოილო და კარი გააღო.

დიდი ოთახი აღმოჩნდა. ერთ კუთხეში ძალზედ ფართო საწოლი იდგა, საწოლთან ტუმბო, სავარაუდოდ, ამ ტუმბოზე იდგა ის ქოთანი, რომელშიც ვარდი იყო ჩარგული. კედლის მარჯვნივ იდგა ტანსაცმლის კარადა და გვერდით კომოდი. ფანჯარასთან საწერი მაგიდა და ფანჯრის გვერდით მარჯვენა მხარის კედელზე ეკიდა ნახატი, უბრალო ფანჯრით შესრულებული, აი, ის ბატყანი, თითქოსდა ამ პლანეტაზე რომ უნდა ამოეყვანა, დედამინელის მიერ დახატული ბატყანი მოუყვანია პრინცს და მისივე ოთახის კედელზე მიუჩენია ბინა. ლამაზი იყო, თითქოს ილიმოდა და თვალებსაც აპაჭუნებდა. ასე მეგონა, ქალალზე დახატული ბატყანი ამოძრავდებოდა, სურათიდან გადმოხტებოდა და პირდაპირ ჩამისტებლი ბინა სელებში. ოთახის ერთი მხარე საერთოდ თავისუფალი იყო, იქ სკამიც კი არ იდგა, მხოლოდ კარი იყო, რომელსაც იმგვარივე ლილაკები ჰქონდა, როგორც დედამინაზე სეიფებს, ვიფიქრე, რომ აქ დიდი სეიფი იყო და შიგ განძს ან საბუთებს ან ორივეს ერთად ინახავდნენ ბავშვები. უთუოდ სეიფი იქნებოდა, ვინაიდან, ეს კედელი ეზოს მხარეს გადიოდა და კარი გარედან არ ჩანდა, ალბათ სქელი კედელი იყო, შიგ ჩადგმული სეიფით, აბა ეს კარი კედლის გარეთა მხარეს რატომ არ გამოდიოდა?! გარედან არც აივანი ჰქონდა იმ მხარეს სახლს, ჰოდა, გადავწყვიტე, რომ სეიფი იყო, მაგრამ ზოგჯერ, რასაც ხედავ და ლოგიკასაც უთავსებ, შესაძლოა შემცდარი აღმოჩნდე, აი, ეს ამბავი დამემართა სეიფთან დაკავშირებით, კოდდადებული კარი აღმოჩნდა.

მათე მიუახლოვდა კარს, დავიძაბე და მხედველობა გავამახვილე, დავინახე იმ ციფრების კომბინაცია, რომელიც მან აკრიფა, ეს იყო 9 1 6 1 0 2 და დავიძახსოვრე, პირველად ჩემს სიცოცხლეში ციფრების კომბინაცია ჩამიჯდა ტვინში, ჩამებეჭდა, როცა

დედამიწაზე, ჩემი დაბადების წელი მავიწყდებოდა და არც ჩემი შვილების დაბადების დრო მახსოვდა, აუცილებლად უნდა გადა-მეთვალა, რომ არ შევმცდარიყავი.

მათე კარის სახელურს ჩაეჭიდა და თავისკენ მოქაჩა, კარი გა-აღო, გამოჩნდა საოცარი სივრცე, ზღაპარივით, დაუჯერებლად უცნაური სილამაზე. კიბეებისგან შემდგარი სამი გზა ცაში. სად მიდიოდნენ ეს გზები, არ ვიცი, ვინაიდან არ ჩანდა ის სამი ად-გილი, უსასრულობაში იყარებოდნენ კიბეების საფეხურები, არ ჩანდა სად მთავრდებოდა სამი გზა, მაგრამ აღმართ-დაღ-მართები ჩანდა, ზოგან ამობურცული ადგილებიც, მიხვეულ-მოხვეულებიც, ისეთი საინტერესო სახილველი იყო, ლამის მუხლები მომეკვეთა, სასიამოვნო ნიავი და სურნელი შემოიჭრა ოთახში, იმედია, ეს ფაქტი იყო ბოლო გაოცება ჩემთვის, ამაზე მეტად კიდევ რას უნდა გავეოცებინე?!. თუმც, ჯერ არ ვიცო-დი რა იყო ეს, რა კიბეებიანი სამი გზა იყო, სად მიდიოდა, სად სრულდებოდა.

- ეს რა არის, ბავშვებო?!

- ესაა ჩვენი საიდუმლო კარი, ახლა უკვე თქვენც ხედავთ, რა-ცაა კარს მიღმა!

- ჰოდა, ვერ ვხვდები რა უნდა იყოს!

- პირველი პირდაპირ მარმარილოს პლანეტას უკავშირდება, იქ ჩვენი მეგობრები ცხოვრობენ. მეორე კიბეებიანი გზა უსას-რულოა, ეს მონატრების გზაა.

ხედავ იმათ, ვინც თქვენს გვერდით აღარ არიან და საშინლად გენატრებათ. გული ვისზეც დარდობს, იმ ადამიანს დაინახავთ.

- ისიც დამინახავს?

- სამწუხაროდ ვერ დაგინახავთ, თქვენ ხომ დაინახავთ და გა-გიხარდებათ, თუ ნახავთ, სადაცაა, კარგად რომაა?!

- კი, მათე, ეგეც გამიხარდებოდა და მესამე რა არის?

- ეს მომავლის გზაა, იმედის.

- პატარა უფლისწული მენატრება, შევხედოთ რა! - თქვა და-ღონებულმა ელიამ.

თავზე ხელი გადავუსვი, ამომხედა დიდრონი ლურჯი თვალე-ბით, ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ არცერთი წვეთი ღანვებ-

ზე არ გადმოსვლია. ვაჟკაცებმაც იციან ტირილი, მაგრამ ცრემლების შეკავებაც სძალუძთ, უკვე ამგვარ კაცად ჩამოყალიბებულიყო პატარა ელია და უფრო მეტად შემიყვარდა.

- შენც გინდა, რაფაელე, პრინცის ნახვა?

- ჰო, ჰო, მინდა, მინდა!

- თქვენ, თიკო დეიდა!

- საოცრად მაინტერესებს, სამწუხაროა, რომ ის ვერ დამინახავს, ელიას მსგავსად, კოცნას გავუგზავნიდი შორიდან და კიდევ...

- კიდევ, გნებავთ რამე?

- ჰო! თუ შეიძლება, ერთი ჩემიანის დანახვას მომიხერხებთ?...

- კეთილი, ოღონდ მხოლოდ ერთის დანახვას შესძლებთ, გადაწყვიტეთ!

დავიწყე ფიქრი, ვინ, ვინ დავინახო, მშობლები, ბებია-პაპები თუ თემური?

თემური მაინტერესებდა, რომ ვერ დამინახავდა ეგეც მისაღები იყო ჩემთვის, ვინაიდან, სიზმრებშიც მივეჩვიე, თუ როგორ ვერ მცნობდა და ზედაც არ მიყურებდა.

- ჩემი ქმრის დანახვა მინდა მათე!

ხელი გამომიწოდა: - მოდით ჩემთან!

მივედი, მაჯაზე ხელი წამავლო და ორივემ კარების ზღურბლს გადავაბიჯეთ, არ შემშინებია, უცაბედად შევკრთი, უცნაური და უცხო ხმები ჩამესმა ყურში.

- ეს, პლანეტების სუნთქვის ხმაა, - ჩამჩურჩულა მათემ.

- ამ პლანეტებს შორის, დედამიწის სუნთქვაც ისმის?

- რა თქმა უნდა, ამ გზებზე სრულიად სამყაროს სუნთქვა ისმის.

მათემ თავზე ხელის გული დამადო, ხმები თითქოს შეიცვალა. არა, ერთ ხმად დაკონკრეტდა, ოკეანის ლელვის მაგვარი ხმა იყო და არც მთლად იმდაგვარი. მთავარია, რომ წყლის ხმას ჰგავდა.

- ამდაგვარად ისმის აქ დედამიწის სუნთქვის ხმა.

- ჰომ, რა სასიამოვნოდ ისმის?! საკმარისია, მათე! ეხლა რა ვქნათ?

- კიბეზე ავიდეთ, თიკო დეიდა.

ერთ საფეხურზე ხელი-ხელჩაკიდებულნი ავედით, დავდექით და ვიგრძენი მოძრაობა, ადგილიდან ექსკალატორივით დაიძრა კიბეთა წყება.

- რა ხდება?! - ვიკითხე გაოგნებულმა.

- ჩუ! გზა თავად ეძებს თემურს, სადაც ისაა, იქ გავჩერდებით და დავინახავთ.

უკან მივიხედე, სახლის კარებიდან ძალზედ მოშორებით ვიყავით უკვე, ჩვენ კი, უძრავად მდგომნი, ნინ მივიწევდით.

გავჩერდით. მათემ საჩვენებელი თითით მიმითითა, თუ საითკენ მეცქირა თოვლივით ქათქათა ცაზე და აი, გამოჩნდა თემურის ლიმილიანი სახეც, გული ამიფრიალდა. საიდანლაც ბავშვები გამოჩნდნენ. პატარები, ვისაც უკვე ფეხზე დგომა და სიარული შეეძლოთ და ისეთებიც, სულ მთლად ჩვილები რომ იყვნენ. ბევრი მათგანი დედის მუცელშიც კი უნდა მჯდარიყო, ბევრს ემბრიონივით გარეგნობა ჰქონდა, ჰო, ვერ დადიოდნენ, სამაგიეროდ ფრთები მიბმოდათ, პეპლებივით დაფართატებდნენ და ყველა ეს პანია არსება თემურს ეტანებოდა, მასთან სიახლოეს ცდილობდა. სიხარულით ამევსო გული. იქ, დედამიწაზე, ხომ ბავშვები უყვარდა სიგიურმდე და აქ დახეთ, ბავშვებსაც როგორ მოსწონთ?! მათ გვერდით ყოფნა ბეჭნიერს ხდის, რა კარგია! საბოლოოდ დავმშვიდი, მეტს აღარ ვიტირებ, თემურ, არ შეგაკრთობ ჩემი ცრემლებით, აკეთე აქ ის, რასაც აკეთებ!

- მე მგონი საკმარისია, თიკო დეიდა, რაც გულში თქვით, დაპირება, რომელიც თქვენთვის ძვირფას ადამიანს გაუგზავნეთ, შეასრულეთ.

მათემ ხელზე ხელი მომიჭირა, შემოვტრიალდით კიბეზე, რომ უკუსვლით, საიდანაც წამოვედით იმავე ადგილს დავბრუნებოდით.

საოცარი სისწრაფით დაიძრა კიბეები, დალმასვლის შეგრძნება მქონდა, მაგრამ სადმე გადავარდნის და დაცემის შიში არ გამჩენია, საკმაოდ მკვიდრად ვიდექით მე და მათე. გამოჩნდა სეიფივით ლიად დარჩენილი კარიც და მის უკან, ოთახში ჩაცუცქული ორი პატარა ბიჭი. დაგვინახეს თუ არა, გამხიარულდნენ და ტაში შემოჰკრეს.

- უჰ, დავიღალეთ! - წარმოსთქვა მათემ და პრინცის საწოლზე ჩამოყდა: - ორი წუთი მადროვეთ და დაგანახებთ პრინცს!

ამჯერად, კარს მიღმა კიბეზე დგომა არ დაგვჭირვებია. ცას შევსცექეროდით ოთახიდან და ოთხივე მასზე ვფიქრობდით. ის სამი - სიყვარულით. მე კი სხვანაირად, ინტერესით... ვფიქრობ-დი, ნეტა როგორ გამოიყურება, ძალიან მოხუცია?!.. და დავინა-ხე მაღალი, კაფანდარა, ჭრელთვალება ჭალარათმიანი მოხუცი, ძველ საფრანგეთში რომელიმე ლუდოვიკო მეფესავით შემოსი-ლი. მომენტა მისი უზარმაზარი ქუდი, რომელიც მოიხადა და სადღაც გააქრო. კიდევ, წითელი ხავერდის მანტია, ოქროსფერი ვარს კვლავებით მორთული.

ჭორფლიანი მოგრძო სახე ჰქონდა მოხუცს, ოდნავ კეხია-ნი ცხვირი, წვერულვაშითა და აღნაგობით დონკიხოტს წააგავ-და, რაღაცნაირი გრძელი კაცი იყო, რამაც ქართული ჩურჩხელა გამახსენა, როგორ გითხრათ აბა, ჩურჩხელასავით ჩამოქნილი, ვფიქრობ, რომ მატერიალური თვალსაზრისით, გემრიელ და შე-სახედად მშვენიერ რამეს შევადარე. გაიარ-გამოიარა პრინცმა და მერმე გულზე მიხუტებული ქოთნით, რომელშიც მოლაპა-რაკე ვარდი ცხოვრობდა, ჩაგვიარა და გაჰქრა. გული დაგვწყდა, მაგრამ გავიხარეთ.

ასე დამთავრდა ეს დღეც და რომ დავფიქრდი, ყოველი აქ გა-ტარებული წუთი იყო ზღაპრულად უცნაური, საინტერესო და საოცარი, ჩემს ოთახში რომ შევედი, ბედნიერებისგან მთვრალს ხარხარი ამიტყდა.

მესამე ნაწილი

პიპერზი

გათენდა, ძალზედ ადრე გამეღვიძა, ფანჯარასთან დავდექი და ოთხჯერ ვიხილე მზის ჩასვლა, მომეჩვენა, რომ ამ პლანეტაზე ერთი კი არა, ბევრი მზე ჩადიოდა, თითქოს სადღაციდან მორბოდნენ და ჩვენს პლანეტაზეც უხდებოდათ გადარბენა. დილის ცხრა საათი რომ შესრულდა, ვერ მოვითმინე და სასტუმრო ოთახში გავედი. ელიას ესაუზმა და თავის მეგობარ ძალლთან ერთად მარგალიტების შესაგროვებლად მიდიოდა, დამინახეს და კაი გამარჯობაც მითხრეს, ზუზუმ თავისი ვარდისფერი ენით მთელი სახე გამილოკა და წინ წასულ ელიას გაეკიდა.

სამზარეულოში შევიხედე, რაფაელე და მათე საუბრობდნენ. რაფაელე ჰყითხა მათეს: - რა ვქნათ ხვალ, როგორ მოვიქცეთ?!

- რა მოვიფიქრო, რა ვუყიდოთ?

- მაგას სტუმრები და ხალხთან ურთიერთობა უყვარს, მათე, მოდი ისეთი სტუმარი მოვუყვანოთ, ვისაც აქამდე არ იცნობდა.

- ახლა მსგავსი სანდო ადამიანი არ მევულება რაფაელე.

გამეღიმა, მივუახლოვდი ბავშვებს და ვუთხარი:- თუ ახლა ყავას დიდი ჭიქით დამალევინებთ, მე ზღაპრებს კი არა დედამინურ ამბებს მოგიყვებით.

რაფაელე დაფაცურდა, მათემაც მოისურვა ჩემთან ერთად ყავის დალევა.

- რაზე საუბრობდით ბიჭებო?

- ხვალ ელიას დაბადების დღეა და არ ვიცით, რით გავახაროთ, ამოგვენურა ფანტაზიები.

ჩავფიქრდი და წამოვიძახე,-მე რომ ვაშლის ნამცხვარი გამოვუცხო!

- მშვენიერია. - თქვა მათემ.

- მარტო ნამცხვარი გვეყოფა? - იყითხა რაფაელემ.

- ჰო, ელია არაა უბრალოდ ბიჭი, ის ძალიან კარგი ბიჭია, როგორც თქვენ, ამიტომ სჯობს მე გავაკეთო რამდენიმე თავი კერძი ჩემებურად, მე ხომ თქვენნაირად არ ვაკეთებ.

- რის გაკეთებას აპირებთ? წვნიანი აუცილებლად უნდა იყოს, იცით რამე განსხვავებული?

- ვიცი, ჩიხირთმა ვიცი, მუაუნის, ყველის, სოკოს წვნიანები, უი, კიდევ მანვნის შეჭამანდიც.

- ეგ რაღაა! - გაიკვირვა მათემ.

- ესაა ქართული წვნიანი, მანვნით კეთდება.

- საინტერესოა! - წამოიძახა რაფაელემ.

- მაგ მანონს მოგიტანთ დღეს საღამოს, თიკო დეიდა, - მათემ მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, - მოდით, ჩამონათვალი გა-ვაკეთოთ, რა არის საჭირო, ჩამანერინეთ.

- გეტყვი, მიდი ჩაინწერე. ბადრიჯანი, ქათამი, ნიგოზი, კამა, ქინძი, პიტნა, ტარხუნა, ოხრახუში, ბრინჯი, ყვითელი ყვავილი, ცოტა კურკუმა, ნითელი პილი, ცოცხალი პამიდორი, ხახვი და ნიორი ვიცი, რომ გაქვთ.

ქათმით რა უნდა გააკეთოთ?

- ჩახოხბილი, - რაფაელეს გავხედე, - გაგიკეთებია ოდესმე ბიჭო ჩახოხბილი?

რაფაელემ თავი გააქნია, - მხოლოდ ბულიონი ვიცი, ჩახოხბილი არა.

- მოგეწონება, ცოცხალ პამიდორს დავჭრი და ასე ჩავშუშავთ ქათმის ნაჭრებს, პირველად შენ უნდა დაგაგემოვნებინო.

- შევჭამ აუცილებლად, - მიპასუხა რაფაელემ, შემდეგ მათეს მიმართა: - გავალ, შევუდგები მუშაობას, თიკო დეიდა, ოთხი სა-ათისათვის მოდით საწარმოში, რომ ზეთი ჩავასხათ ჭურჭელში.

- კარგი შვილო, მოვალ.

- ჩემი წასვლის დროცაა, დღეს რომ ამოვიტანო მაწონი, ხვალ ხომ ივარგებს?

- მაცივარში თუ შევინახავთ, ივარგებს, ორი ქილა იყიდე, მათე.

- არის უფროსო! - „ჩესტი“ ამილო მათემ და თავისსავე ხუმ-რობაზე გაეცინა.

გავიდნენ ბიჭები, მარტო დავრჩი. კედელზე დაკიდებულ სა-ათს შევხედე, დილის თერთმეტი საათი ხდებოდა. ავწრიალდი, არ ვიცოდი რა მეკეთებინა და მეორე სართულზე ავედი, პატარა

უფლისწულის ოთახის კარს მივადექი, სახელური ჩამოვწიე და კარი გაიღო, შევედი, მივიხედ-მოვიხედე და კოდირებული კარის ნინ აღმოვჩნდი, დამახსოვრებული ციფრების კომპინაცია ავკრიფე, მაგრამ კარმა ხმა ამოუშვა „ტუუუ“. სულ ტყუილად დამიმახსოვრებია ციფრები, კარი ისედაც ღია ყოფილა, ჰოდა გამოვალე. უჸ! ისევ ის უცნაური, შრიალის მსგავსი ხმები, ნიავი და სურნელი. სამყაროს სუნის შეყნოსვა და სუნთქვის ხმის გა-გონება უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა, თითქოს ვიზრდებოდი, თითქოს ფილტვები უცნაური ჟანგბადით მევსებოდა და იმასაც მივხვდი, რომ ამ მომენტამდე თავი მუდმივად მტკიცებია და იმ-დენად მიჩვეული ვყოფილვარ, რომ ვერც კი ვგრძნობდი. ტკი-ვილია, აბა რა, როცა იგრძნობ, რომ თავში ნასკვი გაგეხსნა და გათავისუფლდი.

ჩავიმუხლე და ქვემოთ ჩავიხედე, რადგან ნინა დღეს ვერ მო-ვასწარი, კიბეებს ქვემოთაც ჩამეხედა, იქაც თეთრი, ფაფუკი ღრუბლები იყო, სხვა არაფერი ჩანდა. სამ კიბეებიან გზას გავ-სცექროდი, ერთი ფეხი გადმოვყავი კარების ზღურბლიდან და მეორეც დავდგი, ისევ გამიჩნდა სურვილი, ზეცად წასული ვინ-მე ჩემიანი მენახა. დედა, მამა, ბებიები და რა ვიცი... მაგრამ გადავითიქრე, დავდექი მონატრების გზის კიბეზე და უშიშრად გადავედი პირველ გზაზე, რომელიც მარმარილოს პლანეტის-კენ მიდიოდა. დავინტერესდი, აბა თუ დაიძვრებოდა კიბეები ექსკალატორივით, მაგრამ არ დაიძრა. ჰორიზონტს გავხედე და დავინახე ცეცხლოვანი ბურთი, რომელიც ჩვენკენ, ანუ ამ სახ-ლის კარებისკენ მოფრინავდა, ბურთი ნელ-ნელა დიდდებოდა. არ შემშინებია, კარგა ხანს ვუყურებდი და შევამჩნიე, რომ ამ ცეცხლს ფეხები ჰქონდა, ადამიანის არა, ცხოველისა, ცოტაც და უკანა ფეხებიც გამოუჩნდა. ორმოცდაათს კი გადავაბიჯე, მაგ-რამ შეორს კარგად ვხედავ, ახლოს ხედვა არ მივარგა. ცეცხლო-ვანი ფეხებიანი ბურთი მოიწევდა, დიდდებოდა და ველოდი მო-მენტს, უკეთესად დამენახა, რა იყო სინამდვილეში, და ეს ლომი იყო, უზრმაზარი ხვადი ლომი, ყვითელი დიდი თავითა და მოელ-ვარე ოქროსფერი ფაფრით. სწრაფად შემოვტრიალდი, გადმოვ-

ხტი თთახში და კარი მივიჯახუნე, თან პირჯვარიც გადავიწერე. ვიეჭვიანე, მათეს ორივე კარი ღიად ხომ არ დარჩა- თქო. ვაიმე, რამე ბოროტი არ იყოს და ამ ბავშვებს ხიფათი არ შეამთხვიოს, ხუმრობა საქმეა?! როცა გზად ლომი მორბის, თავზე წაკიდებული ცეცხლით, მაგრამ მათე მოწესრიგებული ყმაწვილია, არ დარჩებოდა ღიად კარები, თუნდაც დაეტოვა, ამ მხეცს რა დააკავებს, არც არაფერი. გამოვიძურნე უფლისწულის ოთახიდან, სამზარეულოში დავბრუნდი, გული მიფრიალებდა, წასვლაც არ მინდოდა, მაგრამ ვერც შინ ვრჩებოდი, ამიტომ გარეთ გავედი და გამახსენდა კოკო და დავუძახე:- მივმართე:- კოკო, როგორ ხარ!

- არა მიშავს ქალო, შენ როგორ ხარ, წნევამ აგინძია?!
- ცუდად მოვიქეცი და გულიც ამიტომ მიცემს გამალებით.
- ხო, გული აგჩქარებია, მაგრამ თავში ყველაფერი იდეალურად გაქვს მოწყობილი.
- მართლა? აბა, რომ გკითხო, რა მჭირსო, არც მიპასუხებ და, რა ვიცი!
- შეშფოთებული ჩანხარ, მითხარი, რა მოხდა!
- კი, კოკო, ცუდად მოვიქეცი!
- შეენ?! მითხარი, რა დააშავე ამისთანა.
- რა და, პრინცის ოთახში შევედი, ის თეთრი კარი, სეიფს რომ ჰგავს დაკეტილი არ იყო, გავაღე და...
- ჰო, მერე...
- ჰოდა, მარმარილოს პლანეტიდან ლომი მოჰქროდა, პირდაპირ ჩვენსკენ და...
- შეგეშინდა?!
- ჰო, ძალიან!
- რას ამბობ, შენ არ უნდა შეგშინებოდა...
- არა, არა, ჩემ გამო კი არა, აქ არ შემოვარდეს და ბავშვებს არა დაუშავოს მეთქი, რა ვქნათ? მოდი ჩავკეტოთ კარი რა!
- დარჩეს ყველაფერი ისე, როგორცაა, ნუ გეშინია, ამ ბავშვებს არავინ ემტერება, არც ამ პლანეტას.
- აბა, აქეთკენ მორბოდა და...
- ეს გზა მარტო ჩვენ კი არ გვიკავშირდება... მოდი ტბასთან, გამოეცალე მაქაურობას.

დავუჯერე, ტბისკენ წავედი. დავინახე ელიაც, კოკოც და ზუ-ზუც, როგორც ჩანს, ისვენებდნენ. ისხდნენ ქვიშიან ნაპირზე და ელია ზუზუს თავზე ეფერებოდა, ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი კოკო კი, ყვითელი ფერის შლანგს ჰგავდა და თვალი ჩემ-კენ ეჭირა, მივუახლოვდი თუ არა, კოკო მაშინვე ქვიშაზე გაწვა:

- უჰ, შენ რა გითხარი, მომწყდა კისერი, ცოტა ჩქარა ვერ ივლი?

- ჩქარა რა, სად მეჩქარება რო?! - ვუპასუხე და გვერდით მი-ვუჯერი.

- გელოდათ გულით, ახლა მაგას თავზე გადაუსვით ხელი, მეტს კი არაფერს გთხოვთ! - გადაიკისეისა ელიამ.

- მეცა რა, მეც მინდა! - წამოიყვირა ზუზუმ, და ისიც ჩემთან მოვიდა: - ამას თავზე გადავუსვამ ხელს, აი, შენ კი, დრუნჩიზე გა-კოცებ! - ხელი წავავლე ფუმფულა ზუზუს და მკერდში ჩავიკარი, დანაქადნებიც შევასრულე. ლეკვმა თათები ტუჩებზე დამადო, კიდევ მომეფერე და დრუნჩიზე მაკოცეო.

- მიდი ელიასთან და გვაცალე რა! - გაუბრაზდა ზუზუს სისინა ხმით კოკო.

ელიამ მაჯის საათს დახედა, რომელიც კომპასი მეგონა. უხ-დებოდა ელიას პატარა მაჯას საათი, მაგრამ მისთვის ძალიან დიდი იყო და გამეღიმა.

- ზეთის გამოსახდელად მივდივარ!

წამოვხტი, - მეც მოვდივარ ელია, უნდა დაგეხმაროთ! - კო-კოს და ზაალს გავხედე.

- ჩვენ არ მოვდივართ! - მითხრა ზუზუმ.

- რატომ?!

- მე არ შემიძლია, ამას კიდევ, არც ხელები აქვს და არც ფეხე-ბი! - მიმითითა გველზე.

მივედით ზეთის გამოსახდელ საწარმოში, ბალათერსა და რა-ფაელეს საქმე დაწყებული ჰქონდათ, ჩვენც მოგვაწოდეს ყავის მაღულარას მსგავსი ჭიქა, აგრეთვე ლამაზი ბოთლები. საძნელო საქმე არ იყო. უზარმაზარი ჭურჭლიდან ჭიქით უნდა ამოგვეღო ზეთი და ჩაგვესხა საფირმო პატარა ბოთლებში, მერე თავზე შუ-შის ხრახნიანი თავსახური მოგვეჭირა.

უცბად მოვრჩით საქმეს, მაგრამ ძალიან დავიღალე, გზად რომ მოვდიოდით, ფეხებს ძლივს მოვათრევდი. მათე შინ დაგვ-ხვდა, რომელსაც ვაშლები ამოეტანა დედამიწიდან. სხვადასხვა ჯიშის ვაშლები დაელაგებინა უზარმაზარ ბროლის ვაზაზე.

რომ დავინახე ყვითელი, მწვანე, ვარდისფერლოყება ნაირნა-ირი ვაშლი, გავხალისდი. ვახშმობა არ მინდოდა, ამიტომ, პირვე-ლად მწვანე ვაშლი ავიღე, რომ ჩამეკბიჩა. ბავშვებმაც შეჭამეს და ზუზუც გემრიელად ახრაშუნებდა.

- რომელს გამოიყენებთ ნამცხვრისთვის? - მკითხა მათემ.

- ყველას სათითაოდ, უფრო ლამაზი იქნება შესახედად ფერა-დი ვაშლების ნაჭრებით მორთული ნამცხვარი.

შევიხედე სამზარეულოში, ყველა ინგრედიენტი, რაც ჩავანე-რინე მათეს, ადგილზე დამხვდა.

საძინებელი ოთახისკენ წავედი, ბავშვებიც გამომყვნენ, გა-მიკვირდა, წინა საღამოებზე, ძილის წინ, ოთახში არავინ მომყ-ვებოდა, ზუზუც კი ჩემს ოთახში შემოვიდა. ვიფიქრე, ელიას და-ბადების დღის საკითხები უნდა განვიხილოთ თქო, მაგრამ არა. მერე ვიფიქრიანე, რომ იცოდნენ დაუკითხავად იმ ოთახში რომ შევედი, კარს მიღმა სამყაროში. ცოტა არ იყოს, შემრცხვა და წი-ნასწარვე თავი დამნაშავედ ვიგრძენი, მაგრამ არც ამ საკითხს შეხებია ვინმე. მიბრძანეს საწოლზე დავწოლილიყავი.

- ასე, ტანსაცმლიანად?!

თავი დამიქნია მათემ, - დაწექით და თვალები დაზუჭქეთ, და-ნარჩენს მერე მოგახსენებთ.

- რატომ მათე?

- ჰიპნოზი უნდა გაგიკეთოთ, ნურაფერს მკითხავთ, არ მიყ-ვარს ბევრი ლაპარაკი.

დავემორჩილე, დავწექი და თვალებიც დავხუჭე, ვიღაცამ თავსქვეშიდან ბალიში გამომაცალა.

- მოდუნდით და თქვენთვის ძვირფასი ადამიანის სახე გაიხ-სენეთ.

მყისვე ნანიკოს ლამაზი სახე დამიდგა თვალწინ, ჩემი ქალიშ-ვილისა.

- მესამე მზე თქვენში შემოსვლას იწყებს .

რაო?! გამიკვირდა. მესამე მზეო?! ფეხის თითები გამიხურდა, სითბომ ნელ-ნელა ზემოთ იწყო ამოსვლა და მუცლის არეში გაჩერდა. დედამიწაზე ყოფნისას სულ მქონდა მუცელში პრობლემები, ყველანაირი, რაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს და მივხვდი, რომ მესამე მზე იქ, იმ ადგილას, შიგნით რაღაცეებს მისწორებდა უმტკივნეულოდ, ფაქიზად, ნაზად.

-როცა წვას იგრძნობთ, ხელები ასწიეთ ზეცისკენ, სანამდეც შეძლებთ, იქამდე, მაქსიმალურად და სთხოვეთ, რომ გამოვიდეს და გაგათავისუფლოთ.

ავნიერ ხელები, ოღონდ ბოლომდე ვერა და მესამე მზეს თხოვნით მივმართე ხმამაღლა: - მესამე მზეო, გამობრძანდით ჩემი სხეულიდან.

სითბო წელის არეში გადამივიდა, იღლიებთან ცოტახნით შეჩერდა, შემდეგ მხრებზე გადაინაცვლა, თითქოს მასაჟს მიკეთებდნენ, მკლავებზე ხელიც კი ჩამომისვა ვიღაცამ, თითქოს მეფერებოდა. სიამოვნების ურუანტელმა დამიარა, ჩემი თემურის ხელები გამახსენდა, ზუსტად ასე და ამდაგვარად იცოდა მკლავებზე მოფერება და უცებ ტკივილი ვიგრძენი მაჯებში, თითქოს ჩაქრით მიმტვრევდნენ მაჯებს, არა, ამგვარ ტკივილს ვერ გავუძლებდი, არ შემეძლო. სივარვარე ხელის მტევნებზე გადავიდა, ცოტათი განელდა ტკივილი, ასატანი გახდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ვდგნებოდი და სულ მაღე წყლად გადვიქცეოდი, იქნებ პატარა წყაროდ, მდინარედ, ზღვად... იქნებ, სიცოცხლესაც ვემშვიდობებოდი.

- ჯანდაბას ჩემი თავი! - წამოვიყვირე.

- ყელაფერი კარგადაა, თიკო დეიდა! - ჩამძახა მათემ.

როგორც ჩანს, მესამე მზის ენერგიამ გამოსვლა დაიწყო ჩემი სხეულიდან და ეს ხდებოდა ორივე შუათითიდან, მაღლა და მაღლა ამენია მკლავები, მეგონა, ცას მივწვდი მეთქი. გამორაკრაკდა რაღაც მნიშვნელოვან ტკივილთან ერთად მესამე მზე, გამონათა და გაქრა. მკლავებიც უღონოდ დაცვივდა საწოლზე.

გამეღვიძა, ენერგიით ვიყავი სავსე. ბიჭები მიღიმოდნენ, კოკოს თავი თავისსავე სხეულის ქვეშ ჰქონდა მოქცეული, მითა-

ნაგრძნობდა და არ სურდა ჩემი წამებისთვის ეცქირა. არწივიც ზემოდან დამყურებდა, ზუზუც წკმუტუნებდა.

- ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მათე, ყოჩალ! - თქვა რაფაელემ.
- ჰო, დავასვენოთ და დღესვე გავატაროთ მეორე ეტაპიც.
- გთხოვთ! - წარმოვთქვი მე.
- ვფიქრობ, რომ მეორე მზესაც გაუძლებთ, - მიპასუხა მათემ.
- რომ ვერ გაუძლოს! - შეშფოთდა ელია.
- არა უშავს, დავეხმარებით, - უპასუხა მათემ, მომიახლოვ- და და სახეზე დამაკვირდა, მერე ყველა იქ მყოფებს, - შეხედეთ, ქალი აშკარად გაახალგაზრდავებულია და საჭიროებს მეორე მზესაც.
- არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ, მათე, მხოლოდ ის ვიცი, რომ ცუდს არაფერს გამიკეთებთ. მაცალე, მინდა გიყუროთ და იმე- დით დაგხუჭო თვალები. მე ხომ თქვენს მეტი ამ პლანეტაზე არა- ვინ მყავს, მიგეჩვიეთ, შემიყვარდით, მაცალეთ ცოტა ხანს.
- კეთილი! - მიპასუხა მათემ.
- ელიას კი, კურცხალი გადმოუვარდა მარცხენა თვალიდან, რაფაელეც თავდახრილი იდგა, ზუზუს პირი დაელო, ვარდისფე- რი ენა გადმოეყო და ქასქასებდა. ყველა შეუდარებლად ლამაზი იყო, კოკოც კი, თავისი შლანგივით სხეულით. შემომხედა კოკომ და ფიქრი გამომიგზავნა, - რა იყო, რას მომშტერებიხარ!
- ლამაზი გველი ხარ, შენ! - გავეცი ფიქრით პასუხი.
- დამცინი?!
- არა, ლამაზი ხარ და საყვარელი, - გულწრფელად ვუპასუხე.
- კოკომ აწეული თავი იატაკს დაანარცხა და საყვარლად გა- მომხედა, ერთობ ნასიამოვნები დარჩა ჩემი კომპლიმენტით. დიახ, ალბათ არის გველებშიც ისეთი რამ, რაც უნდა მოგწონ- დეს, მეტიც, გიყვარდეს და თუ ვერ გიყვარდება, პატივს მაინც სცემდე.
- დავიწყოთ, თიკო დეიდა?
- დავიწყოთ მათე, იმედია არ მოვკვდები!
- არა, რას ამბობთ! - შეშფოთდა მათე და დაიწყო მზადება, რომ ჩემ სხეულში შემოსულიყო მეორე მზე. კვლავ დამეძინა და

მეგონა, ზღვისპირას ვიწექი თავქვე, გონებადაბინდული და მზის აბაზანას ვიღებდი, ანუ ვირუჯებოდი. ეს მზე რატომლაც ფეხის თითებიდან კი არა, ზურგიდან მომეპარა, სხეულის უკანა მხარე მიხურდა, მაგრამ არც ისე შემაწუხებლად. არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდა ასე, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ზურგმა და სხეულის ქვედა ნაწილმა გაგრილება დაიწყო. მათესგან ბრძანება არ მომსვლია, რაიმე მეთქევა მეორე მზისთვის, მაგრამ თვალმილულულმა მეორე მზის მიმართ მადლიერება გამოვხატე უსუსურად, ნავრმოვთქვი ყველას გასაგონად, კვნესითა და ჩურჩულით, - გმადლობ, მზეო!

უმტკივნეულოდ გამოვიდა მეორე მზე ჩემი სხეულიდან. მათემ არ დამასვენა, გონებადაბინდული დამაყენა პირველ მზეს-თან შესახვედრად.

პირველი, ყველაზე ძლიერი და მთავარი. ის ჩემში შემოვიდა თავიდან, ტკივილი გაძლიერდა, რომელიც ხერხემალზეც გადამივიდა.

- თიკო დეიდა, თავად გამოიყვანე მზე სხეულიდან, თვალყური მიადევნე მის მოძრაობას.

- საიდან გავიყვანო მათე!-ვკითხე თვალდახუჭულმა

- კარგი იქნება, თუ გულიდან გააცილებ.

- მესამე ფეხებიდან შემობრძანდა, მეორე ზურგიდან, ეს ჩემი თავიდან მათე!

- გაიყვანე გულიდან!

- არ შემიძლია მათე!

- რატომ?

- უკვე გულიც გაიარა და მის ქვემოთაა, ვარვარებს!

მათეს ხელები თავზე შემეხო და მე კვლავ გავიღვიძე.


- რას გრძნობთ?

- მათე, პირველი მზე ჩემშია, არ გასულა.

- ჰომ, არაუშავს, დარჩეს ცოტახნით, დაიძინეთ და ხვალ დილით კარგად იქნებით.

ბავშვებმა თხელი პლედი გადამაფარეს, გაუნდრევლად ვინექი, არ შემეძლო მოძრაობა და ვდარდობდი ელიას დაბადების

დღეზე რომ ვერ შევძლებდი ჩანაფიქრის განხორციელებას. ამ პატარა ბიჭს ჩემი ამგვარი მდგომარეობის გამო არ ექნებოდა არც ჩახოხბილი, არც ნიგვზიანი ბადრიჯანი, არც მაწვნის შეჭა-მანდი და ალარც ვაშლის ნამცხვარი. მე ხომ დავპირდი, ხომ დავ-პირდი! ჩამყვა დარდად გულში.



ცეცხლოვანი ლოგი

გათენდა, ჩიტების ჭიკჭიკს არ გავუღვიძებივარ, აქ მხოლოდ უზარმაზარი არწივი ბინადრობდა, ისიც ხშირად არ იმყოფებოდა ამ პლანეტაზე, ვინაიდან დედამიწა მეტად უყვარდა, თავისად მიაჩნდა. აქ იმიტომ იყო, რომ ეს სამი ბიჭი შეიყვარა და თავს ვერ ანებებდა.

ეჰ, როცა აქედან წავალ, მეც მომენატრებიან ეს ბავშვები, დავიტანჯები. აი, ბალათერის ფრთები და შესაძლებლობები, რომ მქონდეს, მეც ამოვფრინდებოდი, ან მათეს მსგავსი მანქანა, რომ მყავდეს, კარგი იქნებოდა. არაფერი სჯობს ამათ ყურებას, როცა რამეს აკეთებენ, თან რა ხარისხიანად, გასაოცარი ბიჭები არიან და ყველაფერი იდეალურია აქ. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ რაფაელებ შემომძახა: - თიკო დეიდა, აბაზანა მზადაა და ჩაწექი!

გავიტრუნე. დააკაკუნა. ისევ არ გავეცი ხმა. შეშინებული შემოვარდა ოთახში, მე კიდევ ვუღიმოდი და ვაპარპალებდი თვალებს, რაფაელესაც გაეცინა.

- საქმეს როდის ვიწყებ, საქმეს, დღეს ხომ ელიას დაბიდუბია?
- კი, არის, თვითონაც იპრანჭება და უხარია.
- მოდი მაშინ, წამოგყვები, აბაზანა მოიცდის!
- არა, უნდა ჩაწერთ, ისე ენერგია არ გექნებათ, - ხელი მომკიდა მაჯაზე და წამოდგომაში დამეხმარა სააბაზანოში შემიყვანა, მე კიდევ საშინლად მეზარებოდა ამ პროცედურის ჩატარება, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო.

სამზარეულოში ფუსფუსის დროც დადგა. ელია, რომელიც ონკანის ნიუარასაც კი ვერ სწოდებოდა, რეცხავდა პროდუქტებს. სკამზე შემდგარიყო და ისე. მათე ქათმის ხორცს ჭრიდა. გავხალისდი, დავიწყე ნამცხვრით.

რაფაელე ბეჯითი შეგირდივით მიყურებდა, იმახსოვრებდა და ფიზიკურადაც მეხმარებოდა. სასიამოვნოდ დავიღალეთ.

მოსალამოვდა და სუფრის განცყობის ჯერიც დადგა, მაგრამ ბავშვებმა სუფრა მაგიდაზე კი არა, იატაკზე გაშალეს აღმოსავლურ სტილში და მუთაქებიც დაყარეს, რომ სტუმრებს თავი

კომფორტულად ეგრძნოთ. პლანეტის მაცხოვრებლები ყველანი ჩვენიანები იყვნენ. სუფრა შინაურთათვის, ისიც იატაკზე. უცნაურია, მაგრამ სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და მეც ასე მოვიქეცი..

ლამაზი კაბა ჩავიცვი, წითელი, შავ კოპლებიანი. დამღალეს ამდენმა კოპლებმა, მაგრამ ბავშვებს ასე მოსწონდათ ჩემი შემოსვა.

სასტუმრო ოთახში გავედი და რას ვხედავ, ლომი არ მოკალა-თებულა იატაკზე?! ის იყო, ის, წინ დღით რომ დავინახე. შემომხედა ოქროსფაფრიანმა, გავუღიმე.

- ხომ არ დაგაფრთხეთ ქალბატონო თიკო?
- არა, თქვენ ალბათ ამ ბიჭების მეგობარი ბრძანდებით.
- ჩათვალეთ, რომ თქვენიც.
- დიდი პატივია ჩემთვის, როცა ცხოველთა მეფე მიმეგობრ-დება.

ლომი წამოდგა და თათი გამომიწოდა, მივედი და ჩამოვართვი სელი. ადამიანივით თითები ჰქონდა, მაგრამ ბრჭყალები უზარ-მაზარი, გალესილი დანებივით. შევამჩნიე, თათის ჩამორთმევის დროს, მან ბრჭყალები შესწია, დამალა.

- მეფე არ ვარ ქალბატონო თიკო, მკურნალი ლომი ენვერი ვარ, რომ იცოდეთ, თქვენ ჩემი პაციენტი ხართ დღემდე.

- მართლა?! - გავიკვირვე.

ბიძია ენვერ! - ჩემს ზურგს უკან დაიყვირა ელიამ, მივარდა ლომს და კისერზე ჩამოეკიდა.

- როგორ ხარ ვარსკვლავბიჭუნავ? - ჰკითხა ენვერმა ელიას.
- არა მიშავს, გამახარე, რომ მესტუმრე.

ლომმა ბიჭს თათი ხელივით გადაუსვა თავზე და უთხრა, - აბა, ნახე, რა მოგართვი, მაგიდაზე დევს.

ელია მივიდა მაგიდასთან და ცისფერი მარმარილოს ქვა აიღო, რომელსაც კვერცხის ფორმა ჰქონდა, - ეს ხომ სიბრძნის მარმარილოს ქვაა! - წარმოსთქვა აღფრთოვანებულმა.

- ჰო, შენ ხომ ყოველთვის მოგწონდა!

- ჩემთვის გაიმეტე?! მერე შენ... - დაღონდა ელია.

- მე უკვე მაგის გარეშეც ჭკვიანი ვარ, ქვამ, რაც შეეძლო, ყველაფერი მასწავლა, ახლა შენი ჯერია, ელია.

ყველა შემოვიდა, არნივი, კოკო, ზუზუ, მათე, რაფაელე, ყველამ ლამაზად შეფუთული საჩუქარი მოიტანა. კოკოს საჩუქარი ყველაზე პატარა იყო და ზუზუს მსგავსად, შეფუთული საჩუქარი პირით ეკავა, რა ექნა აბა, მას ხომ არც ფეხები არგუნა უზენაესმა და არც ხელები.

არ ვიცი, ვინ რა მოართვა, ელიას საჩუქრები არ გაუხსნია, მას ის უფრო ახარებდა, ყველანი ერთად რომ ვისხედით.

კოკოს რძეში ჩამბალი მარწყვი მიართვეს, მათეს და რაფაელეს ნიგვზიანი ბადრიჯანი მოეწონათ, არნივს ჩახოხბილი, ელია კი მანვნის შეჭამანდზე ამბობდა, - უჳ, უჳ, რა კარგია, ზუსტად საჩემოა.

ღვინოც კი მოსვეს და მერე ერთხმად დალოცეს. ვიჯექი მუთაქაზე და გულაჩუყებული შევსცექეროდი ამ ზღაპრულ სურათს. აბა, რომელი მხატვარი მოიფიქრებდა ამგვარ ამბავს, რომ მერე ტილოზე გადაეტანა?!

საღამო დასასრულს მიუახლოვდა, დესერტის შემოტანის დროც დადგა. მათემ მოგვართვა კანფეტები, შოკოლადები, მაგრამ ამ ტკბილეულისთვის ზედ არავის შეუხედავს, ყველას ჩემი ნახელავი ვაშლის ნამცხვრის გასინჯვა სურდა.

რაფაელემ დაიწყო უზარმაზარი ნაჭრების დაჭრა, უპირველესად ენვერს მიაწოდა, მანამდე არაფერი ეჭამა, მხოლოდ ღვინოს გაუსინჯვა გემო, რომ ელია და მე ვედლეგრძელებინეთ.

მეორე უზარმაზარი ნაჭერი ბაღათერს მიართვა. შემდეგ ჩვეულებრივი ზომის ნაჭრები ჩამოჭრა, მაგრამ ყველაზე მომცრო კოკოს არგუნა.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას ვაკვირდებოდი, მივხვდი, ნამცხვარი მართლა გემრიელი გამომსვლოდა.

ენვერმა თეფშზე დადებულ ნამცხვრის ნაჭერს დაყნოსა, შემდეგ მარჯვენა თათით აიღო და დააგემოვნა, ლამის გავგიუდი, ლომი ნამცხვარს მიირთმევდა, წარმოიდგინეთ, შეაფასა კიდეც: - თიკო, ძალზე გემრიელია, მაგრამ ვფიქრობ, ვანილი მოგსვლია ცოტა მეტი, თან რა ლამაზია!

- ბატონი, ვფიქრობ, თქვენი გემოს შეგრძნების რეცეპტორები განსხვავებულია.

- არანაირად! - განაწყენდა ლომი.

- პირველად ვხედავ ლომს, ვაშლის ნამცხვარს რომ მიირთმევს!

- უარესს გეტყვი, მე ვეგეტირიანელი ლომი ვარ!

არწივს გავხედე, -თქვენ, ბატონი ბალათერ!

- ოოო, მე ყველაფერს გეახლებით, მაგრამ ხორცი მიყვარს.

- თქვენ როგორი საჭმელები გიყვართ, თიკო დეიდა? - დაინტერესდა ელია.

- მე მწარე-ცხარეები და ძირითადად მწვანე საკვები, - ვუპასუხე იუბილარს.

ელიამ გამიღიმა, - აქ არაფერია ძალიან მწარე და ცხარე, გმადლობთ, რომ ასე კარგად გაგვიმასპინძლდით.

- ღმერთმა შეგარგოს, ელია, ჩემთვის სასიამოვნო იყო ყოველივეს გაკეთება.

მათე წამოდგა, შემომხედა და მითხრა: - ქალბატონო თიკო, მინდა მოგახსენოთ, ახლოვდება დრო, რომ აქაურობა დატოვოთ, დაუბრუნდეთ დედამიწას, საქმეს, სახლსა და შვილებს.

ამ სიტყვებმა გული დამწყვიტა, მომეჩვენა, რომ წასვლა აღარ მინდოდა, მაგრამ შვილებიც მომნატრებოდა.

- აგერ, ჩვენი ენვერი გვესტურა, ის ელიასთანაც მოვიდა და კიდევ იმიტომ, რომ თქვენ ენახეთ. მეცნიერია, ექიმია. მან და მისმა მეგობრებმა შექმნეს თქვენი ანალოგი, კლონი, იქ რომ დავტოვეთ, ხომ გახსოვთ, როგორ გაიკვირვეთ და მითხარით, -აქ თუ ვარ, იმ ლოგიზმე როგორლა ვარო, ასე, ამგვარად! აი, გუშინ რაც დავიწყეთ და ვერ დავასრულეთ...

- მე დაგასრულებინებთ! - გააწყვეტინა მათეს სიტყვა ენვერმა.

ზუზუმ წამცხვარი გადასასანსლა, მოვიდა და ჩემს კალთაში მოკალათდა, სევდიანად ამომხედა, თითქოს დამემშვიდობა კი-დეც, უხმოდ, ჩუმად, ძაღლურად.

- მოდი ჩემთან! - თავისთან მომიხმო ლომმა. წამოვდექი, ოღონდ ზუზუ ხელში მეკავა და მკერდზე ვიხუტებდი.

- დასვი ძალლი და გვერდით მომიჯექი.

შევასრულე ლომის ბრძანება. მან მხარზე თათი გადამხვია და დამაცქერდა.

- ვიცი, ბატონო ენვერ, ჩემი სხეულიდან არ გამოსული პირველი მზე, უნდა გავიყვანოთ და მითხარით, მეტკინება?

ლომმა უარის ნიშნად თავი გააქნია, - დიდხანს გტკიოდა და საკმარისადაც ღვარე ცრემლები, აქ იმიტომ მოვედი, რომ უმტკივნეულოდ შეიკრას შენი სიცოცხლის ახალი წრე.

- ეს რას ნიშნავს?!

- მათე, აუხსენი შენებურად, კარგად! - მიმართა ლომმა ამ პლანეტის ყველაზე დიდ ბიჭს.

- სიცოცხლის წრე ნიშნავს იმას, რომ თქვენი ასაკის შესაბამისად იქნებით სრულიად ჯანმრთელი, იცხოვრებთ დიდხანს და ბედნიერად.

- მოიწი ახლოს, - მითხრა ლომმა - და ლოყა ლოყაზე მომადე.

შევხედე ლომის პროფილს, დავინახე მისი ლოყა, მან თავი ჩამონია, რომ მისი ლოყისთვის ჩემი მიმედო.

დედამიწელი კატები სუსტად კრუტუნებენ, როცა ადამიანის სხეულს ეხებიან. ლომი კი ომახიანად აბუხუნდა... არ მახსოვს რა მოხდა, რა მიქნეს, რა გამიკეთეს, თითქოს გონება სადღაც დამეკარგა.

გამეღვიძა იმ საავადმყოფოს რომელილაც პალატაში, საიდანაც ამასწინათ მათემ გამიყვანა.

ჰერი, ჰერი, სახლისაკენ!

საწოლზე წამოვჯექი და ოთახს თვალი მოვავლე, გავიფიქრე, ეტყობა მოვრჩი, გადავრჩი, გამოვჯანმრთელდი-მეთქი, წამოვ-დექი და ფანჯარასთან მივედი.

დედამიწაზე ვარ, საქართველოში, თბილისში. კომაში ვიყავი, მიშველეს და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ტვინი მუშაობდა, რა-ღაცებს მაჩვენებდა ისეთს, რაც და როგორც მინდა, რომ იყოს ადამიანებს შორის, ადამიანებს და დანარჩენ სამყაროს შორის. დავწერ ამ ამბავს, ჯერ აქედან გავიდე!

იასამნის სურნელმა ჩემამდე მოალწია, საწოლისკენ გავიხედე და რას ვხედავ, ტუმბოზე თეთრი ლარნაკი დგას და შიგ იასამნე-ბის თაიგული დევს. მივედი ყვავილებთან და დავყნოსე. შევამ-ჩინიე, ლარნაკზე რაღაც ფიგურები იყო ამოტვიფრული. ამოვი-ღე იასამნები, რუდუნებით დავდე ტუმბოზე და ლარნაკზე გა-მოსახულ ფიგურებს დავაკვირდი. ლომი იყო ზედ გამოსახული, შემდეგ კოკო, მერე პატარა მსუქანი კოკერსპანიელი ანუ ზუზუ და უზარმაზარი ფრთებგაშლილი არწივი, ბოლოს კი სამი ბი-ჭი, ზურგით მაყურებლისგან. ყველაზე მაღალი ორ პატარა ბიჭს შუა იდგა, მათზე ჰქონდა ხელები ჩაჭიდული და სადღაც მიდი-ოდნენ. გავვოცდი. ლარნაკი თავის ადგილას დავდგი, შიგ ჩავაბ-რუნე იასამნები.

- ნუთუ ის, რაც საავადმყოფოში ყოფნისას ვნახე ნახევრად მკვდარმა, სინამდვილეა და არა ჩემი ფანტაზიის ნაყოფი?! - ვკითხე საკუთარ თავს. მკერდზე ხელის გული მივიდე. ოქროს მსხვილი ჯაჭვი მეკიდა იმგვარი, როგორიც არასდროს მქონია და ზედ უზარმაზარი ვარდისფერი მარგალიტი იყო ჩამოცმული. გული ტკივილნარევი სიხარულით ამევსო.

- დამასაჩუქრეთ კიდეც, ჩემო საყვარელო ბიჭუნებო?! არა-ფერიც არ დამსიზმრებია, თქვენ მართლა არსებობთ, მათევ, რა-ფაელე, ლურჯთვალება ელიავ! ბალათერ, გიგანტო, კავკასიის მთების შვილო არწივო! ჩემო კეთილო გველო კოკო, ფუმფულა ზუზუვ და მეურნალო ლომო ენვერ!!! ჰო, კიდევ წურბელებო,

სწორედაც რომ თქვენ დაიწყეთ ჩემი მკურნალობა, ოჰ, როგორ შემეშინდა მაშინ! ჰომ, სიცოცხლის წრე განმიახლეთ და შემიკარით კიდეც, რომ მოვასწრო ის, რისი გაკეთებაც მინდა ამ ცხოვრებაში. და რა მინდა მე?! უპირველეს ყოვლისა, შვილების კარგად ყოფნა, შვილიშვილი მინდა კიდევ ძალიან და მსურს თქვენზე დავწერო ჩემო ძვირფასებო, მადლიერი ვარ და გლოცავთ!

კარი გაიღო და პალატაში მათე და ნანიკო შემოვიდნენ. მათე მომვარდა ჩამეტუტა და გულზე მიმიკრა, მკოცნიდა, - დედა, დედიკო, როგორ შეგვაშინებ!

- მოიცა მათე, დედა სულ ახლახანს გამოჯანმრთელდა! დე!!!- ახლა ჩემი ნაზი გოგონა მომეხვია და ეგრევე მზრუნველობა გამოიჩინა, შეუმჩნევლად დამაბრუნა საწოლში, ბალიში გამისწორა. მივშტერებოდი შვილებს და თვალებსაც ვერ ვახამხამებდი.

- ხომ კარგად ხარ დე! - მკითხა ჩემმა გოგონამ.

პასუხი ვერ გავეცი, მხოლოდ გავულიმე და ტირილი დავიწყე. წამოვჯექი და მათკენ ხელი გავიწვდინე. ორივეს მოვეხვიე, დავუწყე კოცნა და ვერ ვძლებოდი, სიხარულისგან ცუდად გავხდი, წნევამ ამინია, ატყდა ერთი ამბავი და გნიასი, ნემსი გამიკეთა ექთანმა, კიდევ ვენაში რაღაც წამალი შემიშხაპუნეს, ალბათ დამამშვიდებელი და დამეძინა.

გავიღვიძე, ნანიკო და მათე კვლავ პალატაში ისხდნენ და მიმზერდნენ. მეც ვუცურე მათ კარგა ხანს, - ხომ გამოვჯანმრთელდი, ხომ წამიყვანთ ბავშვებო!

- კი, დე, განერილი ხარ და მალე წავალთ.

- არ მინდოდა, საშინლად არ მინდოდა ჯერ აქედან წასვლა.

- აი, რა ძლიერია ადამიანი, როცა სიცოცხლე სწყურია, ის ამარცხებს სიკვდილს!-წარმოსთქვა ნანიკომ.

- ვკვდებოდი? რა მჭირდა ბავშვებო?! და საერთოდ, აქ როგორ აღმოვჩნდი.

მათემ სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

- ნუ სტირი შვილო, თქვენთან ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ!

- ჰო, დედიკო, არასდროს აღარ გაგაბრაზებ, რაც დაგიჯერე და რაც მაიძულე მეკეთებინა, ყველაფერი სწორი იყო შენი მხრი-დან, მოგებული დავრჩი, დედა!

- ჰო, შენ კიდევ დამცინოდი და გჯეროდა, რომ კეთილი ადა-მიანები სუსტები არიან, პატიობენ ყველას მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლა არ შეუძლიათ!

სანიტარმა პალატაში ინვალიდის ეტლი შემოასრიალა, რამაც გული დამიმდიმა, - ეს რა არის! - ვკითხე შეშინებულმა.

- არც არაფერი ქალბატონო თიკო. წესია ასეთი, ეტლით უნდა გაბრძანდეთ აქედან, თანაც დიდხანს იწექით, კუნთებიც მოდუ-ნებული გაქვთ, შესაძლოა წაბორძიკდეთ, წაიქცეთ...

- შემიძლია სიარული, უკვე ვიდექი კიდეც ფეხზე.

- ჰო, და ძალიან კარგი, ჩაიცვით, გაემზადეთ!

მათე გავიდა პალატიდან, წანიკო ჩაცმაში დამეხმარა. შემო-იტანეს ჩემი ჩანთა, ნივთები. ეტლში ჩაჯდომისას გავხსენი ჩან-თა, შიგ ხელი ჩავყავი და სუნამოს ფლაკონი მომყვა ხელში, ვი-ფიქრე დავიპკურებ მეთქი, თან ვიცოდი, რომ ეზოში მანქანით ჩემი გოგონას მეუღლე, გიორგი გველოდა, რომ შინ წავეყვა-ნეთ, მაგრამ სუნამოს მაგივრად ის უცნაურად ლამაზი პატარა კოლბა მომყვა ხელში, რომლის მსგავსებშიც მე იასამნის ზეთი ჩავასხი. გამეღიმა.

- ნანიკო, მომხედე!

- რა არის, დე!

- ეს გამომართვი, შენთვისაა. ჰო, ეს ვაზა იასამნებით მათემ წამოიღოს.

- რა ლამაზია, რა ასხია შიგ?

- იასამნის ზეთი.

ბოთლს თავი მოხადა ნანიკომ და აღფრთოვანებით წარმოს-თქვა: - აუ, რა სურნელოვანია! გმადლობ, დე! როდის და ვინ მო-გართვა, ან ეს მარგალიტი! საიდან გაჩნდა?

- ეს ყველაფერი, სანამ თქვენ მოხვიდოდით ერთმა ჩემმა კარ-გმა მეგობარმა მაჩუქა, მომინახულა, - უტიფრად ვიცრუე, ვინა-იდან ვიგრძენი, რომ საჭირო იყო ტყუილის თქმა.

- ვინ, დე, რომელმა?!
 - არ იცნობ, მერე მოგიყვები.

ეტლში მჯდომმა გავიარე დერეფანი, შემდგომ ლიფტში შე-მასრიალეს და საავადმყოფოს ფოიეში აღმოვჩნდი, სადაც შეგ-ვაყოვნეს, სიძე შემომეგება და გადამეხვია. ხალხს ვათვალიე-რებდი და მათ შორის დავინახე სამი ბიჭი, ელია, მათე, რაფაელე, მიღიმოდნენ, ყველასგან გამოირჩეოდნენ, გემოვნებიანი ჩაც-მულობით, სილამაზით, ელეგანტურობით. სხვა ადამიანებიც აქცევდნენ ყურადღებას ამ სიმპათიურ ბიჭუნებს. უცქერდნენ, ზოგიერთი ხმამალლა გამოხატავდნენ თავიანთ აღფრთოვანე-ბას მათ გამო.

- აუ, რა ლამაზები არიან, არა? - მითხვა მათემ.
- იმ სამ ბიჭზე მეუბნები, მათე?
- ჰო!

თიკო! - გავიგონე კოკოს ხმა,- მეც აქ ვარ, მათეს უბეში მოკა-ლათებული, შენი გულისითვის ჩამოვედი, რომ მენახე.

- კოკო, ძვირფასო! - გაუგზავნა სალამი ჩემმა გულმაც.
- ბიჭებმა ხელი ამინიეს, მეც და ჩუმად, შეუმჩნევლად დავემშ-ვიდობე მათ. შეტრიალდნენ და საავადმყოფოს ფოიედან გავიდ-ნენ. მალე ჩვენი გასვლის უამიც დადგა.

ეზოში, რომ გავედით დავინახე თეთრხალათიანი კაცი, რო-მელსაც ტელევიზიის კორესპოდენტები ლოგოიანი მიკროფონე-ბით შემოხვეოდნენ, ის აღფრთოვანებული იყო, ხელებს იქნევდა და ემოციურად ლაპარაკობდა.

- ვინაა ეს კაცი? - ვიკითხე მე.
- შენი ექიმია, დე! - მიპასუხა ნანიკომ, - და შენს გამო ესევიან უურნალისტები.

- მართლა?! - სმენა დავძაბე, რომ კარგად მომესმინა, რას ამ-ბობდა ჩემს შესახებ.

- ქალი გულწასული, გონდაკარგული, რომელიც ქუჩაში წაიქ-ცა, შემოიყვანეს ტვინის სიმსივნის ბოლო სტადიით, ექვსი თვე კომაში იყო, ყველაფერს ვაკეთებდით მართალია, მაგრამ ის სა-სიკვდილოდ იყო გადადებული, ამ რამდენიმე დღის წინ კი ტო-

მოგრაფიამ აჩვენა, რომ სიმსივნე, რომელიც სჭამდა და კლავ-და, გამქრალიყო, ეს სასწაულია, კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ღმერთი არსებობს!-ამბობდა ექიმი.

დამინახეს, გადამიღეს ფოტოები, ვიდეოც. ცოტა კი გაოგნე-ბული ვიყავი ამ ამბის გაგებით, მაგრამ ორიოდ სიტყვის თქმა მა-ინც მოვახერხე.

- გადავრჩი, გამოვჯანმრთელდი, მადლობა ჩემს ექიმს, რო-მელსაც შემდგომ მოვინახულებ და, როგორც საჭიროა, ისე გა-დავუხდი მადლობას, მთელს კოლექტივს, ვინც თავს მევლებო-და, მივლიდა, ვლოცავ ყველას, ვინც სიკვდილს ხელებიდან გა-მომგლიჯა!

ავდექი ეტლიდან და მანქანაში ჩავჯექი სიძის გვერდით.

- ღვედი გაიკეთეთ!

- ვიცი გიო, გავიკეთებ, მაშ არ გავიკეთებ?

- მაშ წავედით?

- ჰო!

- მაშ, ჰერი, ჰერი სახლისკენ სიდედრო? - თვალი ჩამიკრა სიძემ.

სარჩევი

პირველი ნაწილი

სხვისი მათე	3
ცის კუნძული.....	11
ყვითელი გველი	24
ზუზუ	35

მეორე ნაწილი

არწივი ბაღათერი	49
-----------------------	----

მესამე ნაწილი

ჰიპნოზი	71
ცეცხლოვანი ლომი	82
ჰერი, ჰერი, სახლისაკენ!	87



www.mtsignobari.ge

დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71



თინათინ ჰედია

1967 წლის 28 მარტს

დაიბადა ქ. თბილისში

დაამთავრა 30-ი სახარო სკოლა.

პროფესიით ფილოლოგი

და პინოდოპუბენთალისტია.

"სიცოცხლის წევა" მისი მიორე

მხატვრული ნანარქიზმებია.

2018 წელს "მინდა

ილია მართლის

(ჩავხავაძის) გაზით "ივერიის"

სახელობის ურთია-პოეზიის

პრემია - "ივერია" -ს

ფაურიათია-ნობინაციაში

"ქართული ელითის ნლის

მერალი" - ილია მართლის

ორდენისანი მინი

რომანის ავტორობისთვის "12".

